# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 23 მაისი 1998 №76 (611) ფასი 50 თეთრი

## მედლებს პატრონი გაუჩნდა

### ოქრო მეცხრედაც დინამოსია, ვერცხლი პირველად ბათუმისა, ბრინჯაო მესამედ — კოლხეთის

## გავარდნილ მარგვეთს მაღაროელიც მიჰყვა

### გადათამაშებაში კი გურია სიონს შეხვდება

**30 ტური**

ტორპედო 1:2 მაღაროელი
ოდიში 4:2 სიონი
მარგვეთი 1:1 გურია
დილა 2:3 ვიტ ჯორჯია
ბათუმი 2:0 თსუ
რუსთავი 3:1 კოლხეთი
დინამო 2:2 სამგურალი
მერანი 0:1 ლოკომოტივი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 24 | 4 | 2 | 86:15 | 71 |
| ბათუმი | 30 | 18 | 7 | 5 | 58:19 | 61 |
| კოლხეთი | 30 | 17 | 6 | 7 | 56:27 | 57 |
| ტორპედო | 30 | 15 | 9 | 6 | 51:30 | 54 |
| ოდიში | 30 | 15 | 4 | 11 | 43:51 | 49 |
| ლოკომოტივი | 30 | 12 | 8 | 10 | 34:37 | 44 |
| მერანი | 30 | 13 | 7 | 10 | 39:33 | 39 |
| თსუ | 30 | 11 | 6 | 13 | 35:33 | 39 |
| დილა | 30 | 11 | 4 | 15 | 31:36 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 30 | 9 | 9 | 12 | 27:37 | 36 |
| რუსთავი | 30 | 10 | 4 | 16 | 32:41 | 34 |
| სამგურალი | 30 | 9 | 7 | 14 | 31:50 | 34 |
| სიონი | 30 | 10 | 6 | 14 | 49:47 | 31 |
| გურია | 30 | 6 | 9 | 15 | 30:58 | 27 |
| მაღაროელი | 30 | 7 | 5 | 18 | 25:59 | 26 |
| მარგვეთი | 30 | 2 | 7 | 21 | 21:75 | 13 |

„დინამოს“ და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა, „მერანს“ — 7

მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე-მესამე გვერდებზე



გურამ [illegible] ფოტო

გუშინ ავჭალაში. „მერანი“ — „ლოკომოტივი“.
რკინიგზელთა კაპიტანმა კვეტენაძემ ტრანსპორტელი გეწაძე ჰაერში დაჯაბნა

ხუთშაბათის „სარბიელში“ დაგპირდით, რომ კვლავ მოგითხრობდით მინსკის მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატის სიახლეებზე და სიტყვას ვასრულებთ. მოსახარებელიც გვაქვს გუშინ საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ზურაბ გუნიამ ცუდი ამბავი როდი გვამცნო.

— 60 კგ წონით კატეგორიაში კობა გოგოლაძე ნახევარფინალში სომეხ არტურ გევორქიანს შეხვდა. გევორქიანი კერკეტი კაკალი გამოდგა და რინგზეც უშელავათო ბრძოლა გაჩაღდა. თუმცა კობამ მაინც შეძლო სასურველი შედეგის მიღწევა და მოწინააღმდეგე ქულებით 5:4 დაამარცხა.



კობა გოგოლაძე

## გოგოლაძე ფინალშია

### რამაზ გაზაშვილმა კი ბრინჯაო მოიპოვა

— ფინალში ვიღას უპირებს ცემას?

— გოგოლაძეს ოქროს მედალს საკმაოდ ძლიერი გერმანელი მოკრივე ჰუსტე შეეცილება, რომელმაც ნახევარფინალში გაბერძნებული სომეხი ტიგრან გუზლიანი დაამარცხა. კობას მომზადების დონე იმედს გვაძლევს, რომ იგი კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს. ფინალური ბრძოლები 24 მაისს გაიმართება.

— გაზაშვილზე რას გვეტყვით?

— 51 კგ-ში რამაზმა მეოთხედფინალში ფრანგ მოკრივეს სძლია, მაგრამ ნახევარფინალში უკრაინელ ვლადიმერ სიდორენკოსთან 6:3 დამარცხდა, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ გაზაშვილისთვის ეს მაინც წარმატებაა, ის ხომ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

სოსო ძოტორეიშვილი

## თასის ფინალი საღამოს



მაისის თვეში რუსთა საფეხბურთო ნაკრებების სტუმრობამდე ყველაზე მნიშვნელოვან მატჩად „დინამო“ — „ბათუმის“ სათასო ფინალი დაგვრჩენია. ფინალურ მატჩს ეროვნული სტადიონი უმასპინძლებს, რომლისთვისაც ამ წყვილის სათასოფინალო ორთაბრძოლა უკვე მეხუთე იქნება. ადრინდელ ოთხში „დინამო“ გახლდათ ძლიერი, მაგრამ ახალ „ბათუმი“ სიურპრიზს გვპირდება. ვინ აისრულებს საწადელს, არავინ იცის. ეს კი ნათელია — ფეხბურთის ფედერაციამ ფინალის დაწყების დროდ შვიდის ნახევარი დაადგინა, პროჟექტორების შუქი საქართველოს ორი საუკეთესო გუნდის პაექრობას ეშხს შემატებსო.

## ქართველი მსაჯები მსოფლიოს ჩემპიონატზე

ჩვენი მსაჯების საერთაშორისო შეხვედრებზე გამოძახება უცხო სულაც არ გახლავთ. არაერთ ქართველ არბიტრს განუსჯია მატჩი უცხოეთში და არც თავი შეურცხვენია. ახლაც მორიგი ბრიგადა მიემგზავრება. 24 მაისს მერაბ მალალურაძე, მამუკა ელიკაშვილი და კობა გაბრიაძე ბრიტანეთს ეწვევიან. ამ დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უელსი ბელარუსს მასპინძლობს.

უჩვეულო მხოლოდ ისაა, რომ ფეხბურთს ქალები ითამაშებენ. იმედია, მეტად ტემპერამენტიანი ქართველები ემოციებს დაიოკებენ და დავალებას თავს გაართმევენ.

## ბომბარდირები



ჩემპიონატის ბომბარდირი ლევან ხომერიკი

| | | |
|---|---|---|
| ლევან ხომერიკი | დინამო | 23 |
| დავით მუჯირი | დინამო | 18 |
| ჯუმბერ კალანდაძე | ოდიში | 17 |
| გია მეგრელაძე | ტორპედო | 17 |
| პაატა მაჭუტაძე | ბათუმი | 15 |

პირველ რვა ჩემპიონატში დინამოელი ერთპიროვნული ბომბარდირი არ გამხდარიყო. ორიგეჯერ როცა „დინამოს“ ფეხბურთელს, ჩემპიონატის უმთავრესი გოლეადორი რომ გამოდგა, მოცილეც ჰყავდა. გურულმა პირველ ჩემპიონატში გორდელ მამუკა ფანცულაიასთან გაიყო ოქროს ბუცი, შარშან კი გიორგი დემეტრაძემ ბათუმელ დავით უჯმაჯურიძესთან ბოლო მატჩები ხომერიკს ტრავმამ არ ათამაშა, მაგრამ ამ საქმეშიც ჩემპიონთა პირველობას საფრთხე არ შექმნია, რადგან ლევანის მდევარიც დინამოელი დავით მუჯირი იყო.

სამშაბათობით და ხუთშაბათობით სარბიელი FRANCE98 წარმოგიდგენთ მონაწილეებს
adidas Canon Coca-Cola Gillette JVC OPEL PHILIPS

რუსთავი
„ფოლადი"
22 მაისი

**რუსთავი 3:1 კოლხეთი**

**რუსთავი:** მ. ქორიძე, მენთეშაშვილი, მელაძე (პატარიძე 53), სილაგაძე, მ. სახვაძე, ცომაია, ზირაქაძე, ბ. შენგელია (ბოკერია 71), ჩუხუა (ლაბაძე 46), ყიფიანი, კ. ალადაშვილი
**კოლხეთი:** ჩემია, ქუტიძე (ბაჩილავა 46), ჯლამაძე, გიორგაძე, გოროზია, ღალანიძე, გიორგობიანი (კრასოვსკი 28), დ. მახარაძე, გვასალია, სუხიაშვილი, პაპავა
1:0 ჩუხუა (73), 2:0, 3:0 ბოკერია (77, 83), 3:1 დ. მახარაძე (89)
**გაფრთხილება:** მელაძე, პატარიძე
**მსაჯი:** გ. ასკაროღლი (ქარელი)

# შეგვირცხვენია!..

**კობა ინასარიძე** რუსთავიდან

გაინტერესებთ გოლები როგორ გავიდა? ახლავე.

მე-7 წუთი: სრულიად უხიფათო სიტუაციაში ფოთელები დაჯარიმდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, თითქოს თავდამსხმელი შეგნებულად წააქციეს. ჩუხუას რაღა დარჩენოდა, პენალტი დაარტყა და ანგარიში გახსნა.

77-ე წუთი: სტადიონზე მყოფთაგან თითქმის ყველას შეიტყო, რომ „ბათუმი" თსუ-ს უგებს. ამ დროს ბოკერია მცველებს შუა გაძვრა და ანგარიში გააორა.

83-ე წუთი: ბათუმელთა დაწინაურების ამბავი ადგილობრივმა ინფორმატორმაც გამოაცხადა, ფეხბურთელებმაც გაიგეს. ბოკერიამ უპრობლემოდ გაიარა სტუმართა დაცვა და მეკარესაც, ვითომც არაფერიო, ისე გაუტანა.

89-ე წუთი: რუსთაველ ფეხბურთელებს მაყურებლები და სათადარიგოები ელაპარაკებიან. რას, ტრიბუნაზე არ ისმის. თანამსაჯი რაზმაძე რამდენიმე თამაშგარეს აფიქსირებს რუსთაველთა სასარგებლოდ, თუმცა მასპინძლები, იერზე ეტყობათ, უკმაყოფილონი არიან. კოლხებმა ქორიძეს რამდენჯერმე დაუმიზნეს ბურთი. ვერა და ვერ გაიტანეს. ბოლოს ერთ-ერთმა მცველმა მახარაძე მეკარემდე მიაცილა, თავდამსხმელმაც ბურთს ფეხი მიარტყა და საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა.

შეგვირცხვენია ასეთი ფეხბურთი!

შეგვირცხვენია ასეთი ეროვნული ჩემპიონატი!

მაყურებელი ხშირ შემთხვევაში მართალია, სტადიონზე რომ არ დადის. ვთქვათ — ხალხო, სტადიონზე ნუ მიხვალთო, პასუხი მზად ექნებათ, თქვენ, ჟურნალისტები, ფეხბურთის მტრები ხართო, არ ვთქვათ და... ასეა, მინდორზე გადასაწყვეტს, რამდენიმე კაცის საუბარი წყვეტს.

ბოლო ტურში „ბათუმს" რომ მოეგო, „კოლხეთი" ბრინჯაოს მედლებს დასჯერდებოდა. „რუსთავს" რომ მოეგო, პირველ ჯგუფში ადგილს შეინარჩუნებდა. „კოლხეთი" კი, ყველაფრის მიუხედავად, უეფას თასის გათამაშებას ვერაფრით ასცდებოდა. ჰოდა ფოთელები რუსთავს უმთავარმწვრთნელოდ, ძირითადის ხუთი ფეხბურთელის გარეშე ეწვივნენ.

გასაგებია, რომ ამ მატჩს „კოლხეთისთვის" ალარანაირი მნიშვნელობა, ჰქონდა, მაგრამ ასე მაინც არ შეიძლება.

ზუგდიდი
ცენტრალური
22 მაისი

**ოდიში 4:2 სიონი**

**ოდიში:** გაბელია, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ჯაბუა, ბარქაია, გელა ქორიძე, ჭედია (ცქიფურიშვილი 60), ენდელაძე, იოსავა (ჯურხაძე 75), გლუნჩაძე (შედანია 86), კალანდაძე
**სიონი:** დ. ბიწაძე, გ. ჩომახიძე, ყიფშიძე, შაკიაშვილი, ჯ. წიკლაური, ტარტარაშვილი, გოგოლაძე, ჯაფარიძე, ტყავაძე, ჯაგიდისი, ლ. გაგუა
1:0 ენდელაძე (1), 1:1 ტარტარაშვილი (9), 1:2 ტყავაძე (14პ), 2:2 კალანდაძე (19პ), 3:2 გლუნჩაძე (33), 4:2 ენდელაძე (66)
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

# კომბლესი არ იყოს

**იუზა კაციტაძე** ზუგდიდიდან

ის მულტფილმი ხომ გახსოვთ, ბატონი რომ ჭრელას წაართმევს და ბიჭი დაიბოლმება, სულ იმის ფიქრშია, სამაგიერო როდის გადაუხადოს. მერე ბატონი ცუდად იგრძნობს თავს, შველას მოითხოვს. ბიჭი მომენტს იხელთებს, დახმარების ნაცვლად იმდენს ურტყამს, თავბედს აწყევლინებს. ახლა იტყვით, სად კომბლე და სად ფეხბურთიო. მაგრამ მოდით, დავფიქრდეთ. განა ფეხბურთში ცოტაა მსგავსი სიუჟეტები? მთლად შორსაც ნუ წავალთ, გაიხსენეთ — საშუალედო ფინიშზე ბოლნისელები ლიდერებში მყოფ „ოდიშს" შინ სასტიკად გაუსწორდნენ, პანტა-პუნტით უყარეს ბურთები და 6:0 მოუგეს. მას შემდეგ იყო, რომ ზუგდიდელები წელში ვერ გაიმართნენ და საბოლოოდ გათამაშების ცხრილში მეხუთე საფეხურზე მაღლა ველარ ალზევდნენ. ოდიშართათვის გუშინდელი მატჩის შედეგს პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ექვსი თვის წინანდელ წყენას რა გაუქარვებდათ, შური უნდა ეძიათ, საკუთარ ქომაგთა წინაშე სარეაბილიტაციოდ მაინც უნდა გარჯილიყვნენ. ეს კი ასეა, მაგრამ მასპინძლებზე მეტად გამარჯვება გუშინ სტუმრებს სჭირდებოდათ, რა თქმა უნდა, თუკი ჯგუფში ადგილის შენარჩუნება გადაუთამაშებლად სურდათ. მოკლედ, თამაშს დიდი ინტრიგა ახლდა და ამიტომაც იყო, თავსხმა წვიმის მიუხედავად ტრიბუნებზე საკმაოდ ბევრი ხალხი რომ შეიკრიბა.

„ოდიში" რომ მეტოქეს არაფერს უშელავათებდა, თავიდანვე გახდა ნათელი, სულ რაღაც 25 წამში მოკლე პასებით ზუგდიდელებმა სტუმართა საჯარიმოში შეაღწიეს, კალანდაძისგან მიღებული იოსავამ კარისკენ გაგზავნა ათიოდე მეტრიდან. ბიწაძემ ეს დარტყმა კი მოიგერია, მაგრამ პირდაპირ ენდელაძეზე. მანაც აღარ დაახანა და ზედა კუთხეში ძლიერად დაარტყა. ზუგდიდელთა მეორე იერიშიც გოლით უნდა დამთავრებულიყო. მე-3 წუთზე ახვლედიანის ჩაწოდებულზე კალანდაძე გავიდა კართან, თუმცა მეკარემ წამით დაასწრო. მერე ბოლნისელთა ჯერი დადგა ტყავაძემ გამოიღო ხელი და ხუთი წუთის განმავლობაში მისი უშუალო მონაწილეობით მასპინძელთა კარში ორი ბურთი გავიდა. ბუბამ ჯერ საჯარიმოდან ტარტარაშვილს გაუკეთა საგოლე გადაცემა, ნორმენმაც იგი ზუსტი თავური დარტყმით დაასრულა. მალე ბუბა თავად შეიჭრა „ოდიშის" საჯარიმოში, მეკარესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ ლურსმანაშვილმა ფეხი გამოსდო. პენალტი სამართლიანი იყო. იგი ტყავაძემ უნაკლოდ დაარტყა და თავისიანებიც დააწინაურა. წვიმისაგან დამძიმებულ მინდორზე ბურთის გორებაც კი ჭირდა, მაგრამ მეტოქეები ჟინიანად, თავდაუზოგავად თამაშობდნენ, რაც კარგი საცქერი გახლდაც. მე-18 წუთზე ენდელაძემ მარჯვენიდან საჯარიმო დაარტყა, ბოლნისელ მცველებზე ადრე ბურთს კალანდაძემ მიუსწრო, მაგრამ მისი თავური ხარიხას მოხვდა. მართალია, ამ ეპიზოდში ჯონის არ გაუმართლა, მაგრამ სულ ერთ წუთში მან ისევ შეუტია სახიფათოდ და ბოლნისელებმა წესის დარღვევით შეაჩერეს. ტყავაძისა არ იყოს, პენალტის დარტყმა ახლაც დაზარალებულმა იკისრა. ოდიშართა კაპიტანი ამით არ დაკმაყოფილდა, იგი მასპინძელთა ყველა შეტევის ორგანიზატორი იყო, მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებდა. მესამე ბურთი კი „სიონის" კარში მას შემდეგ გავიდა, რაც კალანდაძემ კიდევ ერთხელ გაარტყა ხარიხას, გლუნჩაძემ მხოლოდ გადმოვარდნილს დაამატა. 42-ე წუთზე ტყავაძემ ერთხელაც შეგვახსენა თავი. საჯარიმოს წინა ხაზიდან ძლიერად დაურტყა გაბელიას, მეკარემ ცხრიანიდან მოხსნა ბურთი.

მეორე ტაიმში მინდორი ატალახდა და თამაშიც უფრო გაჭირდა, მაგრამ მასპინძლებმა მაინც არ მოისვენეს. ისინი ხშირად და დიდი ძალებით უტევდნენ. სახიფათო იყო ქორიძის შორეული დარტყმები.

შუა ტაიმში კი ზუგდიდელებმა ერთი იერიშიც დააგვირგვინეს გოლით. გლუნჩაძემ და კალანდაძემ დიდხანს იბრძოლეს საჯარიმოში, მაგრამ მცველებს თავი ვერ დააღწიეს, მათ ენდელაძე წამოეხმარა და თავისი მეორეც გაიტანა.

საფინალო სასტვენამდე დარჩენილ დროში ანგარიში ზუგდიდელთა სასარგებლოდ კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო, მაგრამ მეტი აღარ გასულა.

კომბლესი და ბატონისა არ იყოს, „ოდიშმა" ჯავრი იყარა „სიონზე". მართალია, 6:0 არ მოუგია, მაგრამ ბოლნისელთა პირველ ჯგუფში ყოფნა საეჭვო გახადა.

თბილისი
„სინათლე"
22 მაისი

**მერანი 0:1 ლოკომოტივი**

**მერანი:** ნაჭყეპია, ინიაშვილი, ე. ალადაშვილი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე, გეწაძე (აბაზაძე 62), დავითაშვილი, კაპანაძე (დავითნიძე 76), ა. ხორხელი (ივანიშვილი 78)
**ლოკომოტივი:** დოლაბერიძე, არჩვაძე, ერაძე (ზამთარაძე 64), ბარნოვი, კაკუბავა, ქვარცახავა, გ. კვეტენაძე, ყაველაშვილი, კოტორაშვილი (ხუციშვილი 78), გოდერძიშვილი (ვასაძე 88), ახალაძე
0:1 გოდერძიშვილი (60)
**გაფრთხილება:** არჩვაძე, ერაძე, გეწაძე, კვეტენაძე, ბარნოვი
**გაძევება:** არჩვაძე (86)
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)



გურამ [illegible] ფოტო

დავით გოდერძიშვილმა ყოფილ თანაგუნდელ რომეო გოგიტაძეს ჩაუქროლა

# რას იზამდა მახარაძე?

**ვანო ოძროპირიძე**

ამ ორმა გუნდმა ჩემპიონატში თავისი ამოცანა დიდი ხანია, გადაჭრა, ამიტომ ეს მატჩი არც ერთისთვის არ იყო მნიშვნელოვანი, თუმცა ერთ კაცს მაინც გულით ეწადა გამარჯვება, იგი „ლოკომოტივის" თავკაცი თემურ მახარაძე იყო, რომელიც შარშან „მერანს" ედგა სათავეში და მიუხედავად წარმატებული სეზონისა, გუნდიდან დაითხოვეს. თავის მხრივ, არც „მერანი" აპირებდა დათმობას. ამის გამო ბოლო ტურის ამ მატჩს ბევრი ელოდა ინტერესით.

პირველი ტაიმი საშუალო ტემპში, გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. დასაწყისშივე საკუთარ საჯარიმოში მყოფ კაპანაძეს ბურთი ფეხზე აეჭრა და ნაჭყეპიას რომ არ ემარჯვა, საკუთარ კარში გატანილი გოლის ავტორი შეიქნებოდა. ერთ წუთში „მერანის" კარს კვლავ ხიფათი დაემუქრა, კაკუბავას კარის გასწვრივ ჩაწოდებული ნაჭყეპიამ მოიგერია, ბურთი საჯარიმოს ხაზთან მდგომ გოდერძიშვილს მიუვიდა, რომლის მოჭრილი დარტყმაც მცირედით ასცდა კარს. 23-ე წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებულს მაზანაშვილმა დაჰკრა თავი, მაგრამ ბურთი მცველმა გამოიტანა კარიდან. ცოტა ხნის შემდეგ მესხს მიეცა რეალური შანსი, მაგრამ მის დარტყმასაც კარის ხაზზე მდგომი მცველი გადაელობა. 27-ე წუთზე გეწაძის თავურის შემდეგ მიწიდან ასხლეტილი ბურთი მცირედით გადასცდა კარს. ამის შემდეგ თამაში ჩაწყნარდა და პირველი ნახევარიც ასე გაილია.

მეორე ტაიმი „მერანის" აშკარა უპირატესობით დაიწყო. მათ რამდენიმე მწვავე იერიში განახორციელეს, თუმცა გოლის გატანა ვერ მოახერხეს. მე-60 წუთზე წინ წასულ მერანელებს სტუმართა მწვავე შეტევა გაეპარათ. კოტორაშვილმა მეურვე ჩამოიშორა და შორიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა და მარჯვენა ფლანგზე გაგორდა. იქ მას ქვარცხავამ მიუსწრო და საჯარიმოში ჩააწოდა, კარის სიახლოვეს მდგომმა გოდერძიშვილმა კი მკერდით ჩამოიღო და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ რეალური საგოლე მომენტის შექმნას მშვიათად ახერხებდნენ. 86-ე წუთზე საჯარიმოს წინ არჩვაძე წაიქცა და „მერანის" შეტევა რომ შეეჩერებინა, ბურთი ჩაბღუჯა, რისთვისაც მეორე ყვითელი და შესაბამისად წითელი ბარათი იხილა. ინიაშვილის დარტყმული ჯარიმა მცველს მოხვდა და მიმართულება შეიცვალა, მაგრამ დოლაბერიძემ მაინც შეძლო ბურთის აღება. მერანელებმა მინიმალური ანგარიშით წააგეს, რაც გარკვეულწილად მათი ფორვარდების — მესხისა და დავითაშვილის შედარებით სუსტმა თამაშმაც განაპირობა.

ერთხანს ცხრილის ბოლოში მოყურყუტე თბილისური „ლოკომოტივი" კი საბოლოოდ მეექვსე ადგილზე გავიდა, რაც უდაოდ გუნდის თავკაც თემურ მახარაძის დამსახურებაა. მან შარშან „მერანს", ჯგუფის დებიუტანტს, პირველივე სეზონში ინტერტოტოს თასის საგზური მოაპოვებინა. ვინ იცის, მახარაძე წლევანდელი ჩემპიონატის დასაწყისშივე რომ ჩასდგომოდა „ლოკომოტივს" სათავეში, იქნებ შარშანდელი შედეგი გაემეორებინა.

ქუთაისი
„გივი კილაძე"
22 მაისი

**ტორპედო 1:2 მაღაროელი**

**ტორპედო:** ასლანაძე, ლ. ქობულაძე, ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, ჩხეტიანი, თურმანიძე, კ. კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, კ. მეტრეველი, გ. შენგელია (ქებაძე 55), ვაჩიბერაძე (მეგრელაძე 46)
**მაღაროელი:** გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, შ. ბიწაძე, მ. გაბრიჭიძე, ჩიკვილაძე, ბარამიძე (ტეფნაძე 46), ბუიშვილი, შეყლაშვილი, კავთელაძე, მწყერაშვილი (პ. შეყილაძე 89)
0:1 კავთელაძე (58), 1:1 მეგრელაძე (72პ), 1:2 კიპაროიძე (78)
**გაფრთხილება:** ჩიკვილაძე, იობაშვილი, მეტრეველი, ტეფნაძე
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

# მაღაროელმა კარი გაიჯახუნა

**დავით დათიაშვილი** ქუთაისიდან

ბოლნისში წაგების შემდეგ გადაწყდა, რომ „ტორპედო" მხოლოდ ინტერტოტოზე ითამაშებდა, ამიტომ მისთვის ბოლო მატჩის შედეგს არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ფაქტობრივად წინა ტურში გავარდა „მაღაროელი", რომელსაც მართალია გაჩნდა გადათამაშებაში მოხვედრის თეორიული შანსი, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლანჩხუთის „გურია" წააგებდა ზესტაფონში და „მაღაროელი" მოიგებდა ქუთაისში, რაც ყველას შეუძლებლად მიაჩნდა. ჭიათურელები კი თურმე ასე არ ფიქრობდნენ. მათ შეუძლებელი შეძლეს და სტუმრად გაიმარჯვეს.

ფეხბურთში ასეც ხდება, ერთი გუნდი მეორეს მთელი მატჩის განმავლობაში სჯობნის, ფლობს უპირატესობას, ქმნის უამრავ საგოლე მომენტს, ურტყამს ბურთს კარში, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხებული ტოვებს მოედანს. ამ დღეს ქუთაისელებმა ყველაფერი გააკეთეს, იბრძოლეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ. რატომ? ალბათ, პასუხი ერთია — მთავარია მიზანი, რომელიც ამ მატჩში „ტორპედოს" არ გააჩნდა. თუმც მივყვეთ თამაშის მსვლელობას.

მეოთხე წუთზე მეტრეველმა კვეტენაძესთან გაითამაშა კედელი და ძლიერი დარტყმით ბურთი კარისკენ გაგზავნა. „მაღაროელი" ძელმა იხსნა. თითქმის მაშინვე მეტრეველმავე კუთხურიდან მოწოდებული ბურთი თავით გაგზავნა კარისაკენ, რომელსაც ჯერ მეკარე გადაელობა, შემდეგ — ძელი. სამი წუთის მერე ისევ მეტრეველი აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ გველესიანმა კვლავ იმარჯვა.

მე-19 წუთზე ჩხეტიანმა შორეული დარტყმით შეამოწმა მაღაროელთა კარის ძალის სიმტკიცე.

კიდევ ორი წუთი და ვაჩიბერაძე გავიდა მარცხენა ფრთაზე, ჩააწოდა კარის გასწვრივ, მაგრამ შენგელია ბურთს ვერ მისწვდა.

31-ე წუთზე შალვა ხუჯაძემ ჩვეულად, შორიდან დაარტყა, ბურთი მოიგერია გველესიანმა, ახლოდან დაამატა ჩხეტიანმა, მაგრამ ისევ მეკარე იდგა საიმედოდ. მალე შენგელია გავიდა საგოლე პოზიციაში. მაგრამ ბურთი იდნავ ასცდა მეტოქის კარს.

ტაიმის ბოლოს შენგელიამ ჩააწოდა მეტრეველს, მან თავით დაუგდო ვაჩიბერაძეს, რომელმაც ახლო მანძილიდან კი დაარტყა, მაგრამ კვლავ არაზუსტად. ასე გასრულდა პირველი ტაიმი, რომლის შემხედვარე იფიქრებდი, რომ „ტორპედოს" დიდი ანგარიშით გამარჯვება მხოლოდ დროის ფაქტორი იყო.

მაგრამ დაიწყო მეორე ნახევარი და მოედანზე მოვლენები სხვაგვარად წარიმართა. არა, ტორპედოელებს მონდომება არ დაუკლიათ. მაგრამ მათ წინააღმდეგ უკვე სხვა გუნდი იდგა.

58-ე წუთზე შეყლაშვილის კუთხურიდან მოწოდებული ბურთი კავთელაძემ ეფექტური დარტყმით მასპინძელთა კარის ბადეში მოათავსა.

როგორც კი იგრძნეს დამარცხების საშიშროება, ქუთაისელი ფეხბურთელები მეტოქის კარის შტურმზე გადავიდნენ. ტაიმის შუაწელში ჩხეტიანის კუთხურს კარგად შეურჩია ადგილი მეგრელაძემ და ბურთი თავით გაგზავნა კარისკენ, რომელიც ხელზე მოხვდა ჩიკვილაძეს — პენალტი. მეგრელაძემ ანგარიში გაქვითა.

ამ გოლს სტუმრები არ აუფორიაქებია. ისინი განაგრძობდნენ თავიანთ თამაშს, რასაც მალე შედეგიც მოჰყვა. ბურთი ისევ სტანდარტული მდგომარეობიდან გავიდა — შეყლაშვილმა ჯარიმა ჩააწოდა მარჯვენა ფრთიდან და მეკარის მოედანზე წარმოქმნილ ზედახორაში ყველაზე მარჯვე კიპაროიძე აღმოჩნდა.

ამის შემდეგ აღარაფერი შეცვლილა, როგორც იტყვიან, „მაღაროელმა" ხმაურით გაიჯახუნა პირველი ჯგუფის კარი.

# ცოცხალმკვდრები

**გორი**
**ცენტრალური**
**22 მაისი**

**დილა 2:3 ვიტ ჯორჯია**

**დილა:** გრ. ჭანტურია (თ. ილურიძე 46), ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, თარხნიშვილი (ჯ. გაგნიძე 46), რევაზიშვილი, მარეხაშვილი (შატაკიშვილი 54), გ. ჩიტაია, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, კაიდარაშვილი
**ვიტ ჯორჯია:** დ. ჯანელიძე, გ. ილურიძე, კევლიშვილი, ს. არჩვაძე (ჭოხონელიძე 46), მ. ბურდული, ვ. ქუთათელაძე, რუხაძე (ალავიძე 46), მაისურაძე, ლ. ნოზაძე, ჭუმბურიძე, გოჩაშვილი
0:1 ქუთათელაძე (40), 0:2 ჭუმბურიძე (42), 0:3 გოჩაშვილი (53), 1:3 გ. ჩიტაია (55), 2:3 რევაზიშვილი (67)
**მსაჯი:** მ. მალალურაძე (თბილისი)

**მამუკა კვანტალიანი** გორიდან

რა უნდა მოსთხოვო გუნდს, რომელსაც ჯამაგირი თვეობით არ მიუღია, უძლიერესთა შორის ადგილი დაჯავშნული აქვს და მინდორზე მხოლოდ იმისთვის გავიდა, ფეხბურთის ფედერაციამ 3:0 წაგება არ ჩაუთვალოს, რასაც საკმაოდ სოლიდური ფულადი ჯარიმაც ერთვის. სხვას თავი დავანებოთ, არ ჰყავს მწვრთნელი, არ ვარჯიშობს და მატჩის წინ შემადგენლობას კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ასახელებს.

ასეთი გახლდათ გუშინდელი „დილა". გორელთათვის ჩემპიონატი მაშინ დასრულდა, „დინამოსთან" თასის ნახევარფინალი რომ წააგეს. გუშინდელი შედეგი არაფერს შეცვლიდა და ფეხბურთელებმაც არად ჩააგდეს სპორტული პრინციპი. „დილას" ვეტერანებს სირბილი დაეზარათ, ახალგაზრდებმა თავი დაზოგეს, ფეხებს მოუფრთხილდნენ. არც იყო გასაკვირი. ლამის მთელი გუნდი ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული, „დილაში" კი მეტი არავინაა, სათამაშოდ ხელმძღვანელები ხომ არ გავიდოდნენ.

ვერავინ იტყვის, „ვიტ ჯორჯიამ" გორელები მოისყიდაო. ამგვარი რამ არავის შეუმჩნევია. ვინმე რომ მოისყიდო, ბლომად ფული უნდა გქონდეს. ვიტელების ხაზინა კი მეტად ღარიბია. უბრალოდ, თბილისელებმა კარგად გამოიყენეს მასპინძელთა დარდიმანდობა და ფიზიკურად გაცილებით ძლიერებმა თამაშიც მოიგეს. ამით გავარდნასაც გადარჩნენ და გადათამაშებაში მოხვედრაც აიცილეს.

მასპინძლები მხოლოდ მეორე ტაიმში შეფუცხუნდნენ. იმ დროს, როცა უკვე დიდი ანგარიშით აგებდნენ შეხვედრას, რაც სეზონში პირველად ხდებოდა. გორელებს ერთგული ქომაგების ასე გაწბილებაც არ უნდოდათ. ფეხბურთელებმა 15 წუთი მოინდომეს, ორი გოლი გაიტანეს და ისევ დადგნენ. ეტყობოდათ, მალალურაძის საფინალო სასტვენს მომავალი გიორგობის დღესასწაულივით ელოდნენ.

მანამდე კი სტუმრები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. მოსაგებად ჩამოსულებს თავიდანვე უნდა ეხეირათ, მაგრამ მეკარესთან პირისპირ მორიგეობით გასულ ჭუმბურიძეს და გოჩაშვილს ჭანტურიამ არ გაატანინა. მასპინძელთა დაცვა ისე არეულად მოქმედებდა, ცხადი იყო, გოლი მაინც გავიდოდა. მართლაც, ჯერ ქუთათელაძემ გაიტანა ახლო მანძილიდან, როცა მცველებს დაუსხლტა და მეკარესთან პირისპირ გასულმა ჭანტურიასაც შემოატარა ბურთი, მერე ჭუმბურიძემ საჯარიმოს მისადგომიდან დაჰკრა ლონივრად და ვიტელთა უპირატესობა უფრო სოლიდური გახადა.

მეორე ნახევარი ახალი დაწყებული გახლდათ, როცა გოჩაშვილმა მასპინძელთა ახალშემოსული მეკარე დაალონა. მცველებმა ათლეტური სტუმრის შეჩერება ვერ შეძლეს და ილურიძესთან პირისპირ გაუშვეს.

ამის შემდეგ გამოცოცხლდნენ მასპინძლები და ორი საპასუხო გოლიც გავიდა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა.

ჩემპიონატიც დასრულდა, დასრულდა ისე ულიმღამოდ, როგორც დაიწყო. ასე მივდივართ რვა წელიწადია და თუ ჩვენი ფეხბურთის სიკვდილი არ გვსურს, აუცილებლად რაღაც უნდა შევცვალოთ, თორემ...

# ქურიოზთა სერიალი

**მცხეთა**
**„არმაზი"**
**22 მაისი**

**დინამო 2:2 სამგურალი**

**დინამო:** ზოიძე, არსოშვილი, შაშიაშვილი, ქემოკლიძე, ა. სახვაძე, გ. კვარაცხელია, კიკნაძე (მაჭავარიანი 63), ალექსიძე, აშვეთია (მიქაძე 68), გველესიანი, გონჩაროვი
**სამგურალი:** სტურუა, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, კოლუაშვილი, ჭელიძე, ძაგნიძე, მოსიკაშვილი (დარსაძე 65), გ. ვაშაკიძე, კ. ჯანაშია, ჯავახაძე, თევდორაძე (ქუთათელაძე 75)
1:0 კიკნაძე (43პ), 1:1 ძაგნიძე (56), 2:1 მაჭავარიანი (85), 2:2 ფრანგიშვილი (89)
**გაფრთხილება:** სახვაძე, ფრანგიშვილი, ქემოკლიძე
**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**გიორგი ვაშაკიძე**

გუშინ მცხეთაში ჩემპიონთან მოპოვებულმა ფრემ იმერლები ოფიციალურად დატოვა უმაღლეს ჯგუფში. „დინამომ" ოთხ დღეში თასის ფინალი უნდა ითამაშოს ბათუმელ თანაკლუბელებთან, ამიტომ მისმა ხელმძღვანელებმა ყოველგვარი გართულების თავიდან აცილების მიზნით ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად შვიდი ფეხბურთელი დაასვენეს და ახალბედებს დაუთმეს ასპარეზი. ისინი კი გამოუცდელობის კვალობაზე ურიგოდ არ გაისარჯნენ.

შეხვედრა საშუალო ტემპში წარიმართა. მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ როგორც ტერიტორიულ, ისე სათამაშო უპირატესობას, სტუმრები კი დროდადრო კონტრშეტევებს ახორციელებდნენ.

პირველი ნახევრის 43-ე წუთამდე საინტერესო არაფერი მომხდარა. ამ დროს კი სახვაძემ გაიბრწყინა, დრიბლინგით რამდენიმე მცველი ჩამოიშორა, საჯარიმოში შეჭრილი კი სტუმრებმა წააქციეს და ლორთქიფანიძის სასტვენმაც არ დააყოვნა. ხომერიკის არყოფნაში პენალტის შესრულება კიკნაძემ ითავა და აუღელვებლად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას.

მეორე ნახევარი, პირველისგან განსხვავებით, უფრო თვალსასეირო გამოდგა, მაგრამ მთავარი მოვლენები აქაც შეხვედრის მიწურულს დატრიალდა.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ „დინამოში" კვლავ გამოჩნდა გამოცდილი მცველი მამუკა მაჭავარიანი, რომელმაც თავისი დაბრუნება ერთობ კურიოზული გოლით აღნიშნა. მანამდე კი წყალტუბოელებმა დაახლოებით 19-20 მეტრიდან ჯარიმის უფლება მოიპოვეს. ძაგნიძემ მოჭრილი დარტყმით იოლად ასალები ბურთი გაუტანა ზოიძეს, ხოლო ბოლო ხუთწუთიან მონაკვეთში მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. ორივე გუნდის მეკარეთა ქმედებამ გაახალისა „არმაზზე" მისული მცირერიცხოვანი მაყურებელი. კურიოზთა სერიალი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 56-ე წუთზე დაიწყო და 85-ეზეც გაგრძელდა: მაჭავარიანის გასროლილი სტურუამ ხელით ვერ დაიჭირა, ფეხებშუა გაუძვრა, შემდეგ წაქცეულმა მდგომარეობის განმუხტვა სცადა, მაგრამ კარიდან გამოტანის მაგივრად საკუთარ კარში შეაგორა ბურთი. ამან დაამწუხრა სტუმართა გუნდის ხელმძღვანელობა, თუმცა კოლეგას არც ზოიძე ჩამორჩა. 89-ე წუთზე დინამოს საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, მეკარემ ბურთს ხელი გაკრა, იგი მიუგორდა სტუმარ ფრანგიშვილს, რომელმაც დინამოელ მცველთან ჭიდილში იმარჯვა.

ჩემპიონატი გასრულდა, „დინამო" კვლავ ჩემპიონია. შესვენებისას ჩემპიონთა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელ დავით მუჯირს გავესაუბრეთ.

— რას განიცდით ახლა, როდესაც ჩემპიონი გახდით და როგორ აპირებთ ამ მოვლენის აღნიშვნას?

— თავდაპირველად გეტყვით, რომ სეზონის წინ დაგეგმილი გვქონდა როგორც ჩემპიონობა, ისე თასი. პირველს რამდენიმე ტურით ადრე მივაღწიეთ, ახლა კი შევეცდებით, რომ დუბლიც შევასრულოთ, რისთვისაც სერიოზულად ვემზადებით. ჩემპიონობა ძალიან გამიხარდა, რადგან ეს ჩემი პირველი ოფიციალური ტიტულია. შარშან ტრავმებმა არ მომცა საშუალება, შეხვედრათა ნახევარი დამეგროვებინა და პირველობისთვის მებრძოლა. წლეულს, მგონი, არ გაგვჭირვებია ტიტულის შენარჩუნება და რომ არა ის დაკლებული 5 ქულა, ალბათ, უფრო ადრეც გავხდებოდით ყველასთვის მიუწვდომელნი. რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვაპირებთ ამ წარმატების აღნიშვნას, ეს, ალბათ, გუნდის ხელმძღვანელობამ უკეთ იცის. სამომავლო მიზანი კი ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფური ტურნირის საგზურის მოპოვებაა.



რამაზ კოლუაშვილმა (№4) და ილია ჭავახაძემ რატი ალექსიძე მოიმწყვდიეს

# ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე

**ბათუმი**
**„დინამო"**
**22 მაისი**

**ბათუმი 2:0 თსუ**

**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე (ღლონტი 61), მინდაძე, სიჭინავა, გ. შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, კანტიძე (აფხაზავა 70), სოლოლაშვილი
**თსუ:** ნიკურაძე, ყოლბაია, ვერემჩუკი, ბახტაძე (ლ. მელქაძე 46), სვანიძე, შალამბერიძე, გემეზაშვილი, გიორგი ქორიძე, მაზიაშვილი (რუსია 68), კ. მელქაძე, როსტიაშვილი (კ. მუჯირი 78)
1:0 მაჭუტაძე (24), 2:0 თორლაშვილი (58)
**გაფრთხილება:** შალამბერიძე
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

**გოჩა ჯანაშია** ბათუმიდან

წლევანდელი ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ბევრი რამ გაირკვა, მაგრამ სწორედ ბოლო ტურს უნდა გადაეწყვიტა, ვინ დაიკავებდა მეორე-მესამე საპრიზო ადგილებს. ეროვნული ჩემპიონატების დასაბამიდან „ბათუმი" სეზონის ბოლოს თითქმის ყოველთვის ლიდერთა შორის იმყოფებოდა, მაგრამ ვიცე-ჩემპიონობა არასდროს ღირსებია. შარშან ზღვისპირელებმა მესამე საფეხურზე ჩაამთავრეს ჩემპიონატი. და აი, წლეულს, წინა ტურში, ფოთში ერთობ პრინციპული მატჩის მოგების შემდეგ, ვერცხლის მედლების მოპოვების რეალური შანსი მიეცათ და კიდეც გამოიყენეს.

გუშინ „ბათუმს" მეტოქედ ჰყავდა გუნდი, რომელმაც წლევანდელი სეზონი რიხით დაიწყო, ერთი ხანი უდანაკარგოდ ლიდერობდა, მაგრამ სტუდენტებს დიდი ამბიციები თანდათან შეუნელდათ და ცხრილის შუაში დაბინავდნენ. ბოლო ტურებში კი უბრალოდ ქულის აღებაც ლამის დილემად ექცათ. მართლაც, გუნდს აშკარა კრიზისი ეტყობა და თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ჩვენში საკმაოდ გარცელებული „ერთი წლის გუნდის" სახელიც დაიგდოს.

თვით მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ბათუმელთა შეტევებით დაიწყო და ბოლომდე ასე გასტანა. მესამე წუთიდან მოყოლებული, გოლის გატანის რეალური შანსი ჰქონდათ ორჯერ ივანე მახარაძეს, სიჭინავას, მალხაზ მახარაძეს, მაგრამ ანგარიში მხოლოდ 24-ე წუთზე გაიხსნა, როცა კარისკენ ზურგშექცევით მყოფმა მაჭუტაძემ ბურთი საჯარიმოს წინა ხაზის სიახლოვეს მიიღო, შემოტრიალდა, ორი მცველი მოატყუა და ეფექტური დარტყმით ნიკურაძეს შანსი არ დაუტოვა. ამის შემდეგაც „ბათუმი" დომინირებდა, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული არაფერი შეუქმნიათ. თამაშის განახლების შემდეგაც მასპინძლებმა ჩვეული შემტევი სტილი შეინარჩუნეს და მალე ულამაზესი გოლიც გაიტანეს. მარჯვენა ფრთაზე ტრადიციულად აქტიურმა მეგოლე მცველმა ივანე მახარაძემ საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩაჰკიდა. იქ კი როსტომ თორლაშვილმა დაახლოებით 15 მეტრიდან ულამაზესი თავურით ბურთი სტუმართა კარის მარცხენა ცხრიანში ჩასვა.

მატჩის ბოლო წუთები სტუმარმასპინძელთა ორმხრივ შეტევებში გაილია, მაგრამ ბათუმელთა ორბურთიანი უპირატესობა მსაჯის საფინალო სასტვენმა საბოლოოდ დააფიქსირა.

მატჩის დამთავრების შემდეგ გუნდების კაპიტნებმა საქართველოს დროშა ძირს დაუშვეს და ბათუმში ეროვნული ჩემპიონატიც დასრულდა. თუმც საფეხბურთო სეზონი 26 მაისს დაიხურება, როცა თბილისში ეროვნულ სტადიონზე „ბათუმი" ქვეყნის უცვლელ ჩემპიონს, თბილისის „დინამოს" ზედიზედ მეოთხედ შეეცილება საქართველოს თასს. გატეხავენ ნავსს ზღვისპირელები? ამას სამ დღეში შევიტყობთ. ისე კი „დინამოს" და „ბათუმს" წელს თამამად შეუძლიათ განაცხადონ — ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე.

# მომავლის იმედით

**ზესტაფონი**
**ცენტრალური**
**22 მაისი**

**მარგვეთი 1:1 გურია**

**მარგვეთი:** ნიქაბერიძე, გოგაძე (მხეიძე 65), ჟვანია, თ. გაბრიჭიძე (კაკაბაძე 46), ლონდაძე, კაციაშვილი, სულაკაძე (ქურციკიძე 35), მალალურაძე, მუმლაძე, მაღრაძე, შავგულიძე
**გურია:** გოგუა, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, კუკულაძე, ფაცურია, თიბილაშვილი (ხოსროშვილი 27), ზ. კვეკვესკირი, განევი (ჯაშიაშვილი 46), ჩხეტია, ბუკია, ბულუხია.
1:0 შავგულიძე (81), 1:1 ბულუხია (83)
კ. კვეკვესკირმა ვერ გაიტანა პენალტი (25)
**მსაჯი:** თ. მაჭარაძე (ხონი)

**ბესიკ ჯანჯღავაძე** ზესტაფონიდან

მორჩა, ათასჭირგამოვლილმა ზესტაფონის „მარგვეთმა" თავისი ბოლო მატჩი ითამაშა პირველ ჯგუფში. რამ გამოიწვია „მარგვეთის" ასე დაჩაჩანაკება, ამაზე არაერთხელ თქმულა და მომავალშიც ბევრჯერ იტყვიან. მე თუ მკითხავთ, ამ გუნდში რაც ხდება, ყველამ უნდა შეიტყოს, რადგან არაა გამორცხული, ხვალ იგივე სხვას შეემთხვეს. ნამდვილად ღირს სხვის შეცდომებზე (ამ შემთხვევაში, „მარგვეთის") დაფიქრება, თორემ თავისაზე ვინც სწავლობს, კარგად მოგეხსენებათ. ამიტომ „მარგვეთის" ეპოპეა (მერწმუნეთ, ოდნავადაც არ ვაჭარბებ) საყოველთაო განსჯის საგანი უნდა გახდეს. მოკლედ, ვითარება ერთობ რთულია და გამოსწორებას პირი არ უჩანს.

თუმცა, ახალგაზრდული შემადგენლობის და მომავლის იმედი არ დაუკარგავთ.

ჩემპიონატის ბოლო მატჩში კი მარგველებმა, ეტყობა, ღირსეული თამაშით გამომშვიდობება გადაწყვიტეს და პირველიდან ბოლო წუთამდე მეტად ენერგიულად, თავდადებით ირჯებოდნენ. მათ არც ლანჩხუთელები ჩამორჩნენ (რომელთა ბედიც ჯერ კიდევ ბეწვზე ეკიდა) და ისეთი ბურთაობა გაჩაღდა, თქვენი მოწონებული. გუნდები საკმაოდ ხისტად, დიდი ყურადღებით თამაშობდნენ და ტოლსწორადაც ეპაექრებოდნენ ერთმანეთს.

პირველ ნახევარში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, გარდა ერთისა. კობა კვეკვესკირმა ფაცურიას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა — ნიქაბერიძემ იყოჩაღა. მეორე ტაიმი ზესტაფონელებმა გააფთრებული შეტევებით დაიწყეს, კარის მიმართულებით დარტყმებმაც იმატა და რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ შავგულიძემ 81-ე წუთზე დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გოგუას ლამაზი გოლი გაუტანა. გაშვებული ბურთის შემდეგ სტუმრები დაფაცურდნენ, მთლიანად შეტევაში ჩაერთვნენ და შედეგმა არ დააყოვნა — ორ წუთში ზაზა კვეკვესკირმა მარცხენა ფრთიდან გამჭოლი გადაცემით ბულუხია პრაქტიკულად ცარიელი კარის წინ დატოვა და მანაც ახლო მანძილიდან იხსნა გუნდი.

გურულები ჯგუფიდან პირდაპირ გავარდნას კი გადაურჩნენ, მაგრამ წინ დიდი ბრძოლები ელით. თუმცა, მასპინძელთა დარად, მომავალს იმედით უყურებენ.

# გიო

## (მე მაინც მჯერა)

ამერიკის უმაღლესი მწვერვალი აკონკაგუა, არგენტინის ანდებს ეკუთვნის და ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ასობით მთამსვლელს იზიდავს. თითქმის ხუთი ათასი მეტრის სიმაღლეზე საბაზო ბანაკი მდებარეობს, სადაც გია თორთლაძესთან ერთად მეც ვცხოვრობდი და საღამოობით სიამოვნებით დავბოდიალობდი კარვებს შორის. აკლიმატიზაციისთვის სიარული და მოძრაობა აუცილებელია და საკმაო ფართობზე გაშლილ ბანაკს ზოგჯერ რამდენიმე წრესაც ვარტყავდი. ერთ საღამოს სწორედ იმ კარვიდან, ინგლისის დროშა რომ ფრიალებდა, მშვენიერმა გოგონამ გამოყო თავი და საიდან ხარო, გაღიმებულმა მკითხა. საქართველოს გაგონებაზე, განწირული ხმით იკივლა ჩვენი ქვეყნის სახელი და იმავე კარვიდან რამდენიმე შეშლილი კაცი გამოვარდა. მანჩესტერელები ვართო, არ აცლიდნენ ერთმანეთს და გამეტებით მეხვეოდნენ, გულში მიკრავდნენ და ჩემთვის უცნობ შეძახილებს ყმუოდნენ. მიუხედავად სიმაღლისა, სადაც სისხლის მიმოქცევა ფერხდება და შესაბამისად, ტვინიც ძნელად მუშაობს, მაინც მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ან რა მიხვედრა უნდოდა — ინგლისელთაგან ერთ-ერთი, კარავში შევარდა და გიო ქინქლაძის, ჟურნალიდან ამოჭრილი ფოტო გამოიტანა. მერე სიტის კაშნებიც გაშალეს და გიოს სურათით ხელში, ყმუილითა და სიმღერით, მთელი ბანაკი შემოირბინეს. ცოტათი რომ დამშვიდდნენ, საბედისწერო შეცდომა დავუშვი — ქინქლაძეს პირადად ვიცნობ-მეთქი — წამომცდა და ხელში უნდა აგიყვანოთო. ნუ წუხდებით-მეთქი. როგორ გეკადრებათო. იყო ტირილი, კივილი და მთელი ღამე არავინ დააძინეს. მთელი ღამე ბანაკის გასაგონად მღეროდნენ. მღეროდნენ განწირული ხმით. მღეროდნენ დილამდე...



მორჩა, გიო ქინქლაძე სიტელი აღარ არის!

ეს იყო შარშანწინ. იყო მაშინ, როცა „მანჩესტერ სიტი" პრემიერლიგაში თამაშობდა ჯერ კიდევ და გიო ქინქლაძის ფენომენზე საუბრით უბრალოდ არ იღლებოდნენ ინგლისელი ჟურნალისტები. ეს იყო მაშინ, როცა ბრიტანულ ტელეარხებზე განუწყვეტლივ აჩვენებდნენ გიოს პასებსა და გოლებს. იყო მაშინ, როცა ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრები სამართლიანად ამაყობდნენ თავიანთი კერპით. ამაყობდნენ სამართლიანად, რადგან როგორი უხერხული მოსასმენიც არ უნდა იყოს რომელიმე ქართველი ხელოვანის, მეცნიერისა თუ პოლიტიკოსისთვის, ფაქტი ფაქტად რჩება და უამრავმა ინგლისელმა ჩვენი სამშობლო ფეხბურთელის წყალობით გაიცნო. სწორედ გიო ქინქლაძის გამო უამრავი ინგლისელი საქართველოთი დაინტერესდა საკმაოდ სერიოზულად და „სიტის" ქომაგებმა ქართულის შესწავლაც კი დაიწყეს. მსოფლიოში ცნობილმა „ოაზისმა" სიმღერა უძღვნა გიოს და „სიტის". ბრიტანულ სტადიონებზე ქართული დროშები აფრიალდა. მანჩესტერელები ქართული დროშებით ხელში ქალაქიდან ქალაქში დაჰყვებოდნენ „სიტის" და გუნდის ერთპიროვნული ლიდერი, ქართველი ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე მოედანზე სასწაულს ახდენდა. ამიტომაც ფანებმა მეფე უწოდეს მას და პატარა მეფემ პატარა საქართველოც შეაყვარა ინგლისელებს. და საწყენიც არაფერი უნდა იყოს, რადგან კულტურის წარმოდგენას სამშობლოს გარეთ, მის შესწავლასა თუ გაცნობას დრო სჭირდება, ფეხბურთს კი მილიონობით მაყურებელი ჰყავს და გულშემატკივართა აუდიტორიაც ერთ დღეში, ერთ მატჩში შეიძლება დაიბადოს და გაიზარდოს. ასეც იყო და ასეც მოხდა. მაგრამ მოხდა ორი წლის წინ და გიოს შესანიშნავი თამაშის მიუხედავად „სიტიმ" პრემიერლიგა დატოვა. დატოვა, რადგან გუნდში ერთადერთი ნამდვილი ფეხბურთელი იყო და დანარჩენები მხოლოდ უბრალო მობურთალებსა ჰგავდნენ. ინგლისელი ფანისთვის სულერთია, სად თამაშობს მისი სათაყვანებელი გუნდი, მთავარია, მის მიმართ ერთგულება ბოლომდე, მანამ, სანამ ეს გუნდი საერთოდ არსებობს. გიო ქინქლაძეც ინგლისელი გულშემატკივრებისთვის დარჩა კერპად. ყველაფრის მიუხედავად. ჩვენგან განსხვავებით. ჩვენ კი, როგორც ვიცით ხოლმე (როცა კაცი წაიბორძიკებს) ხელი ჩავიქნიეთ — ქინქლაძემ არ გაამართლაო და დავიშალეთ. უკვე ორი წელია მესმის გიოს გამო იმედგაცრუებულთა წუწუნი და უბრალოდ გვავიწყდება, რომ მაგალითად, ყიფიანი, ის დავით ყიფიანი რომ გახდა (რომელიც გვიყვარს), ოცდაათი წლის იყო თითქმის და მისი საფეხბურთო კარიერის დასაწყისში (ოცდაშვიდ წლამდე), ყველაზე ხშირად ვის აგინებდნენ სტადიონზე, ქართველ გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ. მიუხედავად ყველაფრისა, ძირითადი ჩვენებური განწყობისა, მე იმ ქართველ გულშემატკივართ ვეკუთვნი, ვისაც მაინც სჯერა, რომ გიო ქინქლაძე მოვლენაა ჩვენი დროის ქართულ ფეხბურთში და ადრე თუ გვიან გიო ქინქლაძე აუცილებლად გააოცებს ქართველ ფანებს, ევროპასა თუ მსოფლიოს. მე მაინც მჯერა, რომ გიო აუცილებლად დაივიწყებს ქართული ხასიათის ერთ უცნაურ თვისებას და პირიქით — მისთვის ყოველი მატჩი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი. იქნება ისეთი, რომლის გამოც იგი სათაყვანებელი კერპი გახდა ათასობით ადამიანისთვის და „მანჩესტერ სიტი" უკვე წარსულია, გიო ქინქლაძე „აიაქსის" წევრი გახდა. ახალი კლუბი ახალი ინერციისაა და სტიმულის ასპარეზი უნდა იყოს. და თავად გიო ქინქლაძემაც უნდა იცოდეს, რომ მისგან ისევ ელიან დიდ ფეხბურთსა და უზარმაზარ წარმატებას, და რაც მთავარია, მიუხედავად წარუმატებელი სეზონისა, იგი მაინც უყვართ. მაინც უყვართ საქართველოში და მისი შესაძლებლობების მაინც სჯერათ. ის მაინც გიორგი ქინქლაძეა, ან უბრალოდ გიო და მე მაინც მჯერა...

ინგლისელებს კი ქინქლაძე ჯერ არ დავიწყებიათ, „ვესტ ჰემთან" სათასო მატჩში გატანილი ქინქლაძის ბურთიც სეზონის საუკეთესო გოლად მიტომ აღიარეს.

**დათო ტურაშვილი**

დამოუკიდებელი საქართველოსა და რუსეთის ნაკრები გუნდები 30 მაისს პირველად იპაექრებენ

**საქართველო — რუსეთი**

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 30 მაისი. 18 საათი

# რუსები მოსაგებად მოდიან და უკვირთ, რატომ ვერ მოხვდა საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატზე

*— რას შვრები, მივდივართ 30-ში?*

*— უეჭველად...*

*უკვე დაიწყო თბილისში მსგავსი ლაპარაკი. ასე გაგრძელდება 30 მაისის ექვს საათამდე. რაღა განმარტებაა საჭირო, დღეის სწორს პაიჭაძეზე დიდი ფეხბურთია. 28 მაისის ექვსი საათიდან 30-ის გვიან საღამომდე თბილისს რუსეთის ეროვნული გუნდი ესტუმრება. მომავალ შაბათს „დიდებისა" და „იდიდეს" მსმენელნი შევიქნებით, ურღვევ რესპუბლიკათა კავშირის დაშლამ ხომ ეს ორი ჰიმნი შვა, „დიდება" — საქართველოსი, „იდიდე" — რუსეთისა. ადრე ერთნი ვიყავით, ეროვნების, მენტალიტეტის, წარსულის გარდა თითქმის ყველაფერი საერთო გვქონდა. ახლა მეზობლობისა და სტატეგიული პარტნიორობის გარდა აღარაფერი გვაკავშირებს. 30-ში ორი სახელმწიფოს მობურთალთა 22 რჩეული მინდვრის განაპირას გამწკრივდება, ხალხს მიესალმება და... ამხანაგური მატჩი დაიწყება? აი, რაზე ფიქრობს ყველა. თამაშს ამხანაგური ეთქმის, უქულო იქნება, მომავალი ბატალიებისთვის მოსამზადებელი, მაგრამ მხოლოდ ფურცელზე. სულსა და გულში კი?*

*უნებურად ძველი დროება ამოტივტივდება... ისევ რუსი. რუსი მოდის და მოვიდეს. ვითამაშოთ, სამშვიდობოდ რუსსაც მივიღებთ და მოზამბიკელსაც. უეჭველია, 30 მაისი ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო დღე იქნება.*

*მანამდე კი, გულშემატკივარი თითებს კაკვავს, კვირის დღეებს ითვლის, ფეხბურთელები შესაკრებად ემზადებიან, მწვრთნელები ბჭობენ, ჟურნალისტები ვწერთ...*

*ბორის იგნატიევი, რუსთა თავკაცი კი თითქმის ყოველ დღე იქაური ფეხბურთის პრეზიდენტთან, ვიაჩესლავ კოლოსკოვთან თათბირობს. დეტალებს აზუსტებს, თბილისში სტუმრობამდე ხომ 27-ში ისინი პოლონეთშიც თამაშობენ. ისე, თავიანთი საქმისა თავადვე უწყიან. ჩვენთვის მთავარი მატჩია და ცხადია უმნიშვნელო არც ისაა, რას ფიქრობს თბილისში ჩამოსვლამდე ბორის იგნატიევი.*

*ინტერვიუ ტელეფონით შედგა. რუსთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის სამუშაო ნომერზე ქართულად გვიპასუხეს...*

*— გისმენთ!*



ომარ თეთრაძეს ვეღარ ვიხილავთ

*არა. იგნატიევი საქართველოში წამოსვლამდე ქართულს ენის სწავლას როდი შედგომია. მის ნაცვლად გუნდის ექიმი ზურაბ ორჯონიკიძე ქართულად გამოგვეხმაურა და თბილისში რა ხდება, ემზადებით ჩვენს დასახვედრადო — გვკითხა სალმისთანავე. ჩვენც ამით ვისარგებლეთ და პირველი კითხვებითაც მას მივმართეთ.*

**— ყველა ფეხბურთელი ჯანზეა?**

— არა, ომარ თეთრაძეა ცუდ დღეში, დღე-დღეზე საავადმყოფოში უნდა დავაწვინოთ.

**— რა დაემართა? თბილისში ვეღარ ჩამოვა?**

— არა მგონია. ძველი ტრავმა გაუმიზეზდა, ფეხი საშინლად აწუხებს და საოპერაციოა.

**— სხვები?**

— დანარჩენები კარგად არიან, ვინც იგნატიევმა გამოიძახა, თბილისში ყველა ჩამოვა.

**— საქართველოში მოსაგებად ჩამოდიხართ?**

— აბა, რა გითხრათ, ლამაზი თამაში რომ იქნება, ეგ ხომ ასპროცენტიანია. კარგი გუნდი გვყავს.

**— ვის გულისხმობთ, ქართველებს თუ რუსებს?**

— ოო, ჩემთვის ძნელი სათქმელია. 30 წელია, მოსკოვში ვცხოვრობ, მაგრამ სულით ქართველი ვარ, იმერეთიდან იყვნენ ჩემი წინაპრები. ქართულ ენას რა დამავიწყებს.

**— მაინც, გვყავსო, რომ თქვით, რუსეთი იგულისხმეთ?**

— ისე, რუსეთმა გამიარა გუნებაში. თუმცა, მერწმუნეთ, საქართველოც ვიგულისხმე. ბოლო-ბოლო ქართველი ვარ, ოღონდ აქ ვცხოვრობ და რუსეთის ნაკრებში ვმუშაობ.

*ამასობაში კოლოსკოვთან მოთათბირე ბორის იგნატიევიც დაბრუნდა თავის სამუშაო ოთახში, ზურაბ ორჯონიკიძემ უთხრა, თბილისიდან გირეკავენო, ყურმილი გადასცა და...*

— მართალია, თითქოს თბილისში სტადიონი გაივსება? — ბორის იგნატიევი პირდაპირ საქმეზე გადავიდა, კითხვაც თავადვე დაგვისვა — ალბათ, ანშლაგია მოსალოდნელი.

**— ქართველები თქვენს დასახვედრად ვემზადებით.**

— ძალიან კარგი. მგონი, საინტერესო მატჩი გველის, მგონი კი არა, დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი თამაშია, შესარჩევები ახლოვდება. როგორც იმ ძველ, სასიამოვნოდ მოსაგონარ დროს, 30-ში ორი საფეხბურთო სკოლის ზეიმს იხილავს ქართველი გულშემატკივარი. თქვენ ხომ მუდამ გამოირჩეოდით ტექნიკითა და იმპროვიზაციის დიდი უნარით. ჩვენც ჩვენი შესაძლებლობების სრულად წარმოაჩენას შევეცდებით, უკომპრომისოდ გეთამაშებით.

**— უკომპრომისოდ, ესე იგი მოსაგებად ჩამოდიხართ?**

— რატომაც არა. ყველა გუნდი მოგებისთვის თამაშობს. რა თქმა უნდა, შედეგი მთავარია, ეს ბუნებრივია. მეორეა, როგორ მოიგებ. ჩვენთვის მთავარი ოპტიმალური შემადგენლობის დადგენაა, რამდენიმე დებიუტანტი მოვიწვიეთ, მათი შესაძლებლობები გვაინტერესებს. სხვებსაც დავაკვირდები, მწვრთნელთა იდეებს როგორ გაიზიარებენ. ისე, თუ წავაგებთ, ქვეყანა არ დაიქცევა. ამხანაგურები ჯანდაბას, წავაგოთ, ოღონდ ოფიციალურები მოგვაგებინა. თუმცა ისე ნუ გაიგებთ, თითქოს რაიმეს დათმობას ვაპირებდეთ, მერწმუნეთ, ძალ-ღონეს არ დავზოგავთ.

**— პოლონელებთან მატჩის მერე ძალებს სრულად აღიდგენთ?**

— ვფიქრობ, სამი დღე საკმარისია. კარგი იქნებოდა, სხვა დროს გვეთამაშა, მაგრამ არც ახლაა მთლად უსაშველო პერიოდი. მოსკოვში ჩივაძემ და გუცაევმა გვითხრეს, ერთმანეთს გავეჯიბროთო და აბა, უარს როგორ ვეტყოდით. მიყოლებით ორი თამაში კი ჩვენც გამოგვადგება, შესარჩევებისასაც ანალოგიური კალენდარი გვაქვს, ასეთ დატვირთვებს მიჩვევა უნდა.

**— ფრანგებს ამხანაგურად რომ მოუგეთ, დაცვიდან თამაშობდით. თქვენ რა, დაცვითი ფეხბურთის მიმდევარი ბრძანდებით?**

— არა, რატომ? უბრალოდ, მაშინ ფრანგებმა კარგად ითამაშეს და ჩვენც რაღა დაგვრჩენოდა, დაცვა გავაძლიერეთ. შედეგიც დაცვის კარგმა თამაშმა მოიტანა.

**— თბილისში რას აპირებთ?**

— ამას კიდევ მოვიფიქრებთ, გადავწყვეტთ. შემტევი ფეხბურთი ძნელი საქმე იქნება. ქათინაურად არ გეუბნებით, ალალი სიტყვებია, ქართველებს ძალიან კარგი გუნდი გყავთ, გვარებს შეგნებულად არ ჩამოგითვლით, რამდენი უნდა ვთქვა, ტოგონიძიდან დაწყებული, არველაძით დამთავრებული, ყველანი მაღალი დონის ფეხბურთელები არიან.



იგნატიევი მოსაგებად ემზადება

**— ნემსაძეზე რატომ არაფერი თქვით? სსრკ-ის ჭაბუკთა ნაკრებში თქვენი შეგირდი არ იყო?**

— რა, თქვენ არ იცით, რომ უნივერსალია? სიამოვნებით შევხვდები, მომენატრა. მაინტერესებს უწინდელთან შედარებით რა ბიჭია. მის ოსტატობაში ეჭვი არ მეპარება. თავის დროზე საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერიც კი იყო, ახლა, ყველაფერი ლოგიკურია, იგი თავისი სამშობლოს ღირსებას იცავს.

**— თქვენს გამოძახებულ შემადგენლობაში რამდენიმე ძირითადის ფეხბურთელი არ არის.**

— ობიექტური მიზეზებია. ყველას თავის პრობლემა აქვს. მათი მიწვევის სურვილი გვქონდა, მაგრამ ნიკიფოროვი „ეინდჰოვენში" გადადის და კონტრაქტის საქმეებითაა დაკავებული, იანოვსკი კარგა ხნის უთამაშებელია, ფორმაში არ ვარო, თავად მითხრა, იურანიც კონტრაქტის გამო ვერ ითამაშებს, ხოხლოვი კი ავადაა. დანარჩენების გამოძახება, ვისაც გულისხმობთ, უბრალოდ საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ. თეთრაძის ნახვა კი გვსურდა, მაგრამ ისევ საოპერაციო შეიქნა, სამაგიეროდ არმიელ მცველ ევგენი ვარლამოვსა და პიტერელ ნახევარმცველ ალექსანდრ გარშკოვს ვუხმეთ.

**— ბოლო დროს, ეტყობა, რუსულ ფეხბურთში ყველაფერი რიგზე ვერაა, მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვერ მოხვდით.**

— თქვენს კითხვას კითხვითვე ვუპასუხებ. ვერ გამიგია, საქართველოს ნაკრებს ნაკლები შემსრულებლები ჰყავს? ლამისაა, მთელი გუნდი ვარსკვლავებით გყავთ სავსე, მაგრამ რამეს მიაღწიეთ! საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველა რესპუბლიკის საქმე უკან-უკან წავიდა. აწყობილი მექანიზმი დაიშალა. თუმცა, ახლა მდგომარეობიდან გამოვდივართ, ნელ-ნელა ცხოვრებაც გამოსწორდება და შედეგებსაც მივაღწევთ. საამისოდ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია.

**— საბჭოთა კავშირს ასე ძლიერ რად მისტირით?**

— მართალი არ ვარ? ერთი ქვეყანა თხუთმეტად დაიშალა. პრობლემებიც აქედანაა. ყოფილ მოკავშირეთა ყველა თამაშსაც პოლიტიკურ ელფერს აძლევენ.

**— თქვენი ფიქრით, 30-შიც ასე იქნება?**

— აბა, რა გითხრათ, პოლიტიკა სპორტთან არაფერ შუაშია. პოლიტიკოსი არ ვარ და საერთოდ არ მაინტერესებს. ასეთ თამაშებს მე არ ვთამაშობ.

**კობა ინასარიძე**

# მილანში კაპელოს ერა დასრულდა



ლეგენდარული „მილანის“ დიდებულ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს, მის წინამორბედ არიგო საკის მსგავსად, ფეხბურთის დაუწერელი ბრძნული კანონის უარყოფა ძალიან ძვირად დაუჯდა.

არასდროს დაბრუნდე უკან, ამბობს ეს კანონი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უკვე ყველაფერი მოიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა. მაგრამ კაპელომ 80-იანი წლების ბოლოს ყველა ციხესიმაგრის მპყრობელი „მილანის“ შემქმნელი საკის ხვედრი გაიზიარა და უარი ვერ უთხრა სილვიო ბერლუსკონისა და გრანდიოზული „სან სიროს“ ძახილს.

— ბერლუსკონიმ მიხმო და არ შემეძლო, იგი განსაცდელში მიმეტოვებინა — ჯერ კიდევ გასულ ივნისს აცხადებდა მილანში დაბრუნებული კაპელო.

...სამშაბათს კი კლუბის პრეზიდენტთან გამოსამშვიდობებელი ვახშმის შემდეგ მწვრთნელის მეორედ მოსვლა დასრულდა.

წინა დღით ჟურნალისტებმა ბერლუსკონის ვილიდან სწრაფი ნაბიჯებით გამომავალ მწვრთნელს ჰკიდეს თვალი, რომელიც საკმაოდ აღელვებული ჩანდა, თუმცა პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შეხვედრამ წყნარად, ცივილიზებულ ფორმებში ჩაიარა.

იტალიური პრესის ცნობით, კაპელოს შემცვლელად ბერლუსკონის „უდინეზეს“ მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი შეუგულებია. გაზეთი „კორიერე დელა სერა“კი ამაში იმდენად ყოფილა დარწმუნებული, რომ პირველ გვერდზე დიდი ასოებით დაწერა — უკვე შეიძლება გარიგება დასრულებულადაც ჩაითვალოსო.

კაპელოსა და საკის განვილი გზები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი და ბერლუსკონის უახლოესი მეგობარი საკი 1996 წლის დეკემბერში ასევე მეორედ დაუბრუნდა „მილანს“, მაგრამ შვიდი თვის შემდეგ გუნდიდან გააძევეს. აქვე ისიც სათქმელია, რომ ქაჩალი მწვრთნელისაგან განსხვავებით სიმპათიური და მუდამ ელეგანტური კაპელო ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების დიდი პატივისცემისა და სიყვარულის საგანი გახლდათ. ფეხბურთელობისას ოთხი სკუდეტოს (სამჯერ „იუვენტუსისა“ და ერთხელაც „მილანის“ რიგებში) მომგები ფაბიოს სპორტული ცხოვრება მართლაც ზღაპრულად წარიმართა. მან საკისაგან „მილანი“ 1991 წელს გადაიბარა და აქედან მოყოლებული გუნდს იტალიის ჩემპიონატში ოთხჯერ გაამარჯვებინა. გარდა ამისა, მილანელებმა 1995 წელს ჩემპიონთა თასი, ხოლო ერთი წლის შემდეგ ევროპის სუპერთასიც აიღეს.

1996 წელს კაპელო მადრიდის „რეალში“ გადავიდა და სამეფო გუნდს ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის დაბრუნებაში დაეხმარა. და თითქოს ბედის ირონიააო, გასულ ოთხშაბათს მადრიდელთა მიერ ჩემპიონთა ლიგის მოგება 51 წლის კაპელოს „მილანიდან“ გათავისუფლებას დაემთხვა. არადა, სწორედ მან მიიყვანა ამ გუნდში ბრაზილიელი რობერტო კარლოსი, ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფი და თანამემამულე კრისტიან პანუჩი. სწორედ კაპელომ ჩაუყარა საფუძველი იმ „რეალს“, რომელმაც სამიოდ დღის წინ უდიდესი გამარჯვება იზეიმა.

„მილანი“ კი... სეზონის დასაწყისში გუნდმა რობერტო ბაჯო „ბოლონიას“ გადაულოცა, ხოლო მარკო სიმონე „პარი სენ ჟერმენს“. მაგრამ ჩატარებულმა რეფორმებმა შედეგი არ გამოიღო და სერია A-ში მხოლოდ მეათე ადგილის დაკავებით მილანელთა გუნდი ზედიზედ მეორე სეზონია, უეფას საგზურის გარეშე დარჩა. გუნდის მიერ ჩემპიონატის საწყის ოთხ მატჩში მოპოვებული ორად ორი ქულა კი მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ ყველაზე უარესი მაჩვენებელია „მილანის“ ისტორიაში. მართალია, შუა სეზონში მდგომარეობა გამოსწორდა და იანვარში ქვეყნის თასის მეოთხედფინალში მოსისხლე მტერი, თანაქალაქელი „ინტერი“ 5:0 ალგავეს პირისაგან მიწისა, მაგრამ შემდეგ „მილანი“ ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა და „რომასთან“ 0:5 განადგურებას, „ლაციოსთან“ იტალიის თასის ფინალის წაგებაც დაუმატა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კაპელომ სეზონში ერთი ჯილდოც კი ვერ მოიგო.

შარშან ივნისში მილანის აეროპორტში ჩასულ კაპელოს ერთი გულშემატკივარი მიუახლოვდა და გააფრთხილა:

— ფაბიო, არ დაბრუნდე! ეს ხომ კარგა ხნის გაციებული სუპის თავიდან გათბობა იქნება.

— არა უშავს, ჩვენ გამთბარ სუპსაც კარგად მივირთმევთ — უპასუხა მწვრთნელმა. გასულ სამშაბათს კი ბერლუსკონიმ მენიუ შეცვალა...

**ირაკლი ხმელიძე**

# გადახდა უნდა ვალსაო

პორტუგალიური ფეხბურთის გრანდი „ბენფიკა“ გასულ სეზონში დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის. აშკარაა, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაწყებული კრიზისი დღესაც გრძელდება და კლუბის უფერულ თამაშს ევროპულ თუ შინაურ სარბიელზე დასასრული არ უჩანს. ცეცხლზე ნავთს ადგილობრივი ჟურნალისტები ასხამენ, რომლებიც ხშირად გადაუმოწმებელ ინფორმაციებს ავრცელებენ და ამით კიდევ უფრო ამძაფრებენვ კლუბში არსებულ ისედაც დაძაბულ სიტუაციას. ამჯერადაც „ბენფიკას“ წარმომადგენლებს საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთი ჭორის უარყოფა მოუხდათ, რომელიც გუნდის ჩეხი ლეგიონერის, ევროპის ვიცე-ჩემპიონის, კარელ პობორსკის შესაძლო გაყიდვას ეხებოდა.

ათიოდე დღის წინ პორტუგალიური გაზეთი „დარიო დე ნოტიციასი“ იუწყებოდა, „ბენფიკამ“ ჩეხი ნახევარმცველის გაყიდვა გადაწყვიტა და მისთვის ახალი გუნდის გაჩარხვას უახლოეს დღეებში შეეცდებაო. გაზეთი თავის ვერსიას იმით ასაბუთებდა, რომ როცა შარშან დეკემბერში ლისაბონელებმა პობორსკი „მანჩესტერ იუნაიტედისაგან“ შეიძინეს, თურმე სატრანსფერო თანხა მთლიანად არ გადაუხდიათ და ახლა 3,3 მილიონი დოლარის ოდენობის ვალის გასტუმრებას სწორედ ჩეხის გაყიდვის შედეგად შესული ფულით აპირებენ. თუმცა „ბენფიკას“ პრეს-ატაშემ, ელადის პერამესმა გავრცელებულ ინფორმაციას ცრუ და უსაფუძვლო უწოდა.

— კლუბი სამომავლოდ პობორსკის გაყიდვას არ აპირებს და ჭორები, რომლებსაც უსირცხვილოდ ავრცელებენ ჟურნალ-გაზეთები, სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენ ამდენს არ მოვითმენთ და პასუხს მოვთხოვთ მათ — განაცხადა პერამესმა.

ისევ „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ დავალებულ პორტუგალიელებს, შესაძლოა, მართლაც დიდი პრობლემები შეექმნათ, ვინაიდან გასულ თვეში უეფამ მათ 30-დღიანი ულტიმატუმი წაუყენა და ამ პერიოდში პობორსკის ტრანსფერთან დაკავშირებული გაუგებრობის გარკვევა დაავალა.

თუმცა, „ბენფიკას“ ფინანსური პრობლემები ამით არ ამოიწურება. გუნდმა 10 მილონ დოლარზე მეტი უნდა გადაიხადოს ძველ სატრანსფერო გარიგებებში, სახელმწიფო ბეგარაც გასასტუმრებელია, ხოლო ერთ-ერთი ბანკისათვის 2,2 მილიონი დოლარის ოდენობის სესხის გადაუხდელობის გამო ქვეყნის სასამართლომ კლუბს საბანკო ანგარიშები გაუყინა და თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. ახლა „ბენფიკას“ ხელმძღვანელობა გუნდის დაშლის თავიდან ასაცილებლად იძულებულია, მოთამაშეებს ხელფასი კლუბის მფლობელების პირადი ანგარიშებიდან უხადოს.

**ირაკლი ხმელიძე**

დარჩა
FRANCE 98
19 დღე

## ფუტიქსის დროშით

# ჰოდლი გაზას მხარეზეა

ინგლისური ბულვარული პრესისგან მუდამ შეწუხებულმა პოლ გასკოინმა, ბოლოს და ბოლოს, ველარ მოითმინა და თავად შეუტია მას მედიას. თანამედროვე ბრიტანული ფეხბურთის ვარსკვლავს მობეზრდა ყოველდღე იმის გაგონება, რომ გვიან დგება, ბევრს სვამს, ეწევა, ზედმეტად გასუქდა და ასე გაუთავებლად...

— მე ჩინებულ ფორმაში ვარ და ჯანმრთელობასაც ბევრ თქვენგანზე უკეთესი მაქვს — განაცხადა 30 წლის ვეტერანმა ნახევარმცველმა ინგლისის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე ჟურნალისტებისათვის მოწყობილ კონფერენციაზე.

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონების თავკაცმა გლენ ჰოდლმა გაზას სიმშვიდისკენ მიუთითა და აგრძნობინა, რომ სჯობს, მთელი ყურადღება სასაფრანგეთო მზადებაზე გაამახვილოს, თორემ თუ იგივეს გაიმეორებ, რასაც სხვა მწვრთნელების ქვეშევრდომობისას აკეთებდა, იქ თამაშზე ოცნებაც კი სანატრელი გაუხდება.

— გაზამ იცის, რომ რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში დაუსჯელს არ დავტოვებ. თუმცა გარწმუნებთ, დღემდე ასეთი არაფერი შემინიშნავს, თორემ ახლა აქ არ იქნებოდა. ჩვენ საკმაოდ მკაცრი საუბარი გვქონდა და ავუხსენი, რომ უფრო თავდადებით უნდა ივარჯიშოს, რადგან სადღეისოდ თავისი შესაძლებლობების 60 პროცენტსაც კი ვერ ავლენს — ჰოდლი, როგორც ყოველთვის, სამართლიანი იყო. პრესის წარმომადგენლის კითხვაზე, გასკოინის არცთუ იშვიათ გამოხდომებზე რას ფიქრობთო, მწვრთნელმა პასუხი განაზოგადა — კლუბში თამაშისას ფეხბურთელებს სათითაოდ კუდში ვერ ვდევ, მაგრამ ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე შემოსვლის მომენტიდან ისინი ჩემს განკარგულებაში არიან და რეჟიმს ვერავინ დაარღვევსო.

— ამხანაგური მატჩების ჩატარების შემდეგ ნაკრების წევრებს ხუთდღიან დასვენებაზე გავუშვებთ და ძალიან არ მსურს, ამ პერიოდში გაზას ამბები გაზეთების პირველ გვერდზე ვიხილო — ჰოდლის მიერ პრესკონფერენციის ამგვარად წარმართვა, ალბათ, ყველაზე მეტად სენსაციების მოყვარულ ჟურნალისტების [illegible] თავად ჰოდლი კი კმაყოფილი ჩანდა. „პრესის მუშაკთა მხრივ „ტკბილი სიტყვების“ ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდი. ასე იყო 1990 წელს, 1996-შიც და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ წლეულსაც იგივეს გაიმეორებდნენ. თუმცა მე ეს ხალხი ნაკლებად მადარდებს, რადგან ჩემი პირადი ცხოვრება არავის საქმე არ არის და მათთვის რაიმეს დამტკიცებას არ ვაპირებ. ერთადერთი ადამიანი, ვისგანაც მომეკითხება, გლენ ჰოდლია“ — ნიშნისმოგებით განაცხადა გაზამ.

— მას შემდეგ, რაც გასკოინი ჩვენთანაა, ნაკრებისათვის არანაირი პრობლემა არ შეუქმნია. ეროვნულ გუნდში თამაშისას უღირსი საქციელი არასდროს ჩაუდენია და მთელი უსიამოვნებები მხოლოდ კლუბებში ექმნებოდა. ამიტომ გაზასადმი კეთილგანწყობას ვერაფერი შემაცვლევინებს და ერთადერთი, რასაც მისგან სამსოფლიოსჩემპიონატოდ მოვითხოვ, ასი პროცენტით მზადყოფნაა — ინგლისელთა მთავარი მწვრთნელის სიტყვებმა მთლად მოუთავა ხელი ჭორიკანა ჟურნალისტებს.

# შერიგდნენ

გერმანული ფეხბურთის ორი ვარსკვლავი — იურგენ კლინსმანი და ლოთარ მატეუსი 1996 წლიდან მოყოლებული უბრად იყვნენ ერთმანეთთან, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებელი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრამ, ეტყობა, ორივეს გული მოულბო და ძველი წყენაც დაივიწყეს. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელები სამშაბათს საგანგებოდ მათი შერიგებისათვის მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბერტი ფოგტსთან ერთად გამოცხადდნენ და მეტად მეგობრულ ატმოსფეროში გუნდის სასაფრანგეთო გეგმებზე ისაუბრეს.

— ჩვენ ყველას დიდად საპასუხისმგებლო საქმე გველის. გერმანელთა ერთადერთი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონობაა და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა 1990 წლის შედეგი გავიმეოროთ — განაცხადა კლინსმანმა.

— 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გახსენებაც კი არ გვსურს. ორი წლის წინ ინგლისში ევროპის ჩემპიონები გავხდით და საფრანგეთშიც მხოლოდ პირველი ადგილისთვის ვიბრძოლებთ — ეს 37 წლის ვეტერანი მათეუსის სიტყვებია, რომელიც მხოლოდ ნომერი პირველი ლიბეროს, მათიას ზამერის დაშავების შემდეგ მოხვდა რჩეულ 22 კაცში.

ბერტი ფოგტსმა კი, როგორც ყოველთვის, ჩვეული სიდარბაისლით ისაუბრა და ჟურნალისტებს განუცხადა, ფეხბურთელებს ძველი უთანხმოება აღარც ახსოვთ, მათი ერთადერთი საფიქრალი მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებააო.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ გერმანიის ნაკრები საწვრთნელ შეკრებას ფინეთში გადის, საიდანაც თვის ბოლოს საფრანგეთს მიაშურებს.

# რობერტოც იქ იქნება



როგორც იქნა, ბოლო მოეღო რობერტო ბაჯოს ირგვლივ ატეხილ აურზაურს. გუშინ იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ სასაფრანგეთოდ შერჩეულ 22 კაცს შორის ბოლონიელი ნახევარმცველის გვარიც დაასახელა. მალდინის თქმით, ამ გადაწყვეტილების მიღების ძირითადი მიზეზი ის ყოფილა, რომ თავად ნაკრების სხვა წევრებს სურთ, ბაჯო მსოფლიოს ჩემპიონატზე იხილონ.

— მე გუნდის რამდენიმე წევრს ვესაუბრე. ისინი ძალიან მონდომებულნი არიან, რობერტომ საფრანგეთში ითამაშოს. ბაჯომ წლევანდელი სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა და ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული, თავის სიტყვას მსოფლიოს ჩემპიონატზეც იტყვის — განაცხადა ჩეზარე მალდინიმ ტუსკანიში, იტალიელთა საწვრთნელ ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე.

ბაჯო იტალიის ნაკრებში რვათვიანი შესვენების შემდეგ მოხვდა. 1994 წლის ჩემპიონატის გმირმა უკანასკნელად თავისი ქვეყნის ღირსება სექტემბერში, ქართველების წინააღმდეგ ფრედ 0:0 დამთავრებულ მატჩში დაიცვა. აქედან მოყოლებული, მალდინი ფეხბურთელს არ სწყალობდა და ბევრმა რობერტოს კარიერა დამთავრებულადაც კი ჩათვალა. მაგრამ ბუდისტს ფარ-ხმალი არ დაუყრია. „მილანიდან“ სეზონის დასაწყისში „ბოლონიას“ შეუერთდა და ისე ათამაშდა, რომ ყველა ბაჯოს მეორედ მოსვლაში დაარწმუნა.

რობერტოს ნაკრებში მოხვედრა იმას ნიშნავს, რომ თასების თასის ფინალში გადამწყვეტი გოლის გატანის მიუხედავად, „ჩელსის“ ნახევარმცველი ჯანფრანკო ძოლა საფრანგეთში ვერ წავა.

— ძოლამ მძიმე ტრავმა გადაიტანა და ჩვეულ ფორმაში ვერ არის. მართალია, „შტუტგარტი“ სწორედ ჯანფრანკომ დაასამარა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, მისი წლევანდელი თამაში ახლოსაც ვერ მივა იმასთან, რასაც იგი ინგლისში ჩატარებულ წინა სეზონში აჩვენებდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნაკრებში სხვა ფეხბურთელებთან შედარებით გაცილებით ნაკლები რაოდენობის მატჩი აქვს ჩატარებული და ლონდონური კლუბის ხელმძღვანელებიც დაწვრილებით გამოვკითხე მის დღევანდელ ფორმაზე, ნათელი გახდება, თუ რატომ გადავწყვიტე უარი მეთქვა მისთვის — ასე ახსნა თავისი არჩევანი ჩეზარე მალდინიმ. იგი თურმე მეტად შეუშფოთებია ალესანდრო დელ პიეროს ტრავმას, რომელიც ფეხბურთელმა ოთხშაბათს გამართულ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში მიიღო.

— გუშინ საღამოს ალესანდროს ველაპარაკე და მსურს, გითხრათ, რომ მისი თამაში მთლიანად ექიმებზეა დამოკიდებული, მხოლოდ მათ შეუძლიათ დელ პიეროს საფრანგეთში გამოსვლის ნება დართონ — თქვა მწვრთნელმა.

მალდინიმ მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდების შესაძლო შანსებზეც ისაუბრა. მისი თქმით, აშკარა ფავორიტები ბრაზილიელები არიან, ხოლო მათთან ერთად ამინდს ინგლისის, არგენტინის, ესპანეთისა და საფრანგეთის ნაკრებები შექმნიან.

მალდინიმ ისიც თქვა, ვფიქრობ, ერთ-ერთმა აფრიკულმა გუნდმაც უნდა დაიქუხოსო, რაშიც იქნებ კამერუნს გულისხმობდა, რომელთანაც იტალიელებს 17 ივნისს უწევთ შეხვედრა.

მეკარეები: ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ჯანლუკა პალიუკა (ინტერი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა); მცველები: ალესანდრო კოსტაკურტა, პაოლო მალდინი (მილანი), ფაბიო კანავარო (პარმა), ალესანდრო ნესტა (ლაციო), ჯუზეპე ბერგომი (ინტერი), მორენო ტორიჩელი, ჯანლუკა პესოტო (იუვენტუსი); ნახევარმცველები: დემეტრიო ალბერტინი (მილანი), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), ლუიჯი დი ბიაჯო (რომა), სანდრო კოისი (ფიორენტინა), დინო ბაჯო (პარმა), რობერტო დი მატეო (ჩელსი, ინგლისი), ფრანჩესკო მორიერო (ინტერი); თავდამსხმელები: რობერტო ბაჯო (ბოლონია), კრისტიან ვიერი (ატლეტიკო, ესპანეთი), ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), ფაბრიციო რავანელი (მარსელი, საფრანგეთი).

# ყაველაშვილმა ნიგერია შეარცხვინა

ნიგერიის ნაკრები ამ დღეებში შვეიცარიას ესტუმრა და ქვეყნის ჩემპიონ „გრასჰოპერს“ ამხანაგურად გაეჯიბრა. შეხვედრა სტუმართა გამანადგურებელი მარცხით 0:4 დასრულდა. მართალია, ნიგერიელებს ოპტიმალური შემადგენლობა არ ჰყოლიათ, მაგრამ „გრასჰოპერსაც“ ძირითადის ექვსი ფეხბურთელი აკლდა — თურქილმაზი, სუბიატი, კომიზეტი, ესპოზიტო, გრენი და სმილიანიჩი. ჩვენდა გასახარად, ბრწყინვალედ ითამაშა ყაველაშვილმა, რომელმაც უკვე 65 წამზე (!) დაამწუხრა სტუმრები. ცოტა ხნის შემდეგ მისი კარგი პასით აჰინფულმა, ხელმეორედ გაახარა თანაგუნდელები. 24-ე წუთზე კი აჰინფულმა ვაყიშვილის შეძენა დუბლის შესრულებით აღნიშნა. ამა ოთხ წუთში აჯიბადე ბაბალადეს მიერ საკუთარ კარში გატანილი გოლი მოჰყვა და ანგარიში ნიგერიელთათვის კატასტროფული გახდა. პირველ ტაიმში სტუმრები მხოლოდ ორჯერ დაემუქრნენმასპინძელთა კარს, მაგრამ შვეიცარიისავე „ციურიხში“ მოთამაშე რაშიდ იეკინიმ ორჯერვე არაზუსტად დაარტყა.

ფრინგერმა ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი, მათ შორის ყაველაშვილიც შეცვალა. გამოცდილ „კალიათაგან“ მოედანზე მხოლოდ ჩვენებური ნემსაძე დარჩა. ნიგერიელებმა მასპინძელთა სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც ვერაფერი დააკლეს და სამარცხვინოდ დამარცხდნენ.

გიო ახვლედიანის

სვეტი

# ძველი და ახალი

მისალოცი წერილები, ჩვეულებრივ, ერთი ტიპისაა:
„ძვირფასო „რეალ“,
მოგილოცავ დიდ გამარჯვებას, იყავი ბედნიერი, მშვენიერი და ა.შ.“

ამდენი წლის შემდეგ საკლუბო ფეხბურთის ისტორიამ თავის მთავარ ადგილას დაიბრუნა მადრიდის „რეალი“.

ამ საქმეში არის სამართლიანობა და ამ საქმეში არის ერთგვარი გახსენებაც მადრიდელთა რამდენიმე ბრწყინვალე თაობისა, ჩემპიონთა თასს რომ ვერ დაეუფლა.

მაგრამ ამსტერდამ არენაზე გამართულმა ფინალმა ეს სევდიანი მოგონებები, „რეალის“ 50-იანი წლების საუცხოო ხელმწიფედ ყოფნის ამბავი, უზარმაზარ თასში მოაქცია და გადასცა სწორედ იმ „რეალს“, მთელი სეზონის განმავლობაში რომ ილანძღებოდა უფერული თამაშის, გაუმართავი ტაქტიკის და ფეხბურთელთა ზოზინის გამო.

მწვრთნელს, ათავისუფლებენ. ალბათ, რამდენიმე ფეხბურთელსაც ზედ მიაყოლებენ.

ევროპული ჯილდოები კი ყოველთვის შეიცავდა ერთგვარ პირობითობას. უფრო სწორად, ფინალებში ხშირად ხდებოდა, რომ სეზონის ძნელბედობანი უკან რჩებოდა და გუნდი იმარჯვებდა. ფინალის აზრიც ხომ ეს არის.

„რეალის“ დაცვითი რიგი, რომელსაც ბოლო თვის განმავლობაში საშუალო ესპანური კლუბები ათახსირებდნენ, შეუვალი გამოდგა. ისტორიულად დიდი გუნდების ერთ-ერთი თვისებაც ეს არის, რომ ერთ, ყველაზე მნიშვნელოვან თამაშში ყველაფერი კარგი, რაც ამ გუნდს ზანდუკში უდევს და სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოუხმარია, ამუშავდება ხოლმე.

ესეც არ იყოს და „რეალის“ ფეხბურთი ყოველთვის „ვარსკვლავთა“ ფეხბურთი იყო. დღეს ეს ამბავიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ბოსმანური ხმაურიდან არცთუ ისე დიდი დრო გავიდა, მაგრამ თანდათან ცხადი ხდება, რომ „ვარსკვლავური“ შემადგენლობა სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ევროპულ საკლუბო ფეხბურთში.

წლევანდელი ევროთასების ფინალებს გადავხედოთ. სამ თამაშში გასული ხუთი გოლიდან ხუთივე საერთაშორისო ვარსკვლავებმა გაიტანეს. სამივე ფინალში საფეხბურთო ინტერნაციონალმა, ანუ მრავალეროვანმა, ვარსკვლავური შემადგენლობის გუნდებმა იმარჯვეს. დამარცხდნენ ის გუნდები, რომლებსაც გამოარჩევთ თამაშის სანიმუშო ორგანიზაცია, ჰყავთ გამორჩეულად ფიქრიანი მწვრთნელები და რეგულარულ და სათასო თამაშებში მშვენივრად ირჯებიან. ევროთასების მომგები სამივე ვარსკვლავური გუნდი, „ინტერი“, „ჩელსი“ და „რეალი“ წლევანდელ შიდა ჩემპიონატებში უმაღლესი ტიტულისთვის იბრძოდნენ, მაგრამ ვერაფრით შეძლეს რეგულარული პირველობის სრულფასოვნად, საჩემპიონოდ გავლა. სამაგიეროდ, მათ ევროტურნირებში იმარჯვეს.

ეს საინტერესო ამბავია და მისი ახსნა საკმაო სირთულეს წარმოადგენს.

თუმცა, იმის თქმა, რომ კონკრეტულ ვითარებაში ვარსკვლავები აჯერ უფრო ამართლებენ, ვიდრე უბრალოდ პროფესიონალები, არც ძნელია, არც ახალი. არის კიდევ რაღაც სხვა, მაგრამ კონკრეტულად რა, ძნელი სათქმელია.

მაგრამ „რეალი“ გამარჯვებულია. „რეალი“ განაგრძობს თავისი ისტორიის წერას და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია.

როგორც მრავალი წლის წინათ, დღესაც, „რეალში“ სამყაროს სხვადასხვა კიდეებიდან შეყრილი ხალხი თამაშობს. ესეც ერთგვარად გვახსენებს ერთი დროის სამეფო კლუბს. დი სტეფანო აღარ არის და ძალიან ძნელია იპოვო მეორე ასეთი, მაგრამ მისი სარდლობით მოპოვებულ გამარჯვებათა ჯერაც დაუმხობელ რეკორდს კიდევ შეემატა ერთი ჩემპიონთა თასი.

მადრიდის „რეალი“ დიდხანს იბრძოდა ჩემპიონთა თასისთვის. ის ბრძოლა ამაო იყო. ევროპაში სხვა უკვდავი გუნდები პირველობდნენ — „აიაქსი“, „ლივერპული“, „მილანი“ — მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო ძველი „რეალის“ წარმატებათა განმეორება. ეს კი, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ საფეხბურთო თავგადასავალი უწყვეტია და დიდი კლუბები არასოდეს იკარგებიან სამუდამოდ.

# ევროპის მადრიდელი მეფენი

## ამსტერდამ არენაზე კი ბებერი ქალბატონის აჩრდილი მიმოდიოდა

**რეალი 1:0 იუვენტუსი**

რეალი: ილგნერი, იერო, სანჩისი, პანუჩი, რობერტო კარლოსი, რაული (ამავისკა 90), კარემბუ, ზეედორფი, რედონდო, მიატოვიჩი (შუკერი 89), მორიენტესი (ხაიმე 84)

იუვენტუსი: პერუცი, ტორიჩელი, მონტერო, იულიანო, დი ლივიო (ტაკინარდი 46), დეშამპი (კონტე 78), დავიდსი, პესოტო (ფონსეკა 71), ზიდანი, დელ პიერო, ინძაგი

1:0 მიატოვიჩი (66)

— ანგარიში სამართლიანია. ისეთ ფინალებში, როგორიც დღევანდელი იყო, ყველაფერს ერთი გოლი სწყვეტს. სამწუხაროდ, „რეალმა“ გაიტანა ის ბურთი და არა ჩვენ. აქედან გამომდინარე, თასიც მათ დარჩათ. ვთვლი, რომ სავსებით სამართლიანად. დღეს ესპანელებს „იუვენტუსი“ კი არა, ვილაც სხვა დაუპირისპირდა. ვილაცეებს კი ლიგის ფინალში არაფერი ესაქმებათ — იტალიური საავტომობილო გიგანტის და ამავდროულად ტურინული კლუბის საპატიო პრეზიდენტი ჯანი ანიელი დაღვრემილი გახლდათ. ან კი რატომ უნდა ყოფილიყო გახარებული? გუნდმა წარმოუდგენლად სუსტად ითამაშა, შედეგად კი ის მოიმკო, რომ ჩემპიონთა თასის გათამაშების ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი გუნდი, რომელმაც ზედიზედ ორი ფინალი დათმო. შარშან „იუვენტუსი“ დორტმუნდის „ბორუსიამ“ დაამარცხა 3:1.

„ამსტერდამ არენაზე“ ესპანური სამეფო კლუბი, მადრიდის „რეალი“ ზეობდა, მიუხედავად იმისა, რომ ბრწყინვალედ არც მას უთამაშია. ერთი ეგ იყო, მეტოქე გახლდათ იმდენად უძლური, ხეირიანად თავდასხმის თავიც არ ჰქონდა, იუპ ჰაინკესის გუნდმა კი ერთადერთი რეალური შანსი, ისიც იტალიელთა უყურადღებობით ბოძებული, გოლად აქცია და თასი მეშვიდედ ჩაიბარა! ოთხშაბათს მადრიდის „რეალი“ 32 წლის შემდეგ კვლავ გახდა კლუბთა შორის ევროპის ჩემპიონი.

— გამარჯვების თაობაზე ვერაფერს ვიტყვი. მას შემდეგ, რაც მთელი სეზონის მანძილზე გადავიტანე, ვგონებ, ცოტა უხერხულია წარმატებაზე საუბარი. მხოლოდ ერთს გეტყვით — ჩემპიონთა თასის მოგება, ცხადია, მიხარია, ძალიან მიხარია, მაგრამ თავს მეტის უფლებას არ მივცემ. დანარჩენზე ჩვენმა პრეზიდენტმა ისაუბროს. მას ახლა საბაბი აქვს, უსაზღვროდ გაიხაროს — „რეალის“ გერმანელმა მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა, რომლის კლუბიდან წასვლასაც მთელი სეზონის მანძილზე მოითხოვდნენ გულშემატკივრები, ჟურნალისტებთან ზედმეტ საუბარს თავი აარიდა. ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი, დარჩება თუ არა ჰაინკესი „რეალში“. ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა. და იმ დროს, როცა მეოთხე ხელისუფლება ფინალისტთა თავკაცს უსმენდა, მადრიდელები, ცხადია, გულშემატკივრებიც და ფეხბურთელებიც, ხარობდნენ. წარუმატებელი სეზონი ოქ-



REUTERS ამსტერდამიდან

ოთხშაბათს „ამსტერდამ არენაზე“. რობერტო კარლოსმა დელ პიერო ვერ დასცა, თუმცა „რეალმა“ „იუვენტუსი“ მაინც დაამარცხა

როთი დაგვირგვინდა — ჩემპიონთა თასი მეშვიდედ გაუყვა მადრიდის გზას.

სამეფო კლუბმა წლევანდლამდე თასი ბოლოს 1966 წელს ალმართა, მას შემდეგ, რაც ფინალში იუგოსლავიურ „პარტიზანს“ მოუგო 2:1. მაშინ დღევანდელი გუნდის ფეხბურთელთაგან უმეტესობა დაბადებულიც არ იყო. „რეალის“ კაპიტანი მანუელ სანჩისი კი ერთი წლის გახლდათ...

ერთადერთი გოლი იუგოსლაველმა პრედრაგ მიატოვიჩმა შეაგდო, რომელიც არამარტო რეალელთაგან იყო საუკეთესო, არამედ საერთოდ ფინალში ყველას სჯობდა. იყო კიდევ ერთი მოთამაშე, ფერნანდო იერო, თუმცა მასზე ქვემოთ. რაც შეეხება მიატოვიჩს, იგი მართლაც აღმაფრთოვანებელი გახლდათ. არ ყოფილა შემთხვევა, მიატოვიჩს ტურინელ მცველთა წინააღმდეგობა ვერ დაეძლიოს, მარჯვენა მცველად გამწესებულ მორენო ტორიჩელის კი საერთოდ შავი დღე გაუთენდა. რაც ოთხშაბათს მიატოვიჩმა ტორიჩელის დღე აყარა, მეტი რომ არ ვთქვათ, სამარცხვინოა ასეთი დონის მცველისთვის. პირველ ტაიმში „რეალის“ შეტევები, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მუდმივად მარცხენა ფლანგიდან ვითარდებოდა, იქედან, სადაც საშინლად გარღვეულიყო მეტოქის დაცვა, თუმცა მეორე ნახევარში იგივე დაემართა იტალიელთა დაცვის მარცხენა მხარეს. ესეც იმიტომ, რომ მიატოვიჩმა იქით გადაინაცვლა. ერთი სიტყვით, ოთხშაბათს საღამოს „იუვენტუსის“ მთელი დაცვა პრედრაგ მიატოვიჩის შეჩერებას ცდილობდა. ოთხშაბათს ნამდვილად მისი დღე იდგა „ამსტერდამ არენაზე“.

გოლი? გოლი ხომ საერთოდაც კურიოზული, მაგრამ მაინც ლამაზი გავიდა. რობერტო კარლოსის დარტყმული იულიანომ აისხლიტა. შემცბარ მცველებს კი იქვე მყოფმა მიატოვიჩმა დასამახსოვრებელი გაკვეთილი ჩაუტარა — ანჯელო პერუცი ცრუმოძრაობით მინდორს დასცა და რთულ კუთხეში მყოფს ცარიელ კარში გოლის გატანა არ გასჭირვებია. აი, ასე გავიდა ერთადერთი გოლი, ბურთი, რომელმაც დაასრულა კიდეც ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშება. „რეალი“ კი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა.

— ცუდად არ გვითამაშია, ვფიქრობ, არც გადასარევად, მაგრამ მაინც თასი ჩვენ დაგვრჩა. როგორც ეტყობა, გადამწყვეტ მომენტში მეტოქეზე მეტად ვიყავით მობილიზებულნი. გამარჯვების უპირველეს საწინდრად სწორედ ეს მიმაჩნია. ახლა ყველაფერი უკან დარჩა. ესპანეთის ჩემპიონატიც ისტორიაა. ეს გამარჯვებაც მატიანეში ჩაიწერება. დღეს „რეალი“ გამარჯვებულია! „რეალი“ ჩემპიონთა თასის მფლობელია! — ფერნანდო იეროს განწყობილება ყველასათვის გასაგებია. სხვა თანაკლუბელთა მსგავსად, ისიც გახარებული გახლდათ.

თუ „რეალის“ შეტევების სულისჩამდგმელი და მეტოქეთათვის საფიქრალის გამჩენი თავდასხმაში გამწესებული პრედრაგ მიატოვიჩი გახლდათ, იქ, უკან, მადრიდელთა დაცვა ფერნანდო იეროს წყალობით სალ კლდედ ქცეულიყო. არ ყოფილა მომენტი, ტურინელთა შეტევების ჩასაჭრელად იეროს რაიმე ეღონა და მიზნისთვის არ მიეღწია. ერთი სიტყვით, ფერნანდო იერომ განაპირობა ის, რომ „იუვენტუსმა“ ბოდო ილგნერის კარში სამად სამჯერ დაარტყა, თუმცა ამას დარტყმა პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, რადგან, ჯერ ერთი, მეკარეს ბურთის მოგერიება არც ერთხელ გასჭირვებია, მეორეც, იტალიელები ისეთი ძალით ურტყამდნენ, ბურთის კარამდე მისვლას წამები კი არა, წუთები სჭირდებოდა. იმავე იეროს დამსახურებაა ისიც, რომ ალესანდრო დელ პიეროს, ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირს, იმ დღეს არაფერი გამოუვიდა. ერთი ერთზე დაპირისპირება გნებავთ თუ საჰაერო ორთაბრძოლები, იტალიელი მუდამ დამარცხებული რჩებოდა. ლიდერის უილბლობა კი კლუბს არ დამჩნეოდა, არ იქნებოდა. სწორედ ამიტომაც იყო, დაცვის დარად „იუვენტუსს“ თავდასხმაც რომ მოშლოდა — ესპანელ უკანახაზელებს, კარის დარაჯ ილგნერზე რომ არაფერი ვთქვათ, ბევრი საქმე არც ჰქონიათ.

— ვერ ვითამაშეთ სათანადოდ, თუმც ჩვენს მოქმედებას ფეხბურთსაც ვერ უწოდებ. საზრიანად და სულისკვეთებით მხოლოდ პირველი 20 წუთი ვირჯებოდით. მერე ყველაფერი აირ-დაირია. მარცხის მიზეზიც ესაა. სამწუხაროა, რომ „იუვე“ კვლავ დამარცხდა — ტურინელთა ფრანგი შემოქმედი ზინედინ ზიდანი მართლაც არ ჰგავდა საკუთარ თავს, ერთობ დაბნეულად თამაშობდა. ეტყობა, მეტად მძიმე ფსიქოლოგიური ტვირთი აწვა მხრებზე — მისგან ყველა ბევრს ელოდა, მაგრამ... როგორც ჩანს, იმ კლუბს, რომელშიც ზიდანი თამაშობს, ევროთასის მოგება არ უწერია. ზედიზედ მესამედ გავიდა ფრანგი ნახევარმცველი ევროთასების ფინალში და მხოლოდ ფინალისტად დარჩა — 1995-96 წლების სეზონში, უეფას თასზე „ბორდო“ მიუნხენის „ბაიერნმა“ სძლია, ბოლო ორი წელი კი „იუვენტუსი“ მარცხდება ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

— არ იყო დღეს ჩვენი დღე. სამწუხაროა, „იუვენტუსი“ რომ კვლავ დამარცხებულია. ძალიან ვბრაზობ საკუთარ თავზე. ასეთი რამ რამდენჯერმე დამემართა და თან მუდამ გადამწყვეტ მომენტში. როგორც ჩანს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ვერ ვარ სათანადო დონეზე. სრულყოფილებამდე ბევრი მაკლია, ძალიან ბევრი — „იუვენტუსის“ თაყვანისმცემელთა კიდევ ერთი იმედი, ალესანდრო დელ პიერო თვითკრიტიკული გახლდათ. როგორც ჩანს, ლიგაში 10 გოლის გამტანმა მხოლოდ მარცხის შემდეგ აღმოაჩინა ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა.

და მაინც „რეალი“! ასეთი დონის კლუბისთვის საკმაოზე მეტ ხანს იცადა „სამეფო გუნდმა“, ვიდრე ჩემპიონთა თასს კვლავ ალმართავდა. არც მეტი, არც ნაკლები, 32 წელი გამოხდა ბოლო გამარჯვებიდან! რა დრო გასულა! თითქოს გამარჯვება იგუმანესო, მადრიდის „რეალის“ თავკაცებმა ამსტერდამში თან იახლეს 50-60-იანი წლების ბრწყინვალე „რეალის“ ფეხბურთელები. ალბათ, სურდათ, რომ უსაზღვრო სიხარული, კლუბის ოქროს ხანის, აწ უკვე ისტორიაში სამუდამოდ დამკვიდრებულ მოთამაშეებსაც გაეზიარებინათ. 32 წლის შემდეგ ჩემპიონთა თასი კვლავ სამეფო კლუბ „რეალს“ ჩაბარდა! „რეალმა“ ევროპის საკლუბო საფეხბურთო ოლიმპი დაიპყრო.

— მადრიდმა უნდა იამაყოს გამარჯვებით. „რეალი“ კვლავ ევროპის უძლიერესი გუნდია. ჩემი სურვილია, ეს გამარჯვება ოქროს ხანის დასაბამი გახდეს. კლუბს ძალუძს, დაიბრუნოს ერთი შეხედვით დაკარგული სახელი და დიდება. „რეალი“ ჩემპიონია! ამით ყველაფერია ნათქვამი — მადრიდელთა პრეზიდენტი ლორენსო სანსი აცრემლებული გახლდათ. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეთი გამარჯვებისთვის ნამდვილად ღირს გარჯა. „რეალს“ შრომა დაუფასდა. გუნდი, რომელსაც „იუვენტუსთან“ შედარებით თითქოს ნაკლები შანსი ჰქონდა, საბოლოოდ გამარჯვებული დარჩა. პროგნოზები პროგნოზებად, ფიქრები ფიქრებად, ახლა ერთია მთავარი — „რეალი“ ჩემპიონთა თასის მფლობელია!

ესპანეთში, კონკრეტულად კი მადრიდში, კიდევ ორი დღე გაგრძელდა ზეიმი. ეს არც არის გასაკვირი — „რეალის“ აღზევებას თაობები უცდიდნენ და რაღა გასაკვირია, რომ კლუბის ასაკოვან თუ ახალგაზრდა გულშემატკივრებს იმ ღამით არ ეძინათ. „რეალი“ ხარობდა, იტალიაში კი...

„იუვენტუს“, სად იყავ“ — სწორედ ასეთი სათაურით მიმართა „კორიერე დელო სერამ“ წაქცეულ იტალიის ჩემპიონს. ამ სტატიის შინაარსი, ვფიქრობ, ძნელი მისახვედრი არ არის. თქვენ წარმოიდგინეთ, სკუდეტოს მფლობელი მიწასთან გასწორებული არ იყო. უბრალოდ, მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ იყო ნათქვამი, რომ გადამწყვეტ მატჩებს ვარსკვლავები იგებენ და არა წინ და უკან მორბენლები.

„ეჰ მარჩელო, მარჩელო, დადგება „იუვენტუსის“ დრო?“ — რომის ყოველდღიური გაზეთი „ლა რეპუბლიკა“, მიუხედავად იმისა, რომ „იუვენტუსის“ გულშემატკივრები იტალიის დედაქალაქში არცთუ მრავლად არიან, გარკვეულწილად შეეცადა შავ-თეთრების ზედიზედ მეორე წაგებული ფინალის გამართლება, მაგრამ საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ მატჩს ვერ თამაშობს.

„იმედგაცრუებაც ასეთი უნდა. უკვე მერამდენედ?“ — იკითხა „გაძეტა დელო სპორტმა“ და იტალიურ გაზეთთაგან ყველაზე მწარედ გააკრიტიკა ლიგის ფინალში ძლეული „იუვენტუსი“.

მთლიანობაში აპენინებზე ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის მარცხს შედარებით რბილად შეხვდნენ, ვიდრე მოსალოდნელი იყო. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, თითქმის ყველა მწერალი თუ ჟურნალისტის აზრი ერთ დასკვნამდე მიდიოდა — ჰოლანდიის დედაქალაქში დამარცხებული კლუბი არ იყო ის „იუვენტუსი“, რომლის თამაშითაც მთელი სეზონის მანძილზე ტკბებოდნენ ქომაგნი.

„ამსტერდამ არენაზე“ ძლეული „იუვენტუსი“ იტალიის ჩემპიონის აჩრდილი გახლდათ.

**ლაშა გოდუაძე**

## ჩემპიონთა ლიგა

### გზა ფინალამდე

CHAMPIONS LEAGUE

| იუვენტუსი | 10 | +6 | =1 | −3 | 23-14 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 17.09.97 | I ეტ. | შ | „ფეიენოორდი“ | ჰოლანდია | 5:1 | დელ პიერო 2, ინძაგი, ზიდანი, ბირინდელი |
| 01.10.97 | I ეტ. | გ | „მანჩესტერი“ | ინგლისი | 2:3 | დელ პიერო, ზიდანი |
| 21.10.97 | I ეტ. | გ | „კოშიცე“ | სლოვაკეთი | 1:0 | დელ პიერო |
| 05.11.97 | I ეტ. | შ | „კოშიცე“ | სლოვაკეთი | 3:2 | დელ პიერო, ამორუზო, ფონსეკა |
| 26.11.97 | I ეტ. | გ | „ფეიენოორდი“ | ჰოლანდია | 0:2 | |
| 10.12.97 | I ეტ. | შ | „მანჩესტერი“ | ინგლისი | 1:0 | ინძაგი |
| 04.03.98 | 1/4 | შ | „დინამო“ | უკრაინა | 1:1 | ინძაგი |
| 18.03.98 | 1/4 | გ | „დინამო“ | უკრაინა | 4:1 | ინძაგი 3, დელ პიერო |
| 01.04.98 | 1/2 | შ | „მონაკო“ | საფრანგეთი | 4:1 | დელ პიერო 3, ზიდანი |
| 15.04.98 | 1/2 | გ | „მონაკო“ | საფრანგეთი | 2:3 | ამორუზო, დელ პიერო |

| რეალი | 10 | +6 | =3 | −1 | 21-5 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 12.09.97 | I ეტ. | შ | „რუსენბორგი“ | ნორვეგია | 4:1 | პანუჩი, ზე რობერტო, რაული, მორიენტესი |
| 01.10.97 | I ეტ. | გ | „პორტუ“ | პორტუგალია | 2:0 | იერო, რაული |
| 21.10.97 | I ეტ. | შ | „ოლიმპიაკოსი“ | საბერძნეთი | 5:1 | შუკერი 2, მორიენტესი, ვიკტორი, რობერტო კარლოსი |
| 05.11.97 | I ეტ. | გ | „ოლიმპიაკოსი“ | საბერძნეთი | 0:0 | |
| 27.11.97 | I ეტ. | გ | „რუსენბორგი“ | ნორვეგია | 0:2 | |
| 10.12.97 | I ეტ. | შ | „პორტუ“ | პორტუგალია | 4:0 | იერო, შუკერი 2, რობერტო კარლოსი |
| 04.03.98 | 1/4 | გ | „ლევერკუზენი“ | გერმანია | 1:1 | კარემბუ |
| 18.03.98 | 1/4 | შ | „ლევერკუზენი“ | გერმანია | 3:0 | კარემბუ, მორიენტესი, იერო |
| 01.04.98 | 1/2 | შ | „დორტმუნდი“ | გერმანია | 2:0 | მორიენტესი, კარემბუ |
| 15.04.98 | 1/2 | გ | „დორტმუნდი“ | გერმანია | 0:0 | |

### დაპირისპირება ევროტურნირებზე

**JUVENTUS vs REAL**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1961-62 | წწ. | ჩ.თ. | 1/4 | 0:1, 1:0, 0:3 |
| 1986-87 | წწ. | ჩ.თ. | 1/8 | 0:1, 1:0, პენ 1:3 |
| 1995-96 | წწ. | ჩ.თ. | 1/2 | 0:1, 2:0 |

# წარსულის დიდებანი



ესპანელი კმაყოფილებას ვერ მალავენ

### 1956 წელი. 13 ივნისი. პარკ დე პრენსი. პარიზი

**რეალი 4:3 რეიმსი**

მაყურებელი: 38239
მსაჯი: ელისი (ინგლისი)
რეალი: ალონსო, ატიენსა, ლესმესი, მუნიოსი (კაპ), მარკიტოსი, სარაგა, ხოსეიტო, მარსალი, დი სტეფანო, რიალი, ხენტო
მწვრთნელი: ვილიალონგა
რეიმსი: ჟაკე, ზიმნი, ჟირაუდო, ლებლონი, ჟონკე (კაპ), სიატკა, იდალგო, გლოვაცკი, კოპა, ბლიარი, ტემპლინი
მწვრთნელი: ბატე
0:1 ლებლონი (6), 0:2 ტემპლინი (10), 1:2 დი სტეფანო (15), 2:2 რიალი (30), 2:3 იდალგო (62), 3:3 მარკიტოსი (72), 4:3 რიალი (79)

ეს იყო ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშება, რომლის ფინალშიც ერთმანეთის წინაშე მადრიდის „რეალი" და პრინციპში, შინ მოთამაშე საფრანგეთის ჩემპიონი „რეიმსი" წარსდგნენ. ფინალისკენ მიმავალი გზა სამეფო კლუბისთვის არც ისე იოლი გამოდგა. მართალია, მადრიდელებმა პირდაპირ გაანადგურეს ჟენევის „სერვეტი" 7:0 (ორი მატჩის ჯამში), მაგრამ შემდეგ ორ შეხვედრაში ძალების სრული მობილიზება დასჭირდათ. მეოთხედფინალში მათ ბელგრადის „პარტიზანს" სძლიეს 4:3, ხოლო ნახევარფინალში იტალიურ „მილანს" 5:4. ყველაზე მძიმე კი პარიზში, „პარკ დე პრენსზე" გამართული ფინალი იყო. ფრანგები მე-10 წუთზევე უკვე 2:0-ს იგებდნენ, თუმცა დი სტეფანოსა და რიალის ძალისხმევით პირველი ტაიმი ფრედ 2:2 დასრულდა. განახლდა შეხვედრა და „რეიმსი" კვლავ დაწინაურდა, გოლი ოთხმოციანი წლების ცნობილმა ფრანგმა მწვრთნელმა მიშელ იდალგომ გაიტანა, მაგრამ მარკიტოსმა წონასწორობა კვლავ აღადგინა. საბოლოოდ შეხვედრას წერტილი არგენტინელმა ექტორ რიალმა დაუსვა და ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის პირველ გათამაშებაში „რეალს" გაამარჯვებინა.



მადრიდელთა მეკარე დომინგესი თვით ჟიუსტ ფონტენსაც არ შეუშინდა

### 1957 წელი. 30 მაისი. სანტიაგო ბერნაბეუ. მადრიდი

**რეალი 2:0 ფიორენტინა**

მაყურებელი 120000
მსაჯი: ჰორნი (ჰოლანდია)
რეალი: ალონსო, ტორესი, ლესმესი, მუნიოსი (კაპ), მარკიტოსი, სარაგა, კოპა, მატეოსი, დი სტეფანო, რიალი, ხენტო
მწვრთნელი: ვილიალონგა
ფიორენტინა: სარტი, მანინი, ჩერვატო (კაპ), სკარამუჩი, ორძანი, სეგატო, ჟულინიო, გრატონი, ვირჯილი, მონტუორი, ბიძარი
მწვრთნელი: ბერნარდინი
1:0 დი სტეფანო (70პ), 2:0 ხენტო (76)

ჩემპიონთა თასის რიგით მეორე გათამაშების ნახევარფინალში, ვენის „რაპიდის" ძლევის შემდეგ, „რეალი" ინგლისის ჩემპიონს, „მანჩესტერ იუნაიტედს" გადაეყარა. მადრიდელებმა „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართული პირველი შეხვედრა დიდი ალმაფრენით ჩაატარეს, რისი თავიდათავიც დიდი არგენტინელი ალფრედო დი სტეფანო იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გატანილი გოლი — ბურთი თავის საჯარიმოში მიიღო, რეაქტიული სისწრაფით მიიჭრა მოწინაალმდეგის კართან, თანაც გზაზე რამდენიმე ინგლისელი გააპამპულა და უძლიერესი დარტყმით მეტოქის კარის ბადე შეარხია. „რეალმა" შინ 3:1 გაიმარჯვა, ხოლო მანჩესტერში ფრეს 2:2 მიაღწია და მეორედ გავიდა ფინალში, სადაც „ფიორენტინასთან" უნდა გაერკვია ურთიერთობა. ამბობენ, იმ დროს მადრიდელთა დაცვა მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგაო, მაგრამ მათი თავდასხმა ყველაფრის კომპენსაციას ახდენდა — დი სტეფანოს, რიალს და ხენტოს წინა გათამაშების ფინალისტის, „რეიმსის" შესანიშნავი ფორვარდი რაიმონ კოპაც შეემატა. ამ კვარტეტის გაჩერება კი იტალიელებმა ვერაფრით მოახერხეს, დი სტეფანომ და ხენტომ ექვსი წუთის განმავლობაში ორჯერ შეაგდეს და მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე" შეკრებილი 120 ათასი გულშემატკივრის გასახარად, კონტინენტის ყველაზე ძვირფასი საკლუბო ჯილდო ზედიზედ მეორედ მოიპოვეს.

### 1958 წელი. 28 მაისი. ეიზელი. ბრიუსელი

**რეალი 3:2 მილანი**

მაყურებელი: 70000
მსაჯი: ალსტენი (ბელგია)
რეალი: ალონსო (კაპ), ატიენსა, ლესმესი, სანტისტებანი, სანტამარია, სარაგა, კოპა, ხოსეიტო, დი სტეფანო, რიალი, ხენტო
მწვრთნელი: კარნილია
მილანი: სოლდანი, ფონტანა, ბერალდო, ბერგამასკი, მალდინი, რადიჩე, დანოვა, ლიდჰოლმი (კაპ), სკიაფინო, გრილო, კუკიარონი
მწვრთნელი: პურიჩელი
0:1 სკიაფინო (59), 1:1 დი სტეფანო (74), 1:2 გრილო (78), 2:2 რიალი (79), 3:2 ხენტო (107)

ამ წელს საფეხბურთო სამყარო საშინელმა ამბავმა შესძრა — ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლაში „რეალის" ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი „მანჩესტერ იუნაიტედი", შინ რომ ბრუნდებოდა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ძლევის შემდეგ, ავიაკატასტროფაში მოჰყვა. დაიღუპა რვა ფეხბურთელი. შედეგად, იტალიის „მილანს" ნახევარფინალში არ გასჭირვებია დაუძლურებული „მანჩესტერის" დამარცხება და ორი წლის წინანდელი მარცხისთვის შურის საძიებლად (მაშინ ნახევარფინალში იტალიელებმა „რეალთან" ორი მატჩის ჯამში 4:5 წააგეს) ბრიუსელში კბილებალესილები ჩავიდნენ. ფინალი ძალიან დაძაბული გამოდგა, რაზეც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ამ ტურნირის ისტორიაში პირველად დაინიშნა დამატებითი დრო. კვლავ დიდებულად ითამაშა დი სტეფანომ. მან გოლიც გაიტანა და დამატებით დროშიც შესაშური ჟინიანობა და კლასი გამოავლინა, რამაც ნაყოფი გამოიღო და ხენტომ, 107-ე წუთზე გატანილი გოლით ჩემპიონთა თასი კიდევ ერთი წლით დატოვა ესპანეთში.

### 1959 წელი. 3 ივნისი. ნეკარშტადიონი. შტუტგარტი

**რეალი 2:0 რეიმსი**

მაყურებელი: 72000
მსაჯი: დუში (საფრანგეთი)
რეალი: დომინგესი, მარკიტოსი, სარაგა (კაპ), სანტისტებანი, სანტამარია, რუისი, კოპა, მატეოსი, დი სტეფანო, რიალი, ხენტო
მწვრთნელი: კარნილია
რეიმსი: კოლონა, როძიკი, ჟირაუდო, პენვერნე, ჟონკე (კაპ), ლებლონი, ლამარტინი, ბლიარი, ფონტენი, პიანტონი, ვინსენი
მწვრთნელი: ბატე
გოლები: 1:0 მატეოსი (2), 2:0 დი სტეფანო (47)

ამჯერად ნახევარფინალი სუფთა ესპანური იყო — ერთმანეთის წინაშე ორი მადრიდული კლუბი წარსდგა — „რეალი" და „ატლეტიკო". სამეფო გუნდმა „შინ" 2:1 მოიგო, ხოლო მოგვიანებით, ქალაქის მეორე ნახევარში გამართულ საპასუხო მატჩში, ანუ „სტუმრად" 0:1 წააგო და წესით მეტოქის მინდორზე გატანილი გოლის წყალობით ფინალში „ატლეტიკო" უნდა გასულიყო, მაგრამ მაშინ ეს კანონი არ მოქმედებდა. სარაგოსაში დამატებითი, მესამე შეხვედრა ჩატარდა, რომელშიც ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელებმა იმარჯვეს 2:1. შედეგად, განმეორდა 1956 წლის ფინალი „რეალი" — „რეიმსი". ეს თამაში შტუტგარტში გაიმართა. კვლავ შეუდარებელი იყო დი სტეფანო, მარჯვენა და მარცხენა ფრთებიდან მეტოქეს შავი დღე აყარეს „რეიმსის" ყოფილმა ფეხბურთელმა კოპამ და ფრანსისკო ხენტომ. ესპანელთა უპირატესობა აშკარა იყო, ენრიკე მატეოსმა თერთმეტმეტრიანიც კი ააცილა მიზანს, მაგრამ ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო — „რეალმა" მორიგი, ღირსეული გამარჯვება მიითვალა.



ჩემპიონთა თასის მეექვსედ მოპოვებისთვის „რეალს" მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწია

### 1960 წელი. 18 მაისი. ჰემპდენ პარკი. გლაზგო

**რეალი 7:3 აინტრახტი**

მაყურებელი: 127621
მსაჯი: მოვატი (შოტლანდია)
რეალი: დომინგესი, მარკიტოსი, პაჩინი, ვიდალი, სანტამარია, სარაგა (კაპ), კანარიო, დელ სოლი, დი სტეფანო, პუშკაში, ხენტო
მწვრთნელი: მუნიოსი
აინტრახტი: ლოი, ლუცი, ჰოფერი, ვაილბახერი, აიგენბროდტი, სტინკა, კრესი, ლინდნერი, შტაინი, პფაფი (კაპ), მაიერი
მწვრთნელი: ოსვალდი
0:1 კრესი (18), 1:1, 2:1 დი სტეფანო (26, 29,) 3:1, 4:1, 5:1, 6:1 პუშკაში (44, 56პ., 60, 71,), 6:2 შტაინი (72), 7:2 დი სტეფანო (74), 7:3 შტაინი (76)



„კლასიკური მატჩი" დასრულდა. ჩემპიონთა თასი ზედიზედ მეხუთედ მადრიდში მიემგზავრება

გლაზგოში ჩასულ მადრიდის „რეალს" ყველა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, მითუმეტეს, რომ მათ მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავი, უნგრელი ფერენც პუშკაში შეემატათ. მაგრამ იმას, რაც იმ დღეს, 1960 წლის 18 მაისს, მადრიდელებმა „ჰემდენ პარკზე" გააკეთეს, არავინ ელოდა. შარშან, ჟურნალ „Four Four Two"-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ეს თამაში მე-20 საუკუნის საუკეთესო მატჩად იქნა აღიარებული. დამყარდა ჩემპიონთა თასის რამდენიმე რეკორდი: შეხვედრას დაესწრო ყველაზე მეტი 127621 მაყურებელი, გავიდა ყველაზე მეტი — 10 გოლი, ორმა ფეხბურთელმა შეასრულა ჰეთ-ტრიკი (პუშკაშმა სულაც პოკერი), მოკლედ, „რეალმა" მართლაც მეფურად ითამაშა და სტადიონზე მისულ ფანებს შესანიშნავი სპექტაკლი შესთავაზა. არადა ესპანელების მეტოქეს ხელწამოსაკრავს ნამდვილად ვერ დაარქმევდი, „აინტრახტმა" ნახევარფინალში შოტლანდიის ჩემპიონ „გლაზგო რეინჯერსს" ორ შეხვედრაში 12 გოლი გაუტანა და ფინალშიც სწორედ გერმანელებმა გახსნეს ანგარიში, მაგრამ „რეალის" გამჩერებელი ძალა იმ მომენტში არ არსებობდა — ხენტოს და დელ სოლის ულამაზეს ფინტებს პუშკაშმა და დი სტეფანომ ერთმანეთზე უკეთესი გოლები დაუმატეს და თავიანთ კლუბს ზედიზედ მეხუთედ (!) ყველაზე ლამაზად გაამარჯვებინეს.

### 1966 წელი. 11 მაისი. ეიზელი. ბრიუსელი

**რეალი 2:1 პარტიზანი**

მაყურებელი: 55000
მსაჯი: კრაიტლაინი (გფრ)
რეალი: არაკისტაინი, პაჩინი, სანჩისი, პირი, დე ფელიპე, სოკო, სერენა, ამანსიო, გროსო, ველასკესი, ხენტო (კაპ)
მწვრთნელი: მუნიოსი
პარტიზანი: სოსკიჩი, იუსუფი, მიჰაილოვიჩი, ბეჩეიაჩი, რასოვიჩი, ვასოვიჩი (კაპ), ბაიჩი, კოვაჩევიჩი, ჰასანაგიჩი, გალიჩი, პრიმაიერი
მწვრთნელი: გეგიჩი
0:1 ვასოვიჩი (55), 1:1 ამანსიო (70), 2:1 სერენა (76)

ბელგრადის „პარტიზანი" პირველი აღმოსავლეთევროპული გუნდი იყო, რომელიც ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა. ნახევარფინალში იუგოსლაველმა ფეხბურთელებმა ბობი ჩარლტონის, დენის ლოუს და ჯორჯ ბესტის „მანჩესტერ იუნაიტედს" მოუგეს, რაც უთუოდ სენსაცია იყო, რადგან იმ პერიოდში ინგლისური კლუბი მართლაც დიდ ძალას წარმოადგენდა. ამაზე მათ მიერ მეოთხედფინალში წინა წლის ფინალისტის ლისაბონის „ბენფიკას" 5:1-ით განადგურებაც მეტყველებდა.

მეორე ნახევარფინალში თასის მფლობელი მილანის „ინტერი" ყველანაირად ცდილობდა, ზედიზედ მეორედ მოეპოვებინა სანუკვარი ჯილდო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, იგი ხომ თავად მადრიდის „რეალს" ხვდებოდა! ესპანელებმა მოახერხეს და ექვსწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ ჩვეულ რანგში, ჩემპიონთა თასის ფინალისტებად მოგვევლინენ. ისევე როგორც 1958 წელს, ფინალი ამჯერადაც „ეიზელზე" შედგა. მატჩის პირველი ტაიმი მშრალად დამთავრდა, ხოლო მეორეს დაწყებიდან 10 წუთიც არ იყო გასული, რომ „პარტიზანის" კაპიტანმა ველიბორ ვასოვიჩმა გოლი გაიტანა. მზადდებოდა კიდევ ერთი სენსაცია, მაგრამ თასის მოპოვებაზე მეოცნებე იუგოსლაველები მხოლოდ მას შემდეგ მოვიდნენ გონს, რაც ამანსიომ და სერენამ დროის მცირე მონაკვეთში ორჯერ იხეირეს, თუმცა უკვე ძალიან გვიან იყო — „პარტიზანი" დამარცხდა და გზა უფრო ძლიერ, უფრო გამოცდილ და უფრო მედიდურ სამეფო გუნდს — მადრიდის „რეალს დაუთმო.

**დავით ძოვზირიძე**

---

## სატირიკონი: კითხვა-პასუხი

— ***აღარ ვიცი, რა ვიფიქრო?***

— რატომ.

— ***მთელი სეზონი ვყვიროდი „იუვე", „იუვე", „იუვე" და რა გამოვიდა?***

— სულელი ყოფილხარ.

— ***ჩირო რომ მომჯობინებულიყო, სხვანაირად არ იქნებოდა?***

— ეგრე დი სტეფანო და ხენტოს რომ ეთამაშათ...

— ***კარგი ერთი, „რეალი" გუნდია?***

— და დორტმუნდი?

— ***ამით რისი თქმა გინდა?***

— ამით იმის თქმა მინდა, რომ „იუვენტუსს" ერთი უცნაური თვისება აქვს. მოედანზე ხან თერთმეტი ზიდანია, ხან თერთმეტი დი ლივიო.

— ***და დელ პიერო?***

— ძალიან მწყდება გული, რომ დელ პიერომ არ ითამაშა. მაშინ ხომ აღარ გექნებოდათ სალაპარაკო, „იუვეს" ბალეშჩიკებს, დელ პიერო არ გვყავდა და იმიტომ წავაგეთო.

— ***დელ პიერომ როგორ არ ითამაშა. იქ არ იყო?***

— სად?

— ***ამსტერდამ არენაზე.***

— ტრიბუნაზე თუ იჯდა, არ ვიცი, და მოედანზე არ იყო.

— ***როგორ არა?***

— მოიცა, მოიცა... გავიხსენო. არა, ის ტორიჩელი იყო. არა, არ უთამაშია.

— ***კარგი, ერთი. თვალებში ნაცარს მაყრი?***

— მე გაყრი თვალებში ნაცარს? მე თუ მკითხავ, ლიპი გაყრის მაგ ნაცარს.

— ***რატომ?***

— მესამე წელიწადია, გატყუებს. ზედიზედ სამჯერ გახვიდე და ვერ მოიგო?

— ***სამჯერ რატომ? ორჯერ. „აიაქსს" ხომ მოუგეს?***

— მაგათ თუ „აიაქსს" მოუგეს, მაშინ შენ ნამუსი აღარა გქონია.

— ***აბა, ჰაინკესს აქვს ნამუსი?***

— იმის ნამუსი მაინც აქვს, რომ ყოველ წელიწადს ფინალში არ გავიდეს და იქიდან შერცხვენილი არ დაბრუნდეს. უკვე ფინალების ყურების მეშინია.

— ***რატომ?***

— დამთავრდება და დაინახავ ლიპის. ცხვირ-პირი ჩამოსტირის, უჭირავს ის თავისი სიგარა და იყურება შორს. აღარ მოგბეზრდა?

— ***„იუვე" გუნდი არ არის?***

— „იუვე" ჩემპიონია.

— ***მერე?***

— მერე ფინალისტია.

— ***მერე?***

— მერე დი ლივიოა, კონტეა, მონტეროა, ტორიჩელია, დეშამპია. აქ თავდება ბაზარი.

— ***რატომ?***

— იმიტომ, რომ ბაჯო „ბოლონიაშია".

— ***და გაზა?***

— რა შუაშია გაზა?

— ***გაზას რომ ეთამაშა „იუვეში", რა იქნებოდა?***

— სერია B.

— ***რატომ?***

— გაზა ხომ დავიდსი არ არის? დაეზარებოდა.

— ***ზიდანსაც ხომ ეზარება ხოლმე?***

— ეჰ, ზიდანს გაზას როგორ შევადარებ. სად გაზა, სად ზიდანი.

— ***რა საკითხში?***

— არ გინდა ეს პროვოკაციული შეკითხვები. საგაისოდ გაემზადე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანული „ჰამბურგის"** ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მათ თავისუფალ ტრანსფერზე მდგომ იტალიურ „ბარიში" მოთამაშე გერმანელ ნახევარმცველ ტომას დოლთან მიაღწიეს შეთანხმებას მათ გუნდში გადასვლასთან დაკავშირებით. 32 წლის დოლი ამ კლუბში ჯერ კიდევ 990-91 წლებში გამოდიოდა, რომის „ლაციოში" გადასვლამდე.

**ინგლისურ** „ტოტენჰემ ჰოთსფურს" დიდი სურვილი აქვს, თავის რიგებში იხილოს „ემპოლის" თავდამსხმელი კარმინე ესპოზიტო. 27 წლის ნეაპოლელი ფორვარდი გასულ სეზონში 14 გატანილი გოლით ძლიერ დაეხმარა თავის კლუბს სერია A-ში გადასვლაში. „ტოტენჰემთან" ერთად ესპოზიტოთი „რომაც" დაინტერესებულა. ეს ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც „ემპოლის" მთავარმა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ განაცხადა, რომ კლუბს ტოვებს და „სამპდორიაში" აპირებს გადაბარგებას.

**ფრანგი** მეკარე ბერნარ ლამა, რომელიც „ვესტ ჰემის" კარს იცავდა, მომავალ სეზონში თავის ყოფილ გუნდს „პარი სენ ჟერსენს" დაუბრუნდება, განაცხადა ფრანგული კლუბის ახალდანიშნულმა პრეზიდენტმა შარლ ბიეტრიმ. მისივე თქმით, პსჟ-მ და იტალიელმა თავდამსხმელმა მარკო სიმონემ მიაღწიეს შეთანხმებას ფეხბურთელის პარიზულ კლუბში დარჩენის თაობაზე.

**ესპანეთის** „ვალენსიაში" ორი ახალწვეულია. ფრანგი მცველი ალან როში, რომელიც პსჟ-დან გადავიდა და იტალიელი თავდამსხმელი კრისტიან ლუკარელი „ატალანტადან". როგორც ცნობილია, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გუნდს დატოვებს ვეტერანი მეკარე ანდონი სუბისარეტა. შეცვლის თუ არა მას მადრიდის „რეალის" გოლკიპერი სანტიაგო კანისარესი, „ვალენსიას" მთავარ მწვრთნელ კლაუდიო რანიერის თქმით, უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**ჰოლანდიის** წლევანდელ ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასული „ვიტესის" ახალი შენაძენი „ირაკლისის" ბერძენი მეკარე კოსტას ჩანიოტაკისია, რომელმაც თავის ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჩანიოტაკისს საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობაში 20 შეხვედრა აქვს ჩატარებული და ამავდროულად ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის (34 გოლი) „ვიტესის" თავდამსხმელ ნიკოს მახლასის დიდი მეგობარია.

**გერმანიის** ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ბერნდ შუსტერი გასულ სეზონში მეორე დივიზიონში დაქვეითებულ „კიოლნის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. გუნდმა, რომელსაც ბუნდესლიგის 35-წლიანი არსებობის მანძილზე რჩეულთა კოჰორტა ერთხელაც არ დაუტოვებია, ახალ მწვრთნელთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 80-იანი წლების „ბარსელონას" ვარსკვლავი აქამდე კიოლნის მეორე კლუბს „ფორტუნას" თავკაცობდა, სადაც მის ადგილს დღეიდან წარსულში არანაკლებ ბრწყინვალე ფეხბურთელი ჰარალდ შუმახერი დაიკავებს.

**ინგლისის „ევერტონის"** მთავარმა მწვრთნელმა ჰოვარდ კენდალმა საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე უარყო ჭორები, რომელიც მისი გუნდიდან წასვლას შეეხებოდა. შეგახსენებთ, რომ ლივერპულელებმა გასულ სეზონში საშინლად იასპარეზეს და მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით აჯობეს ქვედა ლიგაში გავარდნილ „ბოლტონს". სწორედ ეს ფაქტი გახდა ჟურნალისტების მიერ გავრცელებული არასწორი ინფორმაციების საბაბი. „მე მხოლოდ პირად საკითხებზე ვესაუბრე „ევერტონის" პრეზიდენტს. მას გაკვრითაც არაფერი უთქვამს ჩემს შესაძლო განთავისუფლებაზე" — განაცხადა კენდალმა, რომელიც 60-იან წლებში თავად იცავდა ამ გუნდის ღირსებას. მისი თქმით, ფეხბურთელები უკვე შეუდგნენ მომავალი სეზონისთვის მზადებას. ხოლო რაც შეეხება „რეინჯერსისა" და შოტლანდიის ნაკრების მეკარის — ენდი გორამის „ევერტონში" შესაძლო გადასვლაზე გავრცელებულ ხმებს, კენდალმა კომენტარისგან თავი შეიკავა.

**უელსის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბობი გოულდმა იმ 18 კაცის სია გამოაქვეყნა, რომლებიც ივნისში ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ — 3 ივნისს ლა ვალეტაში მალტის ნაკრებთან, 6 ივნისს ტუნისში ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან. გაგაცნობთ შემადგენლობას: მეკარეები — ენდი მარიოტი (რექსჰემი), პოლ ჯონსი (საუთჰემპტონი); მცველები — სტივ ჯენკინსი (ჰადერსფილდი), მარკ ბოუენი (ჩარლტონი), კარლ რიდი (ქუინზ პარკ რეინჯერსი), კრის კოულმენი (ფულჰემი), რაიან გრინი (ვულვერჰემპტონი); ნახევარმცველები — რობ ედვარდსი (ბრისტოლ სიტი), მარკ პემბრიჯი (შეფილდ უენსდეი), რობ სევიჯი (ლესტერი), გარი სპიდი (ნიუკასლი), ჯიმ უაიტლი (მანჩესტერ სიტი), ჯონ რობინსონი (ჩარლტონი), კრეიგ ბელამი (ნორვიჩი), კრის ლეველინი (ნორვიჩი); თავდამსხმელები — ჯონ ჰარტსონი (ვესტ ჰემი), საიმონ ჰოვარტი (ქოვენთრი), დინ სონდერსი (შეფილდ იუნაიტედი).

**გერმანული** კლუბის, თასების მფლობელთა თასის გათამაშების წლევანდელი ფინალისტის „შტუტგარტის" მთავარი მწვრთნელი იოაჰიმ ლო თანამდებობიდან გაათავისუფლეს. კლუბის ხელმძღვანელობის განცხადებით, მწვრთნელის კონტრაქტი 30 ივნისს, ერთი წლით ადრე გაუქმდება. ბუნდესლიგის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი, 38 წლის ლო „შტუტგარტს" 1996 წელს ჩაუდგა სათავეში და შარშანდელ ქვეყნის ჩემპიონატში მესამე ადგილი და გერმანიის თასი მოაპოვებინა. მის სავარაუდო შემცვლელად ბუნდესლიგიდან გავარდნილი „კარლსრუეს" თავკაცს ვინფრიდ შეფერს ასახელებენ.

**ლატვიის** ჩემპიონატი: დაუგავა — რანტო 3:0, სკონტო — რეზეკნე 7:0, მეტალურგსი — დინაბურგი 1:2, ვენტსპილსი — ვალმიერა 0:3. სატურნირო მდგომარეობა: სკონტო — 10 ქულა, დაუგავა — 9, დინაბურგი — 9.

**პოლონეთის ჩემპიონატი: ამიცა — ოსტროვიეცი 2:0, პეტროხემია — ლეხი 1:0, სტომილი — ზაგლებიე 0:2, გკს — ლკს 2:2, ვიძევი — ლეგია 1:0, პოგონი — გერნიკი 1:0, გროცლინი — ვისლა 1:2, პოლონია — ოდრა 2:1, რუხი — რაკოვი 4:1. სატურნირო მდგომარეობა: ლკს (ლოძი) — 59 ქულა, პოლონია — 54, ლეგია — 53.**

**ესპანური** „რეალ ბეტისის" მთავარი მწვრთნელი ლუის არაგონესი კლუბში კიდევ ერთი წელი იმუშავებს. მან გუნდის პრეზიდენტ მანუელ რუის დე ლოპერას შეხვედრა სთხოვა, რაც ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ ბოლო დროს არაგონესი გულშემატკივართა კრიტიკის მთავარი ობიექტი გახდა. პრეზიდენტმა დაიცვა მწვრთნელი და ყველანაირი მხარდაჭერა აღუთქვა. როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც მადრიდის „რეალმა" ჩემპიონთა ლიგაში იმარჯვა, სევილიურ კლუბს ევროტურნირებზე თამაშის საშუალება მიეცა.

**ალჟირის საფეხბურთო ლიგა 1999-2000 წლებში კვლავ პროფესიონალური გახდება, განაცხადა რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში ქვეყნის სპორტის მინისტრმა აზიზ დერუაზმა. მისივე თქმით, სავარაუდოდ, უმაღლეს ლიგაში 16 გუნდი იასპარეზებს, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს ალჟირული ფეხბურთის დონის ამაღლებას. შეგახსენებთ, რომ ბურკინა ფასოში გამართულ აფრიკის თასის გათამაშებაზე ამ ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა სამივე შეხვედრა წააგო.**

**ესპანურმა** სპორტულმა ჟურნალმა „ელ მუნდო დეპორტივომ" „ბარსელონაში" გატარებული წარმატებული სეზონის შემდეგ კლუბის საუკეთესო მოთამაშედ ჰოლანდიელი მეკარე რუუდ ჰესპი დაასახელა. მან 10 შესაძლებლობიდან 9,5 ქულა მიიღო და ნახევარმცველ ლუის ენრიკეს (8,8 ქულა) გადაასწრო. ჰესპი „ბარსელონაში" ჰოლანდიური „როდადან" გადავიდა და ტრავმირებული პორტუგალიელი ვიტორ ბაია შეცვალა. ამავე ჟურნალის ინფორმაციით, მოსალოდნელია, მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელი კიკო ნარვაესი კატალონიურ კლუბში გადავიდეს.

# არაფერია გასაკვირი...

*„არაფერია გასაკვირი იმაში, რომ გენიალური ფეხბურთელები ალკო-ჰოლთან მეგობრობენ. თუ ფეხბურთს აზარტით თამაშობ, მაშინ ასევე ცხოვრობ. შესაბამისად ზეიმობ დიდ გამარჯვებებს, შესაბამისად იგიწყებ დამარცხებებს. სხვათა შორის, ლოთ ფეხბურთელთაგან მსოფლიოს ნაკრების შედგენა რომ შეიძლებოდეს, მასში მეათე ნომრით პელე ითამაშებდა" ეს სიტყვები 70-იანი წლების ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთ უნიჭიერეს წარმომადგენელს, ალან ჰადსონს ეკუთვნის.*

*რამდენად მართალია ჰადსონი? პელესთან მიმართებაში მან ალბათ გადააჭარბა: ფეხბურთის მეფე თუ სვამდა კიდეც, ზომა ყოველთვის იცოდა სამაგიეროდ, ბევრი სხვა სახელგანთქმული ოსტატი განიცდიდა და განიცდის ლტოლვას, რომელიც დამღუპველად ითვლება. საკმარისია ჩამოვთვალოთ: ჯიმი გრივსი, ჯორჯ ბესტი, გერდ მიულერი, თუნდაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი ვალერი ვორონინი... საინტერესოა, რომ გერმანიაში მიულერის საპირისპიროდ ყოველთვის მოიხსენიებდნენ სამაგალითო რეჟიმის მოყვარულ ფრანც ბეკენბაუერს. ბრიტანეთში კი „ცუდ ბიჭ" ჯორჯ ბესტის საწინააღმდეგო მხარეს სიფხიზლის მოყვარულ და სულით რაინდ ბობი ჩარლტონს აყენებდნენ.*

*ჰადსონს თავისუფლად შეეძლო, ბესტის სიმაღლეებისთვის მიეღწია, რადგან, საყოველთაოდ გავრცელებული აზრით, იგი ნიჭით არ ჩამორჩებოდა ირლანდიელს, მაგრამ ალკოჰოლისადმი მისი მისწრაფებაც ბევრად ძლიერი იყო.*

### ბიჭები არსენალიდან

ლონდონის „არსენალის" მოთამაშეთა ახალი თაობა (სწორედ ამ გუნდში თამაშობდა ჰადსონი) არ არცხვენს თავის წინამორბედებს. 90-იან წლებში ეს კლუბი მტკიცედ ინარჩუნებს ლიდერის პოზიციებს ლოთობის მხრივ. ძნელია თუნდაც ერთი არსენალელის დასახელება, რომელიც ამის გამო სკანდალურ ქრონიკაში არ მოხვედრილიყოს. განსაკუთრებული რეზონანსი მოჰყვა პოლ მერსონის აღსარებას, რომელმაც 1994 წელს გულწრფელად მოუთხრო ჟურნალისტებს ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა და აზარტული თამაშების მიმართ მისი უზომო სიყვარულის შესახებ. მერსონი ყოველთვიურად მსგავს გასართობებზე 6 ათას ფუნტზე მეტს ხარჯავდა.

საბოლოოდ მერსონმა სძლია თავის პრობლემებს, მაგრამ მისმა მაგალითმა ცუდად იმოქმედა პარტნიორებზე. 1995 წელს „არსენალს" ტურნე ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რომლის შესახებაც ამ რეგიონში ალბათ კიდევ კარგა ხანს ემახსოვრებათ. ნაიჯელ უინტერბერნი 2 ათასი ფუნტით დააჯარიმეს, რადგან სინგაპურში საშინლად მთვრალი ინგლისელი ფეხბურთელის გამო სერიოზული საგზაო შემთხვევა მოხდა. კიდევ ერთი „გმირი", დევიდ ჰილერი ინგლისში დაბრუნებისთანავე დააკავეს. მიზეზი? ლონდონში, აეროპორტ გეტვიკში... ბარგის ქურდობა. აქაც, მთავარი დამნაშავე ბახუსი იყო.

მაგრამ ლიდერის ფუნქცია, როგორც ეს მას სტატუსით შეეფერება, ტონი ადამსმა იტვირთა. ადამსის თავგადასავლების სია ნამდვილად შთამბეჭდავია. მასში შედის: მთვრალ მდგომარეობაში მანქანის მართვისას აგურის კედლის განგრევა, რის გამოც კაპიტანი 4 თვის განმავლობაში ციხეში აყურყუტეს; პაბში კიბიდან გადმოვარდნა და შედეგად გატეხილი თავი 29 ნაკერითურთ; სკანდალი პიცერიაში, რომელიც ფეხბურთელმა მეგობრებთან ერთად მოაწყო და კიდევ რამდენიმე ინციდენტი. არადა, ადამსი ამ შემთხვევათა მიუხედავად ინგლისში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს. ყველას ახსოვს 1996 წლის მაისში მომხდარი „უწყინარი" ეპიზოდი, როდესაც ინგლისის ნაკრებმა დაამსხვრია ავიალაინერი, რომლითაც სინგაპურიდან სამშობლოში მიფრინავდა. 10 ათას მეტრ სიმაღლეზე ისტორიული დებოშის მიზეზი პოლ გასქოინის დაბადების დღე გახდა (აი, ვინ არის სულით არსენალელი, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდში არასოდეს უთამაშია!). ამ დროს თვითმფრინავში ადამსიც იმყოფებოდა, მაგრამ იგი სამაგალითოდ იქცეოდა, რადგან საკუთარ თავს სიტყვა მისცა, მტკიცედ დაეცვა რეჟიმი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში. სამაგიეროდ, ნახევარფინალში გერმანელებთან დამარცხების შემდეგ იგი ორმაგი ენერგიით მიეცა თავდავიწყებას, რასაც ცოლთან გაყრა და მუხლის მძიმე ტრავმაც დაემატა, რომელმაც დიდი ხნით გამოიყვანა ადამსი მწყობრიდან.

და მაინც, მომენტი, როდესაც ადამსმა გადაწყვიტა, საბოლოოდ გამოსწორებულიყო. „ერთხელ სარკეში ჩავიხედე და იქ დანახული საშინლად არ მომეწონა" — განუცხადა ფეხბურთელმა ჟურნალისტებს და დასძინა, რომ დახმარებისთვის მან ინგლისში საკმაოდ პოპულარულ „ანონიმური ლოთების საზოგადოებას" მიმართა. დახმარებისთვის ამ ორგანიზაციას მიმართა მერსონმაც, ხოლო ბევრად ადრე — გრივსმა.

### ორმოცგრადუსიანი „წვნიანი"

ნამდვილ ლოთებად რატომღაც თითქმის ყოველთვის გოლეადორები ყალიბდებიან. ლეგენდარულმა ჯორჯ ბესტმა ოჯახიც დაანგრია, მშობლებიც მიატოვა და ბოლოს ციხეშიც მოხვდა. შვილის გამო ნერვიულობამ დედამისსაც დააწყებინა სმა და იგი გარდაიცვალა მაშინ, როდესაც ბესტი უკვე ამერიკული ლიგის ერთ-ერთ გუნდში თამაშობდა. მხოლოდ ამ ტრაგედიამ შეძლო ჯორჯის გამოფხიზლება. მან იმკურნალა და ნორმალურ ცხოვრებასაც დაუბრუნდა.



პოლ მერსონი დიდი ფათერაკების მერე ნაკრებსაც დაუბრუნდა

კიდევ ერთი სუპერვარსკვლავის, ჰერდ მიულერის ისტორია, საბედნიეროდ, უფრო კარგად დასრულდა. თუმცა მის შემთხვევაშიც ტრაგედიამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი რჩებოდა. 1981 წელს მთელი გერმანია შეძრა სუპერბომბარდირის მეუღლის აღსარებამ. თურმე მაშინაც კი, როდესაც მიულერი საფეხბურთო მინდვრებზე ბრწყინავდა, იგი სიამოვნებით ლებულობდა ალკოჰოლის საკმაოდ მოზრდილ დოზებს. როდესაც „ბაიერნი" საწვრთნელ შეკრებებზე მიემგზავრებოდა, მიულერის ჩანთაში სპორტულ ამუნიციასთან ერთად ყოველთვის იდო ვისკი „ბურბონი". მწვრთნელს რომ არ შეემჩნია, ფეხბურთელი ვისკის ფორთოხლის წვენის ბოთლში ასხამდა. ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ მიულერმა აშკარად დაიწყო ლოთობა. მეგობრებმა მის სხეულზე ღვიძლის დაშლის პირველი სიმპტომი — ყავისფერი ლაქებიც კი შენიშნეს. ჯანმრთელობის გაფრთხილების მიზნით „ანგარიშიანი" გერმანელი ვისკიდან თეთრ ღვინოზე გადავიდა, მაგრამ ამით მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესდა და მიულერმა კიდევ უფრო უმატა სმას. მისმა ყოფილმა თანაგუნდელებმა: რუმენიგემ, ჰიონესმა და ბეკენბაუერმა გადაწყვიტეს, რომ საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება. ამ სამეულს „ბაიერნში" საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა და არც მიულერი დატოვეს უმუშევარი. მას „ბაიერნის" ახალგაზრდულ გუნდში მწვრთნელად მუშაობა და 8200 მარკა შესთავაზეს. მეგობრების ძალისხმევამ შედეგი გამოიღო: მიულერმა იმკურნალა და სრულფასოვან ცხოვრებას დაუბრუნდა. „ჰეფი ენდისას" კი მას გაცილებული მეუღლეც შეურიგდა.

### საბჭოთა მოქეიფეები

ეს რაც შეეხება გერმანული გოლების ავტორს, მაგრამ არ შეიძლება ითქვას ჩვენთვის უფრო კარგად ნაცნობ, ალბათ, ყველაზე პოპულარულ და ტიტულოვან საბჭოთა ფეხბურთელზე? ოლეგ ბლოხინი ბედნიერ გამონაკლისად გამოიყურებოდა თავისი კოლეგების დიდ უმრავლესობასთან შედარებით. თავის წიგნში, „გოლი, რომელიც არ გავიტანე", ბლოხინი მოგვითხრობს, რომ იგი ახალ წელს შამპანურსაც არ ეკარებოდა.

ეს მაგალითი სრულებითაც არ მოწმობს იმას, რომ საბჭოთა ფეხბურთში სიფხიზლე ცხოვრების ნორმად იყო აღიარებული.

სასმელისადმი დაუოკებელი სწრაფვის გამო დროზე ადრე დაასრულა კარიერა, ხოლო შემდეგ სიცოცხლე, ნიჭიერმა ფეხბურთელმა ვალერი ვორონინმა. ალექსანდრე ზავაროვმა კი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ კინაღამ თავი დაიღუპა. ჭაბუკობისას ზავაროვი სიამოვნებით ეტანებოდა ლუდს, მაგრამ როსტოვის ასკ-ში გადასვლის შემდეგ მისი ასორტიმენტი მკვეთრად გაიზარდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვოდა მის თანაგუნდელ იგორ გამულას. ამ დუეტის საქმიანობა 1981 წლის შემოდგომაზე დასრულდა, როდესაც თასების თასზე გასვლითი შეხვედრისას ზავაროვმა და გამულამ უგონოდ მთვრალებმა დებოში ატეხეს. საბჭოთა კავშირში დაბრუნებისთანავე ორივე გარიცხეს გუნდიდან და თითო საგზური მისცეს მეტალურგიულ ქარხანაში. მუშათა კლასთან ერთწლიანი ურთიერთობის შემდეგ ზავაროვმა თავი დაანება სმას და ნიკიტა სიმონიანის რეკომენდაციით კიევის დინამოში აღმოჩნდა. აქ კი ვალერი ლობანოვსკი, რკინის რეჟიმი და ნაგვიანევი გაბრწყინება, 26 წლის ასაკში.

### მესამე ტაიმი

მაგრამ დავბრუნდეთ ინგლისში. ისე ხდება, რომ ამ ქვეყანას პირველი ადგილი უკავია ფეხბურთელთა ლოთობის მხრივ. აქ დამკვიდრებული ტრადიციები თავიდან გარკვეულ სირთულეებს უქმნიან ლეგიონერებს, მაგრამ შემდეგ ისინიც მშვენივრად ეგუებიან სიტუაციას. ასეთია ცხოვრება!

1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ოსვალდო არდილესი იხსენებს, რომ „ტოტენჰემში" გადასვლისას პირველ ხანებში მას სერიოზული უსიამოვნებები ჰქონდა მეუღლესთან, როდესაც შინ მთვრალი ბრუნდებოდა. „მაგრამ ღრეობები არ თავდებოდა" — აღიარებს არდილესი — „ისინი საჭირო იყო პრობლემათა გადასაჭრელად, გულწრფელი საუბრებისთვის, ბოლოს და ბოლოს, კოლექტიური სულის დამკვიდრებისთვის".

აი, რას ყვებიან ესპანელები: ხესუს სევა, რობერტო მარტინესი და ისიდრო დაისი, რომლებიც ერთი წლის წინ სარაგოსადან ინგლისის მესამე დივიზიონის კლუბ „უიგანში" გადავიდნენ. „ინგლისში ჩამოსვლამდე ჩვენ საერთოდ არ ვეტანებოდით სასმელს. მაგრამ აქ ისე დაგვიწყეს ყურება, როგორც დამთხვეულებს. როდესაც მთელი გუნდი ლუდს მიირთმევდა, ჩვენ კოკა-კოლას გეახლებოდით. ასე გრძელდებოდა ზამთრის დადგომამდე. ზამთარი კი ინგლისში ცივი იცის. სუსხის დასაძლევად და სამშობლოს მონატრებით გამოწვეული ნოსტალგიის ჩასახშობად რესტორნებში დავიწყეთ სიარული".

„პარმიდან" „ჩელსიში" გადასული ჯან ფრანკო ძოლა კი აღტაცებულია ბრიტანელი მოთამაშეებით და მსაჯების ხასიათით: „სხვა ქვეყნის კოლეგებთან შედარებით ისინი უფრო კეთილშობილნი არიან. საკმაოდ ხშირად, მატჩების შემდეგ, ორივე გუნდის ფეხბურთელები, მწვრთნელები და მსაჯები ერთად იკრიბებიან დასალევად. ეს ერთგვარად ისე გამოიყურება, როგორც მესამე ტაიმი. პირველი რაუნდისას ჩვეულებრივ მწვრთნელები იხდიან, შემდეგ ესტაფეტას მსაჯები იღებენ. არავინ გამოთქვამს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიას და ატმოსფეროც მეტად მეგობრულია. სვამენ ბევრს, მაგრამ ეს მათ არ უშლით ხელს, მეორე დღეს თავისი სამუშაო შეასრულონ".

თუმცა არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ინგლისში და საერთოდ დიდ ბრიტანეთში არ ებრძვიან ალკოჰოლიზმს. ცოტა ხნის წინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა, შეხვედრათა შემდეგ მოთამაშეებს საგანგებო შემოწმებები ჩაუტაროს არა მხოლოდ ნარკოტიკებზე, არამედ ალკოჰოლზეც. თუმცა, სასმელის მიღებაში მხილებული ფეხბურთელების მიმართ დისციპლინარული ზომებს მხოლოდ მაშინ მიიღებენ, თუ ისინი მოედანზე რაიმე სერიოზულ დანაშაულს ჩაიდენენ.

**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „ბეა"**




# არჩილ ქლენტი: ნაკრებში სათამაშოდ მზად ვარ!

არჩილ ქლენტი უდავოდ გამორჩეული ფიგურაა ჩვენს კალათბურთში. იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვის თამაშებზეც საგანგებოდ დადის გულშემატკივარი და უნდა ითქვას, რომ იშვიათად ყოფილა, მოლოდინი არ გამართლებოდეთ. ჩინებული დრიბლინგი, მოედნის ხედვის უნარი, თამაშის მართვის ცოდნა — აჩიკოს ყოველ მატჩში გამოარჩევს სხვებისგან. დასრულებულ ჩემპიონატშიც იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო და სწორედ მისმა თამაშმა განაპირობა თსუ-ს გამარჯვებები ჩვენი კალათბურთის ლიდერებთან.

**— არჩილ, სად დაიწყე ვარჯიში და ვინ იყო შენი პირველი მწვრთნელი?**

— ვარჯიში „მართვეში“ დავიწყე, რვა წლისამ. პირველი მწვრთნელები იყვნენ ვაჟა ჭკუასელი და ავთო ჩხიკვაძე.

**— ბავშვობაში თუ ცდილობდი, ვინმესთვის მიგებაძა?**

— ამპლუის მიხედვით სტოკტონი და პრაისი იყო ჩემთვის სამაგალითო.

**— მცირე ხანს მოსკოვის „სპარტაკშიც“ იყავი, ასე უცაბედად რატომ წამოხვედი?**

— რომ ჩავედი, საკმაოდ კარგი ატმოსფერო დამხვდა და მწვრთნელიც მენდობოდა. მერე ახალი თავკაცი მოვიდა, ყველაფერი აირია და ძმასთან უთანხმოების გამო გადავწყვიტე, გუნდი დამეტოვებინა.

**— „დინამოდან“ თსუ-ში გადასვლა რამ გადაგაწყვეტინა?**

— როცა „დინამოში“ ვთამაშობდი, თსუ-ს გუნდი არ ჰყავდა, როცა გუნდი შექმნა და საქართველოს პირველობაში ჩაება, მე, როგორც უნივერსიტეტის სტუდენტმა, გადავწყვიტე, თსუ-ში მეთამაშა. თანაც იმ პერიოდში „დინამოს“ ძალიან გაუჭირდა და დაშლის პირას იყო.

**— როგორ აფასებ თსუ-ს გამოსვლას წლევანდელ სეზონში?**

— სეზონის წინ მიზანი ოთხეულში მოხვედრა იყო, რაც შევძლო კიდეც. რადგან ოთხეულში ვერ მოვხვდით, ბუნებრივია, ჩვენს გამოსვლას უარყოფითად ვაფასებ.

**— გუნდის გამოცვლას ხომ არ აპირებ?**

— კონკრეტული წინადადებით არავის მოუმართავს, ასე რომ, ალბათ, მომავალ სეზონში კვლავ თსუ-ს რიგებში გამოვალ.

**— შენი აზრით, როგორია ჩვენი კალათბურთის დღევანდელი დონე?**

— წამყვან ევროპულ ქვეყნებთან შედარებით დონე, რა თქმა უნდა, დაბალია. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ გუნდებს ფინანსურად უჭირთ. ქართული კალათბურთის დონე მანამდე არ აიწევს, სანამ კალათბურთში თანხები არ ჩაიდება და საჭირო ზომები არ გატარდება.

**— მსაჯობაზე რა აზრის ხარ?**

— რა დონის ჩემპიონატიც გვაქვს, იმ დონის მსაჯებიც არიან. ამიტომ ვერაფერს ვიტყვი. მსაჯიც ადამიანია და შეცდომები მასაც ექნება.

**— ნაკრების ასე სუსტად გამოსვლის მიზეზად რა მიგაჩნია?**

— ისევ და ისევ ფინანსები, თორემ კალათბურთელები არავისზე ნაკლები არა გვყავს. სანამ ასეთი მდგომარეობაა, ჩეხეთთანაც შეიძლება წააგო, თურქეთთანაც და შვედებთანაც.

**— როგორ ფიქრობ, აჩიკო ქლენტი ნაკრებისთვის მზად არის?**

— საერთოდ მწვრთნელები ფიქრობენ, რომ მე ფიზიკურად სუსტი ვარ. აქ არაა ლაპარაკი გამძლეობაზე მხედველობაში აქვთ ჩემი ტანმორჩილობა, წონა. მე კი ვფიქრობ, რომ მზად ვარ და არაფერს დავიშურებ იმისთვის, რომ ნაკრებმა წარმატებას მიაღწიოს.

**— რას განიცდი წაგებული მატჩის შემდეგ?**

— ისეთი მნიშვნელოვანი მატჩის შემდეგ, სდასუ-სთან რომ დავმარცხდით, საერთოდ კალათბურთზე ფიქრიც არ მინდოდა. საშინლად განვიცდი...

**— კალათბურთელი რომ არ ყოფილიყავი, ვინ გამოხვიდოდი?**

— აუცილებლად ფეხბურთელი.

**— რაიმე კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდით კალათბურთთან დაკავშირებით?**

— ჩვენი კალათბურთის დღევანდელი მდგომარეობა თვითონ არის კურიოზი და უკეთესს ვერაფერს მოვიგონებ.

**არჩილ თათარაშვილი**

# ჯორდანი ბებერიც მაგარია

მაიკლ ჯორდანი წლეულს მეხუთედ გახდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, მეხუთედ ცამეტწლიან კარიერაში, რითაც 60-იანი წლების ბოსტონის ლეგენდარულ ცენტრს, ბილ რასელს გაუტოლდა. ჯორდანს პრიზი სწორედ ბილ რასელმა გადასცა ინდიანასთან მეორე თამაშამდე. ახლა ჯორდანის წინ მხოლოდ ქარიმ აბდულ ჯაბარია, ვინც 70-იან წლებში ექვსჯერ აღიარეს სეზონის უძვირფასესად. ჯორდანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღესდღეობით მას მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს და ცოტა თუ უარყოფს იმ აზრს, რომ მისებრ დიდი კალათბურთელი პლანეტაზე არ შობილა. პრიზის მიცემისას რასელმაც სწორედ ეს თქვა: „ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ მკითხეს, თუ ვინ გახდებოდა ამ სეზონში საუკეთესო და მე ჯორდანი დავასახელე, ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა. იგი მართლაც საუკეთესოა.“ ჯორდანმაც შეიფერა ქება: „ჩემთვის უდიდესი პატივია, ვიყო ისეთივე ლეგენდარული, როგორიც ბილ რასელი იყო. ვფიქრობ, 90-იანი წლების ჩიკაგომ გაიმეორა ის, რაც 60-იან წლებში ბოსტონმა შეძლო.“ მაიკლმა ისიც აღნიშნა დანანებით, რომ კალათბურთი მთლიანად შეიცვალა, ძველი კეთილი დროება წარსულს ჩაბარდა, „დღესდღეობით კალათბურთი აღარ არის სპორტი, ის მილიონების კეთების საშუალება უფროა. მე ყოველთვის ვცემდი პატივს უფროსებს, ვცდილობდი, მათგან მესწავლა ის, რაც დღევანდელ ყმაწვილებს ესოდენ აკლიათ, ვცდილობდი, კალათბურთისთვის შემენარჩუნებინა ის სიდიადე, რომელიც ლეგენდარულმა ადამიანებმა მიანიჭეს სპორტის ამ სახეობას. ისინი ამ თამაშის ვირტუოზები იყვნენ და ბედნიერი ვარ, რომ კალათბურთს ეს არ დავუკარგე.“

წელეულს ხმები დაირხა, რომ 90-იანი წლების უძლიერესი გუნდი „ჩიკაგო ბულზი“ იშლება, ჯორდანი ბოლო სეზონს ატარებს NBA-ში და პრიზიც მას ამიტომ არგუნეს, თორემ არ იმსახურებდაო. ამაში იქნებ იყოს სიმართლის მარცვალი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მაიკლმა მისთვის არცთუ საუკეთესო სეზონი ჩაატარა. მართალია, იგი მეათედ გახდა ლიგის ბომბარდირი, მაგრამ მისი შედეგიანობა, საშუალოდ 28,7 ქულა მატჩში, წინა ცხრა სეზონთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. ირონიაა ის, რომ წინა სეზონის უძვირფასესი კარლ მელოუნი, ვინც შარშან ეს ტიტული მაიკლს ძლივს წაართვა, წლეულს შარშანდელზე უკეთ ირჯებოდა, ჯორდანმა კი იგი გამოკითხვაში შორს ჩამოიტოვა. ჯორდანს ვითომ მთელი ჩიკაგო ალმერთებს, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. იმ 116 ჟურნალისტიდან, ვის კომპეტენციაშიც შედის უძლიერესის გამოვლენა, სამი სწორედ ჩიკაგოელია და შარშან სამივემ თავისი ქალაქის კერპს ზურგი აქცია და მელოუნს მისცა ხმა. მათ ამის გამო ჩიკაგოელი ფანების რისხვა დაიმსახურეს.

წლეულს ამათგან მხოლოდ „არლინგტონ ჰაიტს ჰერალდის“ კორესპონდენტ კენტ მაკდილს შემორჩა ძველი აზრი: „ამ სეზონში ჩიკაგომ და იუტამ თანაბარი რაოდენობით მოიგეს თამაშები. მე ხშირად მიფიქრია იმის თაობაზე, რომ უჯორდანო ჩიკაგო უფრო მეტ მატჩს მოიგებს, თუ უმელოუნო იუტა და ყოველთვის იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჩიკაგოს გაცილებით მეტის მოგება ძალუძს. აქედან გამომდინარე, მელოუნი უფრო სასარგებლოა.“ ამბობს მაკდილი და მას საკმაოდ ბევრი ეთანხმება.

მაგრამ რაც არ უნდა ითქვას ჯორდანზე, რამდენიც არ უნდა აკრიტიკონ, იგი მაინც რჩება კალათბურთის ლეგენდად. ბევრისთვის იგი ამერიკის სამბოლოა. მისი სიდიადე ციფრებშიც ჩანს, თავად განსაჯეთ, იგი არის სეზონის ხუთგზის უძვირფასესი მოთამაშე (1988, 91, 92, 96, 98), ხუთგზის ჩემპიონი (1991, 92, 93, 96, 97), ათგზის საუკეთესო ბომბრადირი (1987-93, 96-98), ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1984, 1992), 10-ჯერ შეიყვანეს NBA-ს პირველ გუნდში, უთამაშია 11 „ოლსტარი“. აქედან 1988, 96 და 98 წლებში მისი უძვირფასესი გამხდარა, პლეი ოფის ხუთგზის უძვირფასესია (1991, 92, 93, 96, 97). მას ეკუთვნის NBA-ს ყველა დროის რეკორდი, საშუალოდ 31,6 ქულა მატჩში, ამასთან კიდევ ბევრი სხვა მსხვილმანწვრილმანი ტიტულიც არ აკლია.

ჯორდანი დაიბადა ნიუ იორკში 1963 წელს. მას ჯერ კიდევ ყმაწვილობისას შეეტყო, რაც დადგებოდა. 1982 წელს მან ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტს სტუდენტური ჩემპიონატი მოაგებინა. 1984 წლის დრაფტში იგი ჩიკაგომ დაითრია მესამე ნომრად. რა იყო „ჩიკაგო ბულზი“ ჯორდანის მისვლამდე? ლიგის ერთ-ერთი უსუსტესი გუნდი, ვისაც პლეი ოფში მოხვედრა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. მივიდა ჯორდანი და მაშინვე შეუდგა საქმეს. მან ჯერ საუკეთესო ახალბედის ტიტული მოიპოვა და ჩიკაგო პლეი ოფშიც გაიყვანა, მაგრამ იქ მისმა გუნდმა პირველივე ეტაპზე ლარი ბერდის ბოსტონთან 0:3 წააგო სერია. მარტო ჯორდანის ბრწყინვალე თამაში ჩიკაგოსთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და მთელი 80-იანი წლები ასე გრძელდებოდა, სანამ გუნდში არ მივიდა სკოტი პიპენი, ახლაც ჯორდანის მარჯვენა ხელი. მათ ერთად მოაპოვებინეს ჩიკაგოს მის ისტორიაში პირველი ჩემპიონობა 1991 წელს. ეს კიდევ ორ წელიწადს გაგრძელდა, სანამ ჯორდანი კალათბურთს თავს დაანებებდა. თუმცა უკალათბურთოდ მხოლოდ წელიწადნახევარი გაძლო და 1995 წელს, რეგულარული სეზონის ბოლოს, კვლავ დაბრუნდა. ის სეზონი ვერა და მომდევნო, 1996 წელი ჯორდანისა და მისი გუნდისთვის საოცარი აღმოჩნდა. ჩიკაგომ NBA-ს ისტორიაში სეზონში ყველაზე მეტი, 72 თამაში მოიგო და პლეი ოფშიც ყველა დააჩოქა ჯორდანი კი უძვირფასესი უკვე მეოთხედ გახდა. მომდევნო სეზონში კვლავ ჩემპიონობა მოჰყვა.




ასეთად წარმოუდგენიათ ამერიკაში უძვირფასესი მოთამაშე

„ჩიკაგო ბულზი“ ახლაც წარმატებით იბრძვის ჩემპიონობისათვის. ხარები მესამე სერიას თამაშობენ ინდიანასთან და პლეი ოფში წელს მხოლოდ ერთხელ, შარლოტთან დამარცხდნენ. მაიკლ ჯორდანი გაკვალული გზით მიუძღვება ჩიკაგოს ჩემპიონობისკენ, მაგრამ იგი უკვე 35 წლისაა. ხალხი მიეჩვია მის ბრწყინვალე თამაშს. გულშემატკივრებს უკვე ისე აღარ აღაფრთოვანებს მისი ეფექტური გარღვევები, ჩატენვები თუ ნახტომში ტყორცნები, როგორც ათი წლის წინ და ველარც ძველებურად უყრის თავს უამრავ ქულას. ვინ იცის, იქნებ დადგა კიდეც დრო... წავიდეს, ამჯერად სამუდამოდ...

**ირაკლი ფირაშვილი**




ჯორდანი მეტოქის კალათის დალაშქვრისას



კალათბურთის ორი ლეგენდა: ბილ რასელი და მაიკლ ჯორდანი

# დანკანი ელიტაშია

20 მაისს დადგინდა NBA-ს სიმბოლური გუნდები. პირველი გუნდის ორი წევრი — შაკილ ონილი და ტიმ დანკანი პირველად მოხვდნენ NBA-ს უპირველეს ხუთეულში, მაგრამ თუ პირველი სავსებით იმსახურებდა ამას, მეორის იქ ხილვა ერთობ მოულოდნელია. ხუთეულები ასე გამოიყურება:

პირველი: გერი პეიტონი (სიეტლი), მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო), კარლ მელოუნი (იუტა), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), შაკილ ონილი (ლეიკერსი)

მეორე: ტიმ ჰარდევეი (მაიამი), როდ სტრიკლენდი (ვაშინგტონი), გრანტ ჰილი (დეტროიტი), ვინ ბეიკერი (სიეტლი), დევიდ რობინსონი (სან ანტონიო)

მესამე: რეჯი მილერი (ინდიანა), მიჩ რიჩმონდი (საკრამენტო), სკოტი პიპენი (ჩიკაგო), გლენ რაისი (შარლოტი), დიკემბე მუტომბო (ატლანტა)

გაკვირვებას იწვევს აგრეთვე ისიც რომ მეორე გუნდში ორი გამთამაშებელია ტიმ ჰარდევეი და როდ სტრიკლენდი, სამაგიეროდ მესამეში არცერთი არაა.

# ჩემპიონი ჩემპიონთა თაობიდან



ზარბეგ ბერიაშვილი
დაიბადა 1939 წლის 10 სექტემბერს
1969 წლის (მარ დელ პლატა) მსოფლიოს ჩემპიონი და სამგზის (1963, 1965, 1968) ვერცხლის პრიზიორი
1965 (მანჩესტერი), 1966 (კარლსრუე), 1967 (სტამბოლი), 1970 (ბერლინი) წლების ევროპის ჩემპიონი
1962, 1963, 1964, 1965, 1966, 1969, 1971 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი
1963 — სპარტაკიადის გამარჯვებული
1970 — საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი
თბილისის საერთაშორისო ტურნირის ხუთგზის გამარჯვებული

როგორ გინდა, ამდენ უბრწყინვალეს ფალავანში ვინმე გამოარჩიო. საქართველოს ხომ ჭიდაობაში არაერთი შესანიშნავი სპორტსმენი ჰყავდა.

მაგრამ ზარბეგ ბერიაშვილს ათას კაცში იცნობდით. მახსოვს, თბილისის საერთაშორისო ტურნირებზე გულშემატკივრებს ხანდახან მოწყენილადაც რომ ეგრძნოთ თავი, ოპტიმიზმს მაინც არ კარგავდნენ: ახლა ბერიაშვილი გამოვა ხალიჩაზე და ყველაფერს ავინაზღაურებთო. მართლაც, არ არსებობდა — ზარბეგ ბერიაშვილის ჭიდაობა და მოსაწყენი. იგი სულ მოძრაობაში გახლდათ, მისი შემყურე მაყურებელი მუდამ ექსტაზში იყო, ილეთს ილეთი ცვლიდა და სასტვენის ხმაც ბერიაშვილს მორიგ შეტევაზე იჭერდა. ბერიაშვილის ჭიდაობა სრულად განაცდევინებდა ამ სახეობის სილამაზესა და მომხიბვლელობას — ეს იყო გონიერება, ძლიერება და მოხერხებულობა.

თუმცა ყველაფერს თავისი დასაწყისი აქვს.

— სოფელ ზემო ავჭალაში დავიბადე. ქართულს ბავშვობიდან ვჭიდაობდი. ქართული ჭიდაობა ძალიან პოპულარული იყო სოფლად. ყოველგვარი ზემოდან მოსული ინტსრუქციების გარეშე სოფლის თავკაცები ჭიდაობაში შეჯიბრს მართავდნენ. ქართულ ჭიდაობას ბევრი არაფერი უნდა: ნახერხიანი მოედანი, შარვალი თუ ტრუსები, მუსიკა და ჰაიდა! მეც ბავშვობიდან ამ შეჯიბრებებში ვებმებოდი. რომ გითხრათ, რაიმეთი გამორჩეული ვიყავი-მეთქი, მართალი არ ვიქნები. თუმცა უფრო ვიგებდი, ვიდრე ვაგებდი. საერთოდ, ადრე ფიზიკურ მომზადებას დიდი ყურადღებას აქცევდნენ. ჩვენს სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად გლდანელი კაცი მუშაობდა — გრიშა ვატიტაძე. არაჩვეულებრივი პედაგოგი იყო. ყველაფერში გვავარჯიშებდა — 100, 200, 1000 მეტრზე სირბილში, ძელზე აწევაში და ასე შემდეგ. ფიზკულტურის გაკვეთილსაც, უბრალოდ, ვერ გააცდენდი — ცნობა უნდა მიგეტანა. ჰოდა, ამნაირად ფიზიკურად მომზადებულნი ძლიერებიც ვიყავით.

ამ პატარა ბიჭებს თანდათან ვაჯობე. მე-9 კლასში რომ ვიყავი, თბილისის გარეუბნებს შორის პირველობა ჩატარდა. ზემო ავჭალაც მონაწილეობდა სოფელ დი-



როგორ გინდა ბერიაშვილის შეტევისთვის გაგეძლო?

ღომთან, გლდანთან და სხვებთან ერთად. პირველი ადგილი დავიკავე ქართულ ჭიდაობაში.

თბილისში, ჭიდაობის მწვრთნელებთან — გიორგი ბისიაშვილთან და სპარტაკ ბახტაძესთან ჩემმა სკოლელმა, ვახტანგ (ცუგო) ბერიტაშვილმა მიმიყვანა, რომელიც იქ დადიოდა სავარჯიშოდ. მეთერთმეტეკლასელმა ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის თბილისის პირველობაზე მე-2 ადგილი დავიკავე.

სკოლა რომ დავამთავრე, უმაღლესი სასწავლების საკითხი დადგა. სწორედ საბუთების შეტანის დროს დაემთხვა ბათუმში ჩატარებული პირველობა. ავდექი და იქ წავედი, ჩემი საბუთების საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე შეტანა კი ჩემს სკოლელ მერაბ კალანდაძეს დავავალე. მერაბმა საბუთები შეიტანა. მე კი წარმატებით ჩავაბარე გამოცდები, მაგრამ მერაბი იმ წელს გარეთ დარჩა.

ინსტიტუტშიც მაღალ დონეზე იყო ფიზკულტურის გაკვეთილები. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ სპეციალობას უფრო დიდი ყურადღება უნდა მიქცეოდა, ვიდრე ფიზკულტურას, მაგრამ ახლა რომ ვაკვირდები, მართლები იყვნენ, რადგან ასეთმა დამოკიდებულებამ დიდი ფიზიკური სიჯანსაღე მოგვცა. ფიზკულტურას ევგენია არიფიევა გვასწავლიდა. იკითხა, ვინ რომელ სპორტს მისდევსო და როცა ვუთხარი, ჭიდაობას-მეთქი, გამიშვა გიორგი როსტიაშვილთან, რომელიც ჭიდაობას კურირებდა ინსტიტუტში. აქედან დაიწყო ჩემი სერიოზული მეცადინეობა ქართულ ჭიდაობაში. წარმატებას სწრაფად მივაღწიე: 58-ში პირველთანრიგოსანი გავხდი, 59-ში სპორტის ოსტატი და „ბურევესტნიკის" საკავშირო საბჭოს ჩემპიონი. 1960 წელს უკვე საქართველოს ნაკრებში მოვხვდი. სხვათა შორის ეს ნაკრები ერთ-ერთ პერსპექტიულ გუნდად ითვლებოდა: უკვე ცნობილ ვლადიმერ რუბაშვილთან ერთად ამ დროს გამოვდიოდით გურამ სალარაძე, შოთა ლომიძე და მე. 1961 წელს საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობაში, რომელიც უძლიერესი შემადგენლობით გამოირჩეოდა, პირველი ადგილი დავიკავეთ. სწორედ მაშინ დაინტერესდნენ ჩემით საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელები და მე, გურამი და შოთა საბჭოთა ნაკრებში მიგვიწვიეს. ვლადიმერ რუბაშვილი კი უკვე იქ იყო.

სამწუხაროდ, 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოვხვდი, თუმცა უკვე პირველ ნომრად ვითვლებოდი ნაკრებში. კგბ-სთვის საჭირო საბუთები ვერ გავამზადე. 1963-დან კი მუდმივად ნაკრებში ვარ.

ზარბეგ ბერიაშვილი 60-იანი წლების თაობის შესანიშნავი წარმომადგენელია, მაგრამ მსოფლიოს დონის ვარსკვლავს უმაღლესი ტიტული კარგა ხანს მოუხელთებელი რჩებოდა მაშინდელი ნაკლოვანი ათვლის სისტემის გამო. მივყვეთ ამ ბერიაშვილისთვის უილბლო (თუმცა, რა უიღბლობაა მსოფლიოს პირველობის პრიზიორობა!) ჩემპიონატებს.

1963 წლის მსოფლიოს პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა იაპონელ ხორიუჩის შემდეგ. ფინალი შედეგით იაპონელმა 2:1 მოიგო. არადა, ბერიაშვილის უპირატესობა აშკარა იყო. დასტური: შემდეგ ხორიუჩი ზარბეგს 1965, 1967, 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებზე შეხვდა და ყველგან სასტიკად დამარცხდა. მეტიც, 1968 წელს ზარბეგმა იაპონიაში, მრავალათასიანი გულშემატკივრების თვალწინ ადინა ხორიუჩის ბდღვირი.

1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადაზე მეტად საეჭვოდ დამარცხდა თურქ ათალაისთან, ჩემპიონი კი ბულგარელი ენიუ ვილჩევი გახდა, რომელსაც ზარბეგმა 18:1(!) მოუგო. ეს იმ დროის ათვლის სისტემის შედეგია. უაზრობა გამოდიოდა — უძლიერესი შეიძლება პრიზიორებშიც ვერ მოხვედრილიყო.

1965 წელს ბერიაშვილმა ერთი შეხვედრა დაასრულა ფრედ, დანარჩენი კი მოიგო. ჩემპიონობა კი ირანელმა მოვახედმა მოიპოვა, რომელსაც ზარბეგი არც შეხვედრია.

1967 წლის ფინალი მოვახედთან ფრედ დასრულდა. დარბაზში საქვეყნოდ გამოცხადდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ზარბეგ ბერიაშვილი გახდა. სხვათა შორის, ზოგიერთ სპორტულ ცნობარში ასეცაა შეტანილი. მაგრამ ბულგარელებმა ვილჩევის იაპონელთან ბრძოლა გააპროტესტეს. ვილჩევს გამარჯვება მიენიჭა, მას მოვახედთან შეხვედრის უფლება მიეცა. ვილჩევი მოვახედს დაუწვა და ბერიაშვილს, ისე, რომ არაფერი წაუგია, მხოლოდ მეორე ადგილი ერგო.

**— კი მაგრამ, შეიძლებოდა შეხვედრის ასე დათმობა?**

„სამწუხაროდ, ასეთი რამეც ხდებოდა. 1969 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე შოთა ლომიძეს ამერიკელებმა 20 ათასი დოლარი შესთავაზეს, თუ შეხვედრას წააგებდა. შოთამ, რა თქმა უნდა, უარი თქვა და მოიგო კიდეც ის პირველობა."

1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადაზე ბერიაშვილმა კვლავ ყველა შეხვედრა მოიგო, ერთის გარდა, რომელიც ფრედ დასრულდა და წაუგებელი მოჭიდავე, იცით, რომელ ადგილზე გავიდა? მეხუთეზე!

ბოლომდე რომ აგიხსნათ, როგორი სისტემა იყო გამარჯვებულის გამოსავლენად, ალბათ, თქვენც დაიბნევით, მაგრამ რომ არ ვთქვათ, ბერიაშვილის უიღბლობას ამართლებსო, ერთ მაგალითს მოგიყვანთ.

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში ქვემძიმე წონაში ირანელმა მეხტი-ზადემ ყველა შეხვედრა მოიგო და... მეოთხე ადგილზე გავიდა. ჩემპიონობა მოიპოვა ბულგარელმა პროდან გარჯევმა, რომელმაც მეხტი-ზადესთან წააგო, ჩვენ შოთა ლომიძესთან და თურქ გუნგორთან კი ფრედ დაამთავრა შეხვედრები. ასევე ერთი წაგებით და ორი ფრედ დასრულებული პაექრობით მეორეზე გუნგორი გავიდა, მესამე ადგილი შოთამ დაიკავა — მას ორი ფრე ჰქონდა, ყველა შეხვედრის მომგები მეხტი-ზადე კი (შოთას არ შეხვედრია) მეოთხეზე დარჩა. როგორც იტყვიან კომენტარი ზედმეტია.

მაგრამ ძალა აღმართს ხნავს და, ბოლოსდაბოლოს, ბერიაშვილის ოსტატობასაც უნდა მიეღო საზღაური. თუმცა უიღბლობას რომ ვამბობთ, მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებს ვგულისხმობთ, თორემ ევროპის პირველობა ზარბეგს ოთხჯერ მოუგია.

არგენტინის ქალაქ მარ დელ პლატაში სამართალმა, როგორც იქნა, პური ჭამა.

ბერიაშვილი: „მართლაც, საოცარია ცხოვრება: როცა შესანიშნავ ფორმაში ვიყავი 1964-65-66 წლებში, იღბალმა ზურგი მაქცია, ხოლო როცა ჩემი კარიერა მთავრდებოდა, (უკვე 30 წლისა ვიყავი), 1969 წელს იოლად მოვიგე მსოფლიოს პირველობა. კენჭისყრა ისე აეწყო, პირველ სამ წრეში შევხვდი ყველა უძლიერესს, თანაც ისინი ერთმანეთსაც შეხვდნენ. ამიტომ როცა ეს სამი წრე დაუმარცხებლად განვვლე, ბოლო შეხვედრები უკვე სიმღერ-სიმღერით ჩავატარე და, ბოლოსდაბოლოს, გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი."

**— განსაკუთრებული სიხარული თუ იყო?**

— მართალი რომ გითხრათ, არა. რა თქმა უნდა, გამიხარდა, მაგრამ ეს უფრო ისეთი გრძნობა იყო, როცა შენს კუთვნილს იღებ.

შემდეგ? შემდეგ იყო გამარჯვება 1970 წლის ბერლინის ევროპის ჩემპიონატში. 1972 წელს თბილისის დიდი საერთაშორისო ტურნირიც მოიგო, მაგრამ ტრავმამ ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალება არ მისცა და ბერიაშვილმაც დაანება თავი დიდი ჭიდაობას.

**— ნუთუ არ გწყდებათ გული, ოლიმპიადაზე რომ ვერ გაიმარჯვეთ?**

— რა თქმა უნდ, მწყდება. მხოლოდ ეს ტიტული მაკლია, მაგრამ რას იზამ, ასე მოხდა.

საქართველოს მოჭიდავეები ყველა დროში გამოირჩეოდნენ, მაგამ 60-იანელთა თაობა მართლაც განსაკუთრებული იყო. თვითონ გასაჯეთ: მსოფლიო ჩემპიონები ვლადიმერ რუბაშვილი, ზარბეგ ბერიაშვილი, გურამ სალარაძე, შოთა ლომიძე, ევროპის ჩემპიონი ანდრო ცხოვრებოვი, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორები ნოდარ ხორხაშვილი, ტარიელ ალიბეგაშვილი; საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ზაურ შეყრილაძე, სპარტაკ ქარსაულიძე.

„იმ გუნდს შეგვეძლო, მსოფლიოს ნაკრებიც გამოგვეწვია ორთაბრძოლაში და, ალბათ, დავამარცხებდით კიდეც ამბობს ბერიაშვილი და ძნელია, ეჭვი შეიტანო ამ სიტყვებში.

**— თქვენ დიდი ხანი დაჰყავით ჭიდაობაში. რა მოგცათ ამან?**

— რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამ. უპირველესად, საკუთარი თავის რწმენა, ხოლო როცა ადამიანს სწამს, რომ ძლიერია, ის სხვის სიძლიერესაც პატივის სცემს.

**— თქვენ ძალიან პოპულარული იყავით მსოფლიოში და, ალბათ, ისეთ საჭიდაო ქვეყნებშიც გიცნობდნენ, როგორიც ირანი და თურქეთია.**

— მართლაც, ირანში და თურქეთში ჭიდაობა უპირველესი სახეობაა. როცა ირანში გვიხდებოდა ჩასვლა, მატარებელთან იმდენი ხალხი გროვდებოდა, როგორც ახლა ხვდებიან ცნობილ საფეხბურთო კლუბებს. ჩვენ ყველა გვიცნობდა. მახსოვს, 62-ში, პირველად რომ ჩავედი ირანში, ადგილობრივი გაზეთი მომხვდა ხელში. ჩემს შესახებ ყველაფერი ეწერა: ზომა-წონა, სად დავიბადე, როდის დავიწყე ჭიდაობა და ასე შემდეგ. იქ რა დრომაც არ უნდა გაიაროს, მუდმივად აფასებენ ჭიდაობაში გამორჩეულებს. მაგალითად, ძალიან უყვართ ვახტანგ ბალავაძე. „აღაი ბალავაძე" — ყველა ასე იხსენებს ჩვენი ჭიდაობის დიდოსტატს.

**— საქართველოში როგორაა ამ მხრივ საქმე?**

— სხვათა შორის, რამდენი ხანია, ჭიდაობას თავი დავანებე და მცნობენ. ძალიან ხშირად, ბაზარში რაიმე პროდუქტის ფასს რომ ვკითხულობ, მპასუხობენ — თვენთვის ამდენი და ამდენი ღირსო. ყველა ცდილობს, მასიამოვნოს. ამას წინათ რაღაცას ვყიდულობდი და უეცრად ახალგაზრდა გამყიდველმა, რომელიც ასაკის გამო ჩემს ჭიდაობას არ უნდა იცნობდეს, მითხრა, რავა აბურთავებდი მეტოქეებსო. შენ რა იცი-მეთქი — ვიცი, ვიციო, გამიღიმა. რა თქმა უნდა, მიხარია.

**— ახლანდელ მოჭიდავეებზე რას იტყვით?**

— მე ურა-პატრიოტიზმისგან ძალიან შორს ვარ. მაგრამ, რაც გვაქვს ქართველებს, იმას ვერავინ წაგვართმევს. ეტყობა, არის ჭიდაობის ნიჭი, აბა, ამდენი მსოფლიოს ჩემპიონი ჩვენზე ბევრად დიდ ქვეყნებსაც არ ჰყავთ. აი, ახლახან დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი და ორნი საქართველოდან — ელდარ კურტანიძე და დავით პოლოსიანი ჩემპიონები გახდნენ. ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას რომ ორი ევროპის ჩემპიონი ეყოლება, პირობები რომ შევუქმნათ ბიჭებს, რაღას იზამენ. ჭიდაობას უნდა მივხედოთ, რადგან მედლების მოპოვების შანსი ყველაზე მეტად ამ სახეობაში გვაქვს.

ზარბეგ ბერიაშვილის ჭიდაობა არავის ტოვებდა გულგრილს. იგი ბოლომდე იხარჯებოდა. ყველა შეხვედრაში და ხალხის სიყვარულიც ამან განაპირობა. ალბათ, ესეც სათქმელია — მას არასოდეს არ წაუგია თბილისში, საკუთარი მაყურებლის თვალწინ. ესეც იმის დასტურია, რაოდენ აფასებდა ბერიაშვილი გულშემატკივართა გრძნობას მის მიმართ.

როგორც სპორტში ილვწოდა ბატონი ზარბეგი, ასევეა ოჯახშიც. მას გვერდში უდგას მეუღლე — ირინე ყიფიანი, რომელიც ჰქმნის სიმყუდროვესა და სიყვარულის ატმოსფეროს ოჯახში. ჰყავს ორი ვაჟკაცი — 27 წლის ზაალი და 25 წლის ივანე, რძალი ნათია და წლინახევრის შვილიშვილი ივანე, რომელიც ამ სიმყუდროვეს არღვევს, მაგრამ ამით ოჯახის ყველა წევრი ხარობს.

### ბოლოთქმა

ჩვენი სტატიისთვის ბერიაშვილის ჭიდაობის ფოტოსურათებს ვარჩევდით. ბატონმა ზარბეგმა ის სურათები ირჩია, სადაც დამარცხებული მეტოქის სახე თითქმის არ ჩანს — მას ძნელად თუ იცნობს ვინმე. რაზე მეტყველებს ეს? ალბათ, ძალიან ბევრზე. ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია თავის სიძლიერეში და ეს არ ამედიდურებს, ასევე უფრთხილდება სხვის ღირსებას. ამიტომაც უყვართ დღემდე ზარბეგ ბერიაშვილი.

**ილია მხეიძე**




ზარბეგ ბერიაშვილი კვარცლხბეკთან გამინაურებული იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიურპრიზი

იყო დრო, კერძოდ 50-იანი წლებიდან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენამდე პერიოდი, როცა ქართველ წყალბურთელთა მიღწევები ჩვეულებრივ ამბად აღიქმებოდა. მაშინ საქართველოს ნაკრებს დამოუკიდებელი გუნდის სახელით რომ ეასპარეზა ევროპის, გნებავთ მსოფლიო ჩემპიონატზე ან ოლიმპიურ თამაშებზე, შესაძლოა მედლებისთვისაც გამოეკრა ხელი. ყოველ შემთხვევაში, იგი უძლიერესთა შორის დამკვიდრდებოდა და მათთან ერთად ფინალურ ეტაპზე საამისოდ იბრძოლებდა. ამაზე მეტყველებს საქართველოს ნაკრების შედეგები თბილისის საერთაშორისო ტურნირებზე და სხვა შეჯიბრებებზე, სადაც მსოფლიოს უძლიერეს გუნდებთან თანაბარი ბრძოლები გაუმართავს და ისინი არაერთხელ დაუმარცხებია კიდეც. ახლა კი, მთელს ქვეყანას ძნელბედობის ჟამი რომ უდგა, ჩვენი ეროვნული ნაკრების „ბ“ ჯგუფში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში წარმატება, რაზეც ვიუწყებოდით, დიდ მიღწევად გვესახება, მით უმეტეს, რომ ნაკრებს 1994 წლის მერე სათამაშო პრაქტიკა არც ჰქონია და ბოლო დრომდე გუნდზე არავინ ზრუნავდა.

ამიტომაა ქართველ წყალბურთელთა სლოვენიური შედეგი სიურპრიზად გვესახება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა სლოვენიაში სძლია ჩეხეთისა (11:9) და შვეიცარიის (7:6) გუნდებს, თავად კი პოლონელებთან წააგო (7:9). პოლონელებმა, როგორც ჯგუფში გამარჯვებულებმა, „ბ“ ჯგუფში ევროპის პირველობის გადამწყვეტ ეტაპზე გამოსვლის უფლება უპრობლემოდ მოიპოვეს, ჩვენი ნაკრები კი საამისოდ შეხვდა მეორე ჯგუფში მესამე ადგილზე გასულ დანიელ წყალბურთელებს და გაიმარჯვა (9:5).

— როცა სლოვენიაში მივემგზავრებოდით, ჩვენს მომავალ მეტოქეებზე არავითარი ინფორმაცია არ გვქონდა, მიუხედავად ამისა, ბრძოლაში იმედით ჩავებით და მიზანსაც მივაღწიეთ, — გვეუბნება გუნდის უფროსი მწვრთნელი გელა ტუკვაძე. — მინდა ულრმესი მადლობა მოვახსენო „ვერეს“ საწყლოსნო კომპლექსის დირექტორს ვლადიმერ გოიაშვილს, რომელიც ამავე დროს საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი გახლავთ. მან სამი თვის განმავლობაში აუზი უსასყიდლოდ დაგვითმო და ნაყოფიერი მზადების საშუალება მოგვცა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და „სარბიელის“ საშუალებით მადლობა გადავუხადო სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომელმაც გამონახა საშუალება და შეჯიბრებაზე გასამგზავრებელი თანხა გამოგვიყო.

**— კი მაგრამ, გოიაშვილი არ იყო, ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის მერე რომ ამბობდა, წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები დიდი ანგარიშებით აგებს შეხვედრებს. ეს გუნდი უპერსპექტივოა, უმჯობესია ბავშვებს მოვკიდოთ ხელი, აღვზარდოთ და ახალი ნაკრები ჩამოვაყალიბოთო? ამბობდა და ამ საქმეს ხელიც მოჰკიდა. აი, სლოვენიის კი მაინც ძველი „გვარდია“ გაემგზავრა.**

— გოიაშვილი როცა ეროვნული ნაკრების უპერსპექტივობაზე საუბრობდა, მას თავისი არგუმენტები ჰქონდა და საკმაოდ ძლიერიც. ნაკრების უპერსპექტივობაზე იგი თავად წყალბურთელთა შესაძლებლობებს, უფრო სწორედ უძლურობას როდი გულისხმობდა. საქმე ის არის, რომ თუ ნაკრები გყავს, მას სათანადო პირობები უნდა შეექმნა, უნდა ავარჯიშო და შეჯიბრებებზე ატარო. ამას თანხები სჭირდება. ნაკრები რაც მეტ წარმატებას მიაღწევს, მით მეტი ფულია საჭირო. აი, ახლა გამოინახა თანხა, სლოვენიაში წარმატებაც მოვიპოვეთ და ამიტომ კვლავ ფულია საშოვნელი, რათა ისევ შეკრება ჩავატაროთ და თურქეთში გადამწყვეტ ბრძოლებში ჩავებათ. თუ იქაც ვიყოჩაღებთ, მერე უძლიერეს „ა“ ჯგუფის გუნდებთან უნდა ვიბრძოლოთ. ასე რომ, გაისად ორჯერ მეტი თანხა დაგვჭირდება, ფული კი სპორტის დეპარტამენტს დღესდღეობით არ ყოფნის — წყალბურთის გარდა ხომ სხვა სახეობებიც მრავლადაა.

**— კარგით, ამ საერთო პრობლემას კარგა ხანს არაფერი ეშველება, ყოველ შემთხვევაში წლეულს მაინც. ამიტომ სჯობს ჩვენი საუბრის ძირითად თემას, სლოვენიაში ასპარეზობას დავუბრუნდეთ.**

— პირველი შეხვედრა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან, როგორც აღვნიშნე, ჩვენს გუნდს ბოლო წლებში ოფიციალური ტურნირების პრაქტიკა აღარ ჰქონია. მაგრამ ეს და ჩეხების წინააღმდეგობაც დავძლიეთ და გავიმარჯვეთ. მთელი შეხვედრა დაძაბულად წარიმართა, თუმცა უპირატესობას თავიდან ბოლომდე ჩვენ ვფლობდით. შეგვეძლო უკეთესი ანგარიშით გამარჯვებაც, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის უქონლობამ მეტის საშუალება არ მოგვცა.

მეორე შეხვედრა შვეიცარიელებთან გვქონდა. მათი ნაკრები ახალგაზრდული, მაგრამ ფიზიკურად კარგად მომზადებული აღმოჩნდა და ეს გუნდი პერსპექტიულადაც მესახება. მათ 1 ბურთის უპირატესობით მოვუგეთ და შეგვეძლო კიდევ 4-ის გატანაც, მაგრამ...

ჩვენი მესამე მეტოქე პოლონეთის ნაკრები იყო. თავიდანვე ვფიქრობდით, რომ იგი ჩვენი ძირითადი კონკურენტი იქნებოდა. ასეც აღმოჩნდა. იგი ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც ყველაზე უკეთ გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ შეგვეძლო მისი დამარცხებაც. შეხვედრა ჩვენი უპირატესობით დაიწყო. ზედიზედ სამი უპასუხო ბურთი გავიტანეთ. ორი პერიოდის მერე ანგარიში 5:3 იყო ჩვენს სასარგებლოდ.

არ მიყვარს მსაჯებზე წუწუნი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ეს შეხვედრა პრაქტიკულად დანიელმა არბიტრმა წაგვაგებინა. მესამე პერიოდში იგი „ჩვენს მხარეს“ მსაჯობდა და არ გაგვახარა, რისი წყალობითაც მეტოქემ იმ პერიოდში 4 უპასუხო ბურთი გაგვიტანა.

საქმე ის იყო, რომ ამ შეხვედრაში გამარჯვებული ფინალურ საგზურს ეუფლებოდა, დამარცხებულს კი კიდევ ერთი ბრძოლა ელოდა მეორე ჯგუფში III ადგილზე გასული დანიელი მსაჯის თანამემამულეებთან. მათი სასურველი მეტოქენი, დანიელი მსაჯის აზრით, ჩვენ ვიყავით და საამისოდ იგი ყველაფერს აკეთებდა.

ასე იყო თუ ისე, მეოთხე პერიოდში ანგარიშის გათანაბრება (7:7) შევძელით. შეხვედრის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე დაწინაურებაც შეგვეძლო, მაგრამ ეს ველარ მოვახერხეთ. პირიქით, მათ გაგვიტანეს ორი ბურთი, მათგან ბოლო-ბოლო წამზე.

ამ შეხვედრაში მსაჯის არაობიექტურობაზე ნაწილობრივ ისიც მეტყველებს, რომ ჩვენს წყალბურთელებს 13-ჯერ დაატოვებინეს სარბიელი, მეტოქეს კი მხოლოდ 3-ჯერ. ამის გათვალისწინებით, წესით და რიგით, პოლონელებს უფრო დიდი ანგარიშითაც უნდა მოეგოთ, მაგრამ ჩვენს ძალაში დარწმუნებულთ, როგორც იტყვიან, ხელი აუკანკალდათ.

რაც შეეხება დანიელებთან შეხვედრას, მათ თამაშებს, როგორც მომავალი პოტენციური მეტოქეებისას, გზადაგზა ვაკვირდებოდით. ამან უფრო გაგვიიოლა მათი ძლევა, რამაც თურქეთში გამოსვლის უფლება მოგვანიჭა.

**— ვის გამოყოფდით ჩვენი გუნდიდან?**

— ჩვენი გუნდის სული და გული იუგოსლავიაში მოთამაშე ლეგიონერი ზვიად დავითიანია, ვინც სლოვენიაშიც ნამდვილ ლიდერად მოგვევლინა. მან მაღალ დონეზე ჩაატარა ყველა შეხვედრა და ჩემი აზრით საერთოდაც საუკეთესო იყო მთელს ტურნირზე. იგი 12 ბურთით ტურნირის ერთ-ერთი ბომბარდირიც გახდა.



გელა ტუკვაძე

დაცვაში კარგად ითამაშეს მერაბ ალავიძემ და გალაქტიონ ლაითიძემ. ვიმედოვნებ ისინი თურქეთში უკეთ ითამაშებენ.

ასევე კარგად ითამაშეს ჩვენმა მოსკოველმა და კიოლნელმა ლეგიონერებმა ნიკოლოზ ჩიქოვანმა და ირაკლი ტატიშვილმა, რომლებიც შესაბამისად „უნივერსიტეტში“ და „პოსეიდონში“ თამაშობენ.

მშვენივრად ითამაშა მეკარე ნიკოლოზ ასათიანმა, ვინც ფლორენციის „რანი-ნანტის“ კარის დარაჯია.

დიდი მადლობელი ვარ მოთამაშე მწვრთნელის ნოდარ ჩოლარიასი, ვინც ორივე ამპლუას კარგად გაართვა თავი და დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს გამარჯვებაში.

ზოგი წყალბურთელის მიმართ მაქვს პრეტენზიები, რასაც იმედია გაითვალისწინებენ და ნაკლს თურქეთში გამოსვლამდე გამოასწორებენ.

**— თურქეთში როგორი შანსი გვაქვს?**

— იქ 2 ივლისს დაიწყება შეხვედრები. 12 გუნდი ორ ჯგუფად დაიყოფა. ჩვენი მეტოქენი იქნებიან: ბელარუსიის, საფრანგეთის, სლოვენიის, მალტისა და მასპინძელთა გუნდები. წარმატებისთვის საჭიროა ქვეჯგუფში უძლიერეს ოთხეულში მოხვედრა, რათა რვა საუკეთესომ მერე უძლიერეს „ა“ ჯგუფში გამოსვლის უფლება მოიპოვოს. ვფიქრობ, რომ მიზანს მივაღწევთ.

***

გელა ტუკვაძის შემდეგ ვალდიმერ გოიაშვილსაც ვესაუბრეთ და შევახსენეთ მისი პოზიცია ეროვნული ნაკრების თაობაზე.

— მაშინ ჩვენ მატერიალურ მდგომარეობას ვითვალისწინებდით, — გვეუბნება ფედერაციის პრეზიდენტი. — ახლა ნაკრებს თავის გამოჩენის შანსი მივეცით და ამან გაამართლა. ახლა ნაკრები მეტ ზრუნვასა და აქედან გამომდინარე მეტ თანხასაც მოითხოვს, რაც მეტად პრობლემატურია. გუნდი „დინამოს“ ბაზაზეა დაკომპლექტებული, „დინამო“ კი ლამის წელიწადია აუზის იჯარის ფულს არ იხდის. ეს ვრცელი საუბრის თემაა და ამაზე სხვა დროს შევჩერდეთ. რაც შეეხება ჩვენი აქცენტის გადატანას ბავშვთა და იუნიორთა გუნდებზე, ამან გაამართლა. იუნიორთა ნაკრებში, მაგალითად, ძველი კონტაქტების წყალობით უსასყიდლოდ დავაშვებინეთ რუსეთის ჩემპიონატში. მან წარმატებით განვლო წინასწარი და ნახევარფინალური შეხვედრები და ახლა ფინალური ბრძოლები ელის. გუნდის სამ წყალბურთელს ტუკვაძემ ეროვნული ნაკრებისთვის დაადგა თვალი და სურს თურქეთში ათამაშოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პოზიცია მცდარი არ ყოფილა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# ევროპელებმა ლიგა დაიპყრეს

25 ივნისს კანადის ქალაქ ტორონტოში ნჰლ-ის ინდივიდუალური პრიზების მფლობელები გამოვლინდებიან. ჩრდილოამერიკელთათვის ვერაფერი ნუგეშია პრეტენდენტთა სიის გამოქვეყნება, რომელიც ლიგაში ევროპელთა სრულ ბატონობაზე მეტყველებს. თავად განსაჯეთ: ჩეხი მეკარე დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო) და ფინელი თავდამსხმელი ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) ერთბაშად ორ ნომინაციაზე წარადგინეს.

### „ჰართ ტროფი“

(სეზონის უძვირფასესი მოთამაშე)

*კანდიდატები:* დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო), იარომირ იაგრი (პიტსბურგი), ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი)

*პროგნოზი:* დომინიკ ჰაშეკი

ბარაქალა ევროპელებს! პირველად ნჰლ-ის 81-წლიან ისტორიაში მათ ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს მაძიებლობა არც ერთ ჩრდილოამერიკელს არ დაანებეს. მეტიც, ოკეანისგაღმელები ამ სამეულთან მიახლოებულ კანდიდატთა შორისაც კი არ მოიხსენიებოდნენ.

ცხადია, „ჰართ ტროფის“ სამივე მოცილე თავისებურად გამოირჩევა. სელიანე, ათი მატჩის გამოტოვების მიუხედავად, მაინც გახდა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი 52 გოლით, რაც კლუბის შედეგიანობის 25 პროცენტია. „ფინელი მსროლელის“ მიღწევა ერთი-ორად იმიტომ ფასობს, რომ მას გვერდით არ ჰყავდა მუდმივი პარტნიორი პოლ კარია (სულ 22 შეხვედრა ჩაატარა). გულსატკენია, რომ ანაჰაიმმა წლეულს ვერ იმარჯვა, რადგან ეს ერთობ ამცირებს ტეემუს შანსებს.

იაგრი კი, რომელმაც მარიო ლემიეს წასვლის შემდეგ პიტსბურგის ლიდერობა იტვირთა, 102 ქულით საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამას უმაღლეს შედეგად ვერ მიიჩნევენ, სამაგიეროდ, ჩეხი ჩინებულად გაუძღვა თანაგუნდელებს ოლიმპიადაზე.

ყველაზე რეალური პრეტენდენტი, რა თქმა უნდა, ჰაშეკია. მარტო ის ფაქტიც კმარა, რომ ზედიზედ მეხუთე სეზონია, იგი მოგერიების ყველაზე მაღალ, 93,2 პროცენტიან კოეფიციენტს აჩვენებს. ჩეხმა 13-ჯერ ითამაშა „მშრალად“ და შეუდარებელი იყო ოლიმპიადაზე. თუ ჰაშეკი გაიმარჯვებს, ლიგის ისტორიში პირველი შემთხვევა იქნება, როცა მეკარე ზედიზედ ორჯერ ეუფლება ამ საპატიო პრიზს.

### „ჯეიმს ნორის მემორიალ ტროფი“

(საუკეთესო მცველი)

*კანდიდატები:* რობ ბლეიკი (ლოს ანჯელესი), ნიკლას ლადსტრიომი (დეტროიტი), კრის პრონგერი (სენტ ლუისი)

*პროგნოზი:* ნიკლას ლიდსტრიომი

სახელგანთქმული „დიდი ოთხეულის“ დრო კარგა ხანია, წავიდა. ბურკს, ჩელიოსს, კოფისა და ლიჩს ახალგაზრდები ცვლიან, რომელთაგან ყველაზე გამორჩეული უთუოდ ნიკლას ლიდსტრიომია. ერთი შეხედვით ძნელია განმარტო, რით განსხვავდება შვედი სხვა მცველებისგან. იგი არც სენტლუისელი მაკინისივით ძლიერად ურტყამს, არც ფილადელფიელი კოფივით ჩინებულად სრიალებს და არც ბოსტონელი ბურკის ავტორიტეტი გააჩნია. მაგრამ თავისი საიმედოობით, უნივერსალურობით და, რაც მთავარია, ნაყოფიერებით, შვედს ვერავინ შეედრება. ლიდსტრიომი ადრეც ითვლებოდა თავისი საქმის ოსტატად, თუმცა იგი ნიჭიერ მცველად მხოლოდ მას შემდეგ შეიცნეს, რაც გამოცდილმა სკოტი ბოუმენმა მას მეტი თავისუფლება მიანიჭა.

ძალიან სასიამოვნოა, რომ რამდენიმე მძიმე ტრავმის შემდეგ რობ ბლეიკი ამაღლდა იმ დონემდე, რასაც მას თავიდანვე უწინასწარმეტყველებდნენ. ახლა კი კრის პრონგერზეც ვთქვათ. მართალია, იგი ახალგაზრდაა, მაგრამ სენტ ლუისის დაცვა უფრო სოლიდური და საიმედო გახადა, თანაც, მისი ნაყოფიერების კოეფიციენტი — „+41“ საუკეთესოა ლიგაში.

### „კოლდერ მემორიალ ტროფი“

(საუკეთესო ახალბედა)

*კანდიდატები:* პატრიკ ელიაში (ნიუ ჯერსი), მატიას ოლუნდი (ვანკუვერი), სერგეი სამსონოვი (ბოსტონი)

*პროგნოზი:* სერგეი სამსონოვი

ამ ნომინაციაში გამარჯვებულის ვინაობა, ფაქტობრივად, არანაირ ეჭვს არ იწვევს. გრეცკისა და ლემიერ შემდეგ სამსონოვი პირველია, ვინც ასე საუცხოოდ ატარებს ლიგაში სადებიუტო სეზონს. ტანმორჩილმა (173 სმ) და მეტად ახალგაზრდა რუსმა პირველივე მატჩებიდან დაიმსახურა თავისი კონსერვატორი მწვრთნელის, პეტ ბერნსის ნდობა და კლუბის პირველ სამეულში მუდმივი ადგილი დაიმკვიდრა: იმის კვალობაზე, რომ ლიგაში შედეგიანობამ საგრძნობლად იკლო, მისი 22 გოლი შესანიშნავ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ სელექციური საქმიანობით ცნობილმა ნჰლ-ის სასკაუტო სისტემამ წლეულს ვერც ერთი მომავალი ვარსკვლავი ვერ აღმოაჩინა. ერთადერთი, ვისზეც ღირს ყურადღების გამახვილება, მაიკ ჯონსონია, თუმცა 13 წლის ტორონტოელს ახალბედად ჯერ ვერ მოიხსენიებ. რაც შეეხება 18 წლის ჯო ტორნტონს, 1997 წლის დრაფტის პირველ ნომერს, იგი თანაკლუბელი სამსონოვის გვერდით მეტად უფერულად გამოიყურებოდა.

### „ვეზინა ტროფი“

(საუკეთესო მეკარე)

*კანდიდატები:* ტომ ბარასო (პიტსბურგი), მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი), დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო)

*პროგნოზი:* დომინიკ ჰაშეკი

მარტინ ბროდოსი არავის არ შეშურდება. ჩინებული მეკარე, რომელზეცაა აგებული ნიუ ჯერსის ცნობილი სისტემა, ალბათ, იმსახურებს სათანადო აღიარებას, მაგრამ დომინიკ ჰაშეკთან პაექრობაში მეორე გოლკიპერის ტიტულიც საპატიოა. თუ ჩეხი „ჰართ ტროფის“ ყველაზე რეალური პრეტენდენტი გახლავთ, ბროდოს გამარჯვება ამ ნომინაციაში ყოვლად უეჭველია. სასიამოვნოა, რომ შარშანდელი რთული სეზონის შემდეგ კვლავ ვიხილეთ ძველებური ტომ ბარასო.

### „ლედი ბინგ მემორიალ ტროფი“

(სპორტული და ჯენტლმენური ყოფაქცევისთვის)

*კანდიდატები:* რონ ფრენსისი (პიტსბურგი), უეინ გრეცკი (რეინჯერსი), ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი)

მობერებულ და ევროპელთაგან დაჩაგრულ ჩრდილოამერიკელ ვარსკვლავებს ისღა დარჩენიათ, ასეთი პრიზებით ინუგეშონ თავი. თავაზიანობა და კორექტულობა კი, ყინულზეც და მის მიღმაც, დიდებულ გრეცკისა და რონ ფრენსისს არ ესწავლებათ. არც სელიანეა ნაკლები ჯენტლმენი, მაგრამ უპირატესობას, ალბათ, მის ასაკოვან კოლეგებს მიანიჭებენ.

### „ფრენკ ჯ. სელკე ტროფი“

(დაცვაში მაჯვე ფორვარდი)

*კანდიდატები:* კრეიგ კონროი (სენტ ლუისი), იერე ლეჰტინენი (დალასი), მაიკ პეკა (ბუფალო)

*პროგნოზი:* კრეიგ კონროი

სამივე კანდიდატს რეალური შანსი აქვს. პრიზის შარშანდელი მფლობელი პეკა წლეულსაც სათანადო დონეზე ასრულებს თავის მოვალეობას. პრეტენდენტად მეორედ დასახელებული იერე ლეჰტინენიც ერთობ მარჯვეა, რაც დალასის ლიდერ მაიკ მოდანოს შეტევებისას მეტ თავისუფლებას აძლევს, მაგრამ კრეიგ კონროი, უეჭველად, სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა გახლავთ. მისი თავკაცობა „ბლუზმენთა“ მეორე სამეულსაც წაადგა და კლუბის ვეტერან ლიდერებსაც — ჰალს, მაკინისს, ტარჯონს, რომელთაც თითქოსდა ფრთები შეესხათ. ერთი ხანობა კი, როცა იგივე ჰალი დაშავებული იყო, კონროიმ ჩინებული შედეგიანობა აჩვენა.

### „ჯეკ ადამს ავარდი“

(საუკეთესო მწვრთნელი)

*კანდიდატები:* პეტ ბერნსი (ბოსტონი), კენ ჰიჩკოკი (დალასი), ლერი რობინსონი (ლოს ანჯელესი)

*პროგნოზი:* პეტ ბერნსი

პეტ ბერნსი რომ თავისი საქმის ნამდვილი ოსტატია, წლეულსაც დადასტურდა. თავის დროზე, 1989 და 1993 წლებში, ცნობილმა სპეციალისტმა მონრეალსა და ტორონტოს დააწევინა თავი ღრმა კრიზისიდან, ამჯერად კი ბოსტონი გამოიყვანა ჩიხიდან. მეტიც, „დათვებს“ თავიანთი პოტენციალით სამომავლოდ ნჰლის ერთ-ერთ ფავორიტად ქცევა ძალუძთ. შეგახსენებთ, რომ შარშან ბოსტონი ლიგაში ბოლო, 26-ე ადგიზე იყო, წელულს კი პლეი ოფში გავიდა, ხოლო მისი ახალგაზრდა ჰოკეისტები — სერგეი სამსონოვი, ჯეში ელისონი და ენსონ კარტერი ბერნსის თავკაცობით, შესაძლოა, უმაღლესი კლასის მოთამაშეებად ჩამოყალიბდნენ. რაც შეეხება კენ ჰიჩკოკს, რომელიც მეორე სეზონია, კანდიდატებს შორის ხვდება, მან დალასი სანიმუშო გუნდად აქცია. ლერი რობინსონის ღვაწლიც დიდია — ბოლო ხუთ წელიწადში პირველად ლოს ანჯელესის მწვრთნელმა არასტაბილური კალიფორნიელებისგან პერსპექტიული და მებრძოლი გუნდი შექმნა.

**სამველ ლარიბიანი**

### „THE SPORTING NEWS“-ს არაფერი ეშლება

ნჰლ-ის პრიზების დარიგებამდე ჯერ კიდევ ერთი თვეა, ამასობაში კი ამერიკის ავტორიტეტულმა გაზეთმა „The Sporting New“-მა თავისი ლაურეატები დაასახელა. როგორც მოსალოდნელი იყო, უძვირფასესი მოთამაშის წოდება დომინიკ ჰაშეკმა (98 ხმა) დაიმსახურა, რომელმაც საგრძნობლად გაუსწრო სელიანესა (69) და იაგრს (25).

ორი ლაურეატი ჰყავს ბოსტონს: სერგეი სამსონოვი საუკეთესო ახალბედად მიიჩნიეს, ხოლო პეტ ბერნსი — საუკეთესო მწვრთნელად. გენერალურ მენეჯერთაგან უპირატესობა პიტსბურგელ კრეიგ პატრიკს მიანიჭეს.

ავტორბოლა

# ქუჩის რბოლა

რბოლა მონტე კარლოს ვიწრო ქუჩებში პირველად 1929 წელს გაიმართა და ამის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ასპარეზობად იქცა. მავანმა ჟურნალისტმა ამ რბოლის შესახებ თქვა კიდეც: „ის, ვინც „მონტე კარლოს დიდი პრიზის“ ჩატარება მოიფიქრა, ან გენიოსია, ან შეშლილი.“ მართლაც, ამ ვიწრო, გასწრებისთვის მოუხერხებელ ქუჩებში პილოტები გასაოცარი სიჩქარით დაჰქრიან და ყოველი მცირე შეცდომა შეიძლება ძვირად დაუჯდეთ. პირველი რბოლის ჩატარების თაოსანი მონაკოს ავტოკლუბის თავმჯდომარე ანტუან ნოგე გახლდათ.

ეს ეტაპი მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში 1950 წლიდანაა შეტანილი და წლეულს 35-ედ ტარდება (1951-54 წლებში რბოლა არ გამართულა). პირველ შეჯიბრში ხუან მანუელ ფანხიომ (არგენტინა, „ალფა რომეო“) იმარჯვა. ყველაზე მეტი გამარჯვება — 6 ბრაზილიელ აირტონ სენას მოუპოვებია, აქედან 5 — ზედიზედ (1987 „ლოტუსი“, 1989-1993 „მაკლარენი“). 5 მოგება იზეიმა გრეჰემ ჰილმა (1963-65 ბრმ; 1968-69 „ლოტუსი“), 4 — ალენ პროსტმა (1984-86, 1988 „მაკლარენი“). აღსანიშნავია, რომ ათი წლის განმავლობაში (1984-1993) მხოლოდ ორი პილოტი — სენა და პროსტი იმარჯვებდა, აქედან 9 პირველობა „მაკლარენითაა“ მოპოვებული და მხოლოდ ერთხელ მიაღწია წარმატებას „ლოტუსით“ სენამ. ბოლო წლების ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, „უილიამსს“ კი 1983 წლის (როსბერგი) შემდეგ არ მოუგია მონაკოში. 1984 წელს სწორედ მონტე კარლოში შედგა სენასა და პროსტის პირველი პაექრობა. მაშინ კოკისპირულ წვიმაში ჩემპიონატის დებიუტანტმა სენამ „ტოულმენით“ შესანიშნავად იასპარეზა, არაერთი სახელოვანი პილოტი ჩამოიტოვა და თვით პროსტსაც გაასწრო, მაგრამ ამ დროს რბოლა შეწყვიტეს და არსებული წესების თანახმად პირველობა ფრანგ პილოტს დარჩა.

წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილეთაგან მხოლოდ მიხეილ შუმახერს და ოლივიე პანის უმარჯვიათ ამ პრესტიჟულ შეჯიბრში. შარშან შუმიმ სტარტამდე რამდენიმე წუთით ადრე გადაწყვიტა წვიმაში სარბოლოდ მომზადებულ ბოლიდით ასპარეზობა და მესამე გამარჯვებაც იზეიმა. აღნიშვნის ღირსია ბარიჩელოს სენსაციური მეორე ადგილი „სტიუარტით“.

წლევანდელი ასპარეზობისთვის გუნდების უმეტესობა საფრანგეთში, „მანიკურის“ ტრასაზე ემზადებოდა და საუკეთესონი ჰაკინენი (1.17,69) და კულჰარდი (1.17,92) იყვნენ. ვილნევის საუკეთესო დრო 1.18,42 გახლდათ, ფრენცენისა — 1.18,50, ირვინმა კი 1.18,12 აჩვენა.

მიხაელ შუმახერი კი „ფერარის“ საკუთარ ტრასაზე, ფიორანოში ამზადებდა ბოლიდს და განსაკუთრებულ ყურადღებას საბურავების შერჩევას აქცევდა. პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ გერმანელი პილოტი საიდუმლოდ ცდიდა „ბრიჯსტოუნის“ საბურავებს, რომელთაც „ფერარი“ მონაკოს ეტაპის შემდეგ გამოიყენებს, ხოლო ხელშეკრულების დარღვევისთვის „გუდიარს“ 18 მლნ დოლარს გადაუხდის. თვით შუმიმ ეს ფაქტი უარყო. ასეა თუ ისე, ფერარი საგანგებოდ ემზადება ამ ეტაპისთვის და იმედი აქვს, რომ „მაკლარენებს“ დაამარცხებს კიდეც.

მონტე კარლოში „ჯორდანი“ 120-ედ გამოვა სტარტზე, დეიმონ ჰილი — 90-ედ, პანი კი 65-ედ. შაბათს, კვალიფიკაციის დღეს კი ბრაზილიელ რუბენს ბარიჩელოს 26 წელი შეუსრულდება.

ალეკო ჭაბუკიანი

## ფორმულა 1
### VI ეტაპი
### მონაკოს დიდი პრიზი

24 მაისი. მონტე კარლო.
რბოლის დასაწყისი 16.30 (თბილისის დროით)
ტრასის სიგრძე 3,367 კმ; დისტანცია — 78 წრე — 262,626 კმ




**1997 წლის შედეგები:**

1. მ. შუმახერი (ფერარი) 2:00.05,654
2. ბარიჩელო (სტიუარტი)
3. ირვინი (ფერარი)
4. პანი (პროსტი)
5. სალო (ტირელი)
6. ფიზიკელა (ჯორდანი)

საუკეთესო წრე: შუმახერი 1.53,315 (106,937 კმ/სთ)
პოული: ფრენცენი (უილიამსი) 1.18,216 (154,62 კმ/სთ)

**წინა წლების გამარჯვებულები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1996 | პანი (ლიჟიე) | 1995 | შუმახერი (ბენეტონი) |
| 1994 | შუმახერი (ბენეტონი) | 1993 | სენა (მაკლარენი) |

# შუმი იმედიანადაა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფორმულა 1-ში მიხაელ შუმახერი ამ უქმეებზე გასამართ მონაკოს გრან პრის იმედის თვალით უყურებს და ვიწრო ქუჩებში თავისი ოსტატობით „მაკლარენთან“ ტექნიკური ჩამორჩენის ანაზღაურებასაც რეალურად მიიჩნევს: „მონაკოს ტრასა არც ერთ სხვას არა ჰგავს. აქ მთავარია, ძალიან არ ჩამორჩე. თუ „მაკლარენებსა“ და ჩვენს შორის განსხვავება ორ-სამ მეათედ წამზე მეტი არ იქნება, საინტერესო რბოლას უნდა ველოდოთ.“

თუმცა „ფერარის“ გერმანელმა პილოტმა თავის გუნდს მანქანის გაუმჯობესებისკენაც მოუწოდა, ასე სხვა ტრასებზე გამარჯვებაზე ფიქრიც არ შეიძლება, ჩემპიონობას რომ თავი დაანებოო: „რა თქმა უნდა, ჯერ ადრეა, ამ რბოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ, მაგრამ კარგი იქნებოდა, მაკლარენელებს კიდევ უფრო რომ არ ჩამოვრჩეთ ქულებით, რათა სეზონის დარჩენილი ნაწილი ნაკლებად რთული იყოს.“

პესიმიზმი არც ჩემპიონატის ლიდერის, მიკა ჰაკინენის განწყობაში იგრძნობოდა: „ჩვენ კარგი მანქანა, კარგი ძრავა და კარგი გუნდი გვყავს. ასე რომ, ყველაფერი პილოტებზეა დამოკიდებული. მთავარია, შეცდომები არ დავუშვათ.“ ჯერჯერობით კი ჰაკინენი მონაკოში დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის — 1991 წლიდან მოყოლებული რბოლა ერთადერთხელ დაუმთავრებია და ისიც მეექვსე ადგილზე: „ფორმულა 1-ში ჩემი მაჩვენებლები მონაკოში შთამბეჭდავი არ არის, მაგრამ 1993-ში აქ პორშეს სუპერთასზე გავიმარჯვე და ამ ტრასასთან მხოლოდ ცუდი მოგონებები არ მაკავშირებს.“

ჩოგბურთი

# ნუ გააბრაზებთ კორდას

დიუსელდორფი. გერმანია. ATP ტურის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. ტარდება თიხნარზე საპრიზო ფონდი 1,9 მილიონი $

**წითელი ჯგუფი**
**ჩეხეთი 2:1 აშშ**

აშშ-ის ნაკრებს დიუსელდორფში ერთბაშად ორი როლან გაროსის ჩემპიონის, მაიკლ ჩანგისა და ჯიმ კურიეს ყოლა არაფერში წაადგა — ჩეხეთთან შეხვედრაში თავის გუნდს ვერც ერთმა შემატა ქულა და ვერც მეორემ. მაგრამ თუ ჩანგის მარცხს თავისი ობიექტურ-სუბიექტური მიზეზები მოეძებნება, კურიეს მორიგი ფიასკოდან ობიექტური დასკვნების გაკეთება უფრო მართებულია — მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი და დიდი სლემის ტურნირების ოთხგზის გამარჯვებული ბიორნ ბორგისა და მატს ვილანდერის მსგავსად, ალბათ, მალე შეუერთდება ნაადრევად გადამწვარ-გაპენსიონერებულ, ჩოგბურთისადმი ინტერესდაკარგულ დიდ ჩემპიონთა რიგებს, თუ არ შეუერთდება, მით უარესი მისთვის.

კურიემ დიუსელდორფში ჩატარებულ მეორე შეხვედრაშიც ისე წააგო, მეტოქეს, ამჯერად სლავა დოსედელს, ვერც ერთი ხელი ვერ მოუგო 3:6, 1:6.

სამაგიეროდ, ერთობ დაძაბული და თვალსაჩინო გამოდგა გუნდების პირველი ჩოგნების — პეტერ კორდასა და მაიკლ ჩანგის შეხვედრა. მატჩს ინტერესი მეორე სეტის ბოლოს მომხდარმა ინციდენტმაც შემატა: კორდამ გვერდითი მსაჯის გადაწყვეტილების სიმცდარეში დასარწმუნებლად მთავარი მსაჯი მიიწვია — ბურთი აუტში გადავიდაო, მაგრამ მან კოლეგას დაუჭირა მხარი. „მატყუარა მიწოდა, მე კი ამას ვერ მოვითმენდი, მიუხედავად იმისა, რომ იმ ქულას იქნებ არც კი ჰქონოდა დიდი მნიშვნელობა“ — განაცხადა მოგვიანებით უკვე სიბრაზეგადავლილმა ჩეხმა, თუმცა იმ მომენტში მრავლისმეტყველი ჟესტებისა და ხმამაღალი ყვირილის შემდეგ მხარდამჭერისთვის თავისი კაპიტნისკენ რომ გაემართა, ბევრს ისიც კი ეგონა, თამაშს თავს ანებებსო. ისე, კორდამ მოთმინება რომ დაკარგა, გასაკვირი სულაც არ იყო — განმეორებით ჩვენებისას აშკარად ჩანდა, რომ ბურთი ათიოდ სანტიმეტრით მაინც გადასცდა უკანა ხაზს.

მატჩი განახლდა თუ არა, ჩეხმა მთელი ბრაზი ამერიკელზე იყარა: ყოველი მოგებული ქულის მერე მუშტს ნიშნისმოგებით მოუღერებდა-ხოლმე, თითქოს ეუბნებოდა, შენ მაინც რად არ გამომესარჩლეო. კორდას ქცევით გაოგნებული ჩანგი ერთი ორჯერ მაყურებლებს მიუბრუნდა, ვერ გამიგია, ეს კაცი რას მერჩისო, მერე კი თავადაც ფიცხელი ბრძოლა გააჩაღა. ორსაათნახევრიანი მატჩის ბედი მესამე სეტის შუაში ჩეხის გახერხებულმა ბრეიკმა და ბოლოში მის მიერვე გადარჩენილმა ორმა ბრეიკ-პოინტმა გადაწყვიტა — 7:6(8:6), 3:6, 6:3 კორდას სასარგებლოდ.

მეტოქეები მაინც მშვიდობიანად დაშორდნენ — ხელი ერთმანეთსაც ჩამოართვეს და მსაჯსაც, ის კი არა, ჩეხმა ამერიკელი შეაქო კიდეც — ტყვიასავით სწრაფიაო, თავისი კარგი თამაში კი მძიმე შრომის შედეგად მიიჩნია. უკმაყოფილო არც ჩანგი დარჩენილა, მაჯაზე (რომელიც გასულ კვირაში, რომში ასპარეზობისას დაიზიანა) ისევ ვმკურნალობ, მაგრამ თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ და საკუთარი თამაშითაც კმაყოფილი ვარო.

ამერიკელებმა ერთადერთი ქულა უკვე არაფრის გადამწყვეტ წყვილების მატჩში მიითვალეს — რიჩი რენებერგმა და ტოდ მარტინმა დანიელ ვაცეკსა და სირილ სუკს აჯობეს 6:4, 6:4, თუმცა ჩეხებთან მარცხის შემდეგ ოკეანის გაღმელებს ფინალში გასვლის თეორიული შანსიც კი დაეკარგათ.

**ავსტრალია 2:1 შვედეთი**

ოზი „ვუდების“ ძალა რომ ერთობაშია, ყველას მოეხსენება. აგერ უკვე ზედიზედ მეორე მატჩია, ტოდ ვუდბრიჯიცა და მარკ ვუდფორდიც ერთეულებში მარცხდებიან, მაგრამ მერე გადამწყვეტი შეხვედრისთვის შეწყვილდებიან და ყველაფერი თავის ადგილზე დგება.

პირველი ქულა შვედებთან ავსტრალიელებს მარკ ფილიპუსისმა მოუტანა — მსოფლიოს მეშვიდე ჩოგან იონას ბიორკმანს ეისი ეისზე უგდო და 6:3, 6:4 დაამარცხა. მერე მარკ ვუდფორდმა მაგნუს ნორმანთან 2:6, 3:6 კი წააგო, მაგრამ შეხვედრის ბედი მაინც გადაწყვეტილი ჩანდა — ვუდებმა მეორე სეტში გაჯიქებულ ბიორკმან-მიქაელ ტილსტრომს 6:3, 2:6, 6:3 აჯობეს, რაც იმას ნიშნავს, რომ წითელი ჯგუფიდან ფინალში გასასვლელი საგზურის ბედი აქამდე დაუმარცხებელი ავსტრალია-ჩეხეთის შერკინებაში გადაწყდება.

| | | მატჩები | სეტები |
|---|---|---|---|
| **ჩეხეთი** | 2-0 | 5-1 | 10-3 |
| **ავსტრალია** | 2-0 | 4-2 | 8-5 |
| **აშშ** | 0-2 | 2-4 | 5-8 |
| **შვედეთი** | 0-2 | 1-5 | 3-10 |

**ლურჯი ჯგუფი**
**გერმანია 2:1 საფრანგეთი**

შეიძლება აღარც ძალა მოსდევდეს ძველებურად და აღარც ენერგია და მალე პენსიაზეც აპირებდეს გასვლას, მაგრამ ბორის ბეკერი მაინც გერმანელთა საყვარელ სპორტსმენად რჩება. დიუსელდორფში უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი მხოლოდ წყვილებში თამაშობს, მაგრამ მის მატჩებს ერთად აღებული ყველა სხვა შეხვედრაზე უფრო მეტი მაყურებელი ესწრება და ისე გულშემატკივრობს თავის კერპს, თითქოს ამ დროს სულ მცირე მსოფლიოს პირველი ჩოგნობის ბედი მაინც წყდებოდეს.

„რა თქმა უნდა, ძალზე მიხარია, რომ ამდენი ადამიანი მამხნევებს, აბა, წარმოიდგინეთ, ყველა ერთად რომ გისტვენდეთ“ — განაცხადა ბეკერმა დავიდ პრინოშილთან ერთად ზედიზედ მეორე გადამწყვეტი წყვილების შეხვედრის 6:3, 6:4 მოგების შემდეგ ფაბრის სანტოროსა და ოლივიე დელეტრთან.

ერთეულებში გერმანიას ბორისის მემკვიდრედ შერაცხული ორი 20 წლის ჩოგბურთელი — ტომი ჰაასი და ნიკოლას კიფერი წარმოადგენს. თუ ჰაასმა, რომელმაც ფაბრის სანტოროს 7:5, 6:4 მოუგო, წარმოატებული ასპარეზობის შეწევნით თანამემამულეთა გულები იოლად მოინადირა, კიფერი უნიათო თამაშით თავისიანთა რისხვის ობიექტი შეიქნა. „მაშინაც, მეორე სეტში 4:2-ით რომ დავწინაურდი, ტაშიც კი არ დაუკრავთ. ვფიქრობ, ეს უსამართლობაა“ — განაცხადა გერმანიის პირველმა ჩოგანმა სედრიკ პიოლინთან 6:7 (4:7), 4:6 დამარცხების შემდეგ.

**სლოვაკეთი 3:0 ესპანეთი**

სლოვაკების გამარჯვება ტურნირის შარშანდელი ჩემპიონთან, თანაც მშრალზე, ნამდვილ სენსაციად იქცა. ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტმა კაროლ კუჩერამ გასული წლის ფინალისტ კარლოს მოიას გადამწყვეტ ხელში სამი ბრეიკი დაანება, თუმც კი თავად ოთხჯერ აართვა მოწოდება და 4:6, 6:3, 7:5 მოიგო. როლან გაროსის ორგზის ჩემპიონმა სერხი ბრუგერამ მორიგი მარცხი — 5:7, 4:6 იწვნია 20 წლის დომინიკ ჰრბატისთან, ესპანელთა განადგურებას კი კუჩერა-ჰრბატის დუეტის ტომას კარბონელ-ფრანსისკო როიგთან გამარჯვებამ დაუსვა წერტილი 6:4, 6:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| **გერმანია** | 2:0 | 4:2 | 9:4 |
| **სლოვაკეთი** | 1:1 | 4:2 | 9:5 |
| **ესპანეთი** | 1:1 | 2:4 | 6:8 |
| **საფრანგეთი** | 0:2 | 2:4 | 4:19 |

სენტ-პიოლტენი. ავსტრია. რაიფესენის გრან პრი. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 425 ათასი $

**მეოთხედფინალი: ანდრეა გაუდენცი (4, იტალია) — ფრანსისკო კლავეტი (6, ესპანეთი) 6:3, 6:4; ვინს სპადეა (აშშ) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 7:6 (7:3), 6:1; მარსელო ფილიპინი (ურუგვაი) — ტომას მუსტერი (3, ავსტრია) 6:3, 6:4; მარსელო რიოსი (1, ჩილე) — გალო ბლანკო (7, ესპანეთი) 6:2, 6:2.**

ავთანდილ სვანიძე

ველოსპორტი

# სუპერმარიოს სუპერფინიში

**GIRO D'ITALIA 98**

მე-4 ეტაპი. ვიარეჯოდან მონტე არჯენტარიომდე. 239 კმ.

ნიკოლა მიჩელიმ ჯიროზე კარიერაში პირველი წარმატება დროული შეტევით დაიბევა: სანამ ეტაპის ერთადერთ ძნელ აღმართზე აბობღებით გაქანცული პელეტონი სულს მოითქვამდა, 26 წლის იტალიელი თავგამოდებით დააწვა პედლებს, დაღმართზე ქარივით ჩაიქროლა და ფინიშის სწორს ხელშეუვალი უპირატესობით უწია. გვიან გამოფხიზლებული ჯგრო გაქცეულის დასაწევად ფრიად გაისარჯა, მაგრამ მიჩელიმ დისტანცია უახლოეს მდევარზე მაინც სამი წამით ადრე დაასრულა. საუკეთესოთა ათეულში ერთადერთი არაიტალიელი — ესპანელი ანხელ ედო მოხვდა (მე-4 ადგილზე), მეორე ადგილზე გასულმა მიქელე ბარტოლიმ კი ბონუსად 8 წამი რომ ჩამოიკლო, საერთო ჩათვლაში უკრაინელ სერგეი გონჩართან ჩამორჩენა 1 წამამდე შეამცირა.

**მე-4 ეტაპი: 1. ნიკოლა მიჩელი — 6:15,29; 2. მიქელე ბარტოლი +3; 3. მარიანო პიკოლი; 4. ანხელ ედო; 5. ფაბიო ბალდატო — ყველას იგივე დრო.**

მე-5 ეტაპი. ორბეტელოდან ფრასკატიმდე. 206 კმ.

სუპერმარიოდ წოდებულმა მარიო ჩიპოლინიმ საფინიშო სპურტზე თანამემამულე სილვიო მარტინელოსა და რუს სერგეი სმეტანინს აჯობა, კარიერაში 23-ე ეტაპი მოიგო ჯიროზე და ამ მაჩვენებლით დიდ იტალიელ „კამპიონისიმოს“ (ანუ ჩემპიონ) ფაუსტო კოპის გაუტოლდა, თუმცა ამით ტრაბახს არ მოჰყოლია: „ჩემს გამარჯვებებს კოპისას ვერც შევადარებ. მე ბოლო 300 მეტრის ჩემპიონი ვარ, ის კი ურთულეს მთიან ეტაპებს იგებდა.“ ახლა მარიოს ორი მრბოლიღა უსწრებს — ბელგიელი ედი მერქსი 27 გამარჯვებით და იტალიელი ალფრედო ბინდა 42-ით.

რაც შეეხება საერთო ჩათვლას, მიქელე ბარტოლიმ ამჯერად მხოლოდ 4-წამიან ბონუსს გამოჰკრა ხელი, თუმცა ლიდერის ვარდისფერი მაისურის მოსარგებად ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

**მე-5 ეტაპი: 1. ჩიპოლინი — 4:44,25; 2. მარტინელო; 3. სმეტანინი; 4. ბალდატო (იტალია); 5. ბარტოლი — ყველას იგივე დრო.**

მე-6 ეტაპი. მადალონიდან ლაგო ლასენომდე. 160 კმ.

მეექვსე ეტაპზე მრბოლებმა მთიან ტრასებზე გადაინაცვლეს და სცენაზე ისევ დაბრუნდა სათვალიანი შვეიცარიელი ალექს ცულე. შარშანდელი „ვუელტას“ გამარჯვებული ფინიშამდე ექვსი კილომეტრით ადრე წინ გაქცეულ იტალიელ მარკო პანტანის წამოეწია, უკან მოიტოვა და ფინიშის ხაზი გუშინდელამდე ლიდერად მყოფ მიქელე ბარტოლიზე 24 წამით ადრე გადაკვეთა, რითაც საერთო ჩათვლაში პირველობაც გადაიბარა.

**მე-6 ეტაპი: 1. ცულე — 4:21, 43; 2. ბარტოლი +24; 3. ლიუკ ლებლანი (საფრანგეთი), 4. პანტანი — იგივე დრო; 5. დავიდე რებელინი (იტალია) +34.**

ლაშა ლომჯარია


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო აბვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ილია მხეიძე ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29